

# სახელმწიფო

## სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2020, № 11

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2020, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2020, №11

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2020, № 11

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ქეთევან შენგელია**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეზელი

- 1. ნასყიდობა**  
ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ ..... 4  
ორმხრივი რესტიტუცია ვალდებულების შეუსრულებლობისას .. 18
- 2. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა**  
საიჯარო ქონების მდგომარეობა. მისი რემონტი ..... 26
- 3. ნარდობა**  
ნარდობის ხელშეკრულების მოშლა ..... 58; 69; 102
- 4. დავალება**  
გასამრჯელო დავალებისთვის ..... 112
- 5. მიბარება**  
მიბარების საზღაური ..... 128
- 6. საბანკო მომსახურება**  
ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა ..... 139
- 7. საბანკო კრედიტი** ..... 149
- 8. თავდებობა** ..... 157

# 1. ნასყიდობა

## ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-373-347-2017

27 ოქტომბერი, 2017 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება (ძირითად სარჩელში), თანხის დაკისრება (შეგებებულ სარჩელში)

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. მოსარჩელის/შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „ა-ი 2009-მ“ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე, მოწინააღმდეგე მხარე, გამყიდველი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, მყიდველი ან მოვალე) მიმართ მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 27 276 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.1.1. მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მშენებარე ობიექტზე მოსარჩელე მოპასუხეს აწვდიდა ქვიშა-ხრემს. საქონლის მოწოდება და ანგარიშსწორება ხდებოდა მხარეთა შორის დადებული რამოდენიმე ხელშეკრულების პირობების თანახმად. 2015 წლის 17 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმდა მორიგი ხელშეკრულება ქვიშა-ხრემის შესყიდვაზე, რომლის მიხედვითაც მოპასუხისათვის უნდა მიეწოდებინათ 20000-30000 კბ/მ ქვიშა-ხრემი, 1 კბ/მ ფასი იყო 12 ლარი დღგ-ს ჩათვლით. სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდებოდა 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 16 თებერვლამდე. 2015 წლის 1 დეკემბერამდე მიწოდებული საქონლის ღირებულება შემძენს მთლიანად აქვს ანაზღაურებული, ხოლო ამ დროიდან სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებამდე გადაუხდელი აქვს 27 276 ლარი. მხარეთა შორის ჩამოყა-

ლიბებულის იყო ანგარიშსწორებისა და მიწოდებული საქონლის შემოწმების პრაქტიკა. არც ერთი ზედნადები მოპასუხეს არ უარყოფია. იმ შემთხვევაში, თუკი შესრულება იყო ნაკლიანი (საქონელი არ გადასცემია შემძენს ან მიიღო ნაკლები), მას უნდა განეხორციელებინა ზედნადების უარყოფა. ყველა მიწოდების კონტროლს ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებდა შემძენი და რაიმე პრეტენზია არ გამოთქმულა. მიღებულ საქონელს შემძენი ყრიდა ზღვაში, რის გამოც, ამ ეტაპზე ნივთის ნაკლის დადგენა შეუძლებელია. მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდის შეწყვეტიდან ოცი დღის შემდეგაც აგრძელებდა მოპასუხე ტვირთის მიღებას, ამასთანავე, რამდენიმე ზედნადების შესწორება მართლაც განხორციელდა, თუმცა, მას არ გააჩნია მტკიცებულება რომელიც მოსარჩელის მიმართ პრეტენზიის არსებობას დაადასტურებდა. საგულისხმოა, რომ პრეტენზიის გაცხადება უნდა განხორციელებულიყო ნივთის ნაკლის აღმოჩენისთანავე, მოპასუხის ქმედება ემსახურება დავალიანების დაფარვისაგან თავის არიდებას, სწორედ ამ მიზნით აიღო მან შესაბამისი ორგანოდან ცნობა ავტომანქანების დასაშვები წონის განსაზღვრის თაობაზე. ტვირთს არც მოპასუხე მხარე იღებდა წონით. ისინი მენარმეები არიან და ჩამოყალიბებული ჩვეულების/ტრადიციის შესაბამისად, მოპასუხე იღებდა შესრულებას, ხოლო ანგარიშსწორების ურთიერთობას არეგულირებდნენ სასაქონლო ზედნადებით.

1.2. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ ზედმეტად გადახდილი თანხის – 28 058,60 ლარის დაბრუნების მოთხოვნით.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: პროდუქციის მიწოდების რეესტრით დადგენილია, რომ შეგებებულ სარჩელზე მოპასუხის მიერ განხორციელდა 902 რეისის მიწოდება, რეესტრის თანახმად, სულ მიწოდებული უნდა ყოფილიყო 212 976 ლარის ღირებულების 17 748 კმ.ინერტული მასალა, პროდუქციის მიწოდების პარალელურად ზედნადების საფუძველზე გამოიწერა სამი ანგარიშ-ფაქტურა, რომელთაგანაც მესამე, (22.01.2016წ.) შეგებებულ მოსარჩელეს აღარ დაუდასტურებია, ვინაიდან გამყიდველი ვალდებული იყო, მოეხდინა კორექტირება და დაეზუსტებინა მიწოდებული პროდუქციის ფაქტობრივი ღირებულება. მიღებული პროდუქციის სანაცვლოდ შემძენის მიერ სულ 186 000 ლარია გადახდილი, რაც დადასტურებულია საბანკო ქვითრებით. საქმის მასალებით დგინდება, რომ გამოწერილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგებებული მოსარჩელის დავალიანება შეადგენს 26 976 ლარს, ხოლო, ფაქტობრივი მიწოდე-

ბის გათვალისწინებით, ლაბორატორიული დასკვნისა და შს სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გადამზიდველი ავტოტრანსპორტის მაქსიმალური ტვირთამწეობის დაანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ მყიდველის მიერ ზედმეტად იქნა გადახდილი 55 034.60 ლარი. ვინაიდან მათ არ გადაუხდიათ 26 976 ლარი, ზედმეტად გადახდილ თანხას – 55 034.60 ლარს უნდა გამოაკლდეს 26 976 ლარი და თავდაპირველ მოსარჩელეს მყიდველის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ზედმეტად გადახდილი თანხა. ვინაიდან გამყიდველმა აღარ მოახდინა ზედნადებების კორექტირება, ამიტომ შეწყდა მასთან ხელშეკრულება.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. მოპასუხემ თავდაპირველი სარჩელის წინააღმდეგ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი წარადგინა და განმარტა, რომ მოსარჩელე საქონლის მიწოდებას ახორციელებდა ანონის გარეშე, სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ არსებობს ნაკლის გამო პრეტენზიის განცხადების გამოძირიციველი წინაპირობები. მოსარჩელის მიერ გამოწერილ ზედნადებებში დაფიქსირებული წონა არ შეესაბამება ფაქტობრივ ვითარებას. სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლის თანახმად, შესულელების ნაკლის გამო, შემძენს პრეტენზიის წარდგენის უფლება ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში. მოპასუხეს არ დაურღვევია მენარმის ერთი წლის განმავლობაში პრინციპი. როგორც ანგარიშფაქტურა, ასევე – ზედნადებები არ უნდა ჩაითვალოს ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების უტყუარ დოკუმენტად, აღნიშნული დოკუმენტაციით ხორციელდება საგადასახადო ანგარიშსწორება, თუმცა ნებისმიერი მათგანი შეიძლება დაკორექტირდეს გასწორების შემთხვევაში. მოსარჩელემ არასწორად უჩვენა ზედნადებებში 4586.2 კბ.მ პროდუქცია, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 55 034.6 ლარი, საიდანაც 28 058.60 ლარი გადახდილია, ხოლო დარჩენილი 26 976 ლარის გადახდას უსაფუძვლოდ ითხოვს მოსარჩელე.

2.2. შეგებებული სარჩელი ასევე არ ცნო თავდაპირველმა მოსარჩელემ და განმარტა, რომ გამყიდველი იმ პირობებში, როცა მოპასუხეს ანგარიშფაქტურა არ დაუდასტურებია, დოკუმენტაციის კორექტირებას ვერ განახორციელებდა. ასეთ შემთხვევაში კორექტირება ხდება არა ანგარიშფაქტურის, არამედ – სასაქონლო ზედნადების, რაც შეეხება თავად კორექტირებას, ის მხოლოდ მას შემდეგ ხდება რაც საქონლის მიმღები მხარე წარმოადგენს პრეტენზიას, რომელიც აღიარებულ იქნება საქონლის გამგზავნის მიერ. მოპასუხე მხარეს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებით სარჩელის წარმოდგენამდე არანაირი პრეტენზია არ ჰქონია და ამ ტიპის მტკიცებულება არ ერთვის სარჩელს. ამასთან, მოსარჩელეს

არ აქვს დადასტურებული ბოლო ანგარიშ-ფაქტურა, ხოლო, დანარჩენი ორი დადასტურებული აქვს, სასარჩელო პრეტენზია კი მოიცავს სამივე ანგარიშფაქტურით მიწოდებული პროდუქციის ოდენობას. ნაკლიანი საქონელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხარეს არ უნდა მიეღო და უნდა მოეწოდებინა ინფორმაცია ნაკლის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 483-ე მუხლის თანახმად, მხარემ მიიღო რა შესრულება, ამის შემდეგ მისი პრეტენზია უსაფუძვლოა, რადგანაც მიწოდებული საქონლის ოდენობისა და მოცულობის დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია. სამოქალაქო კოდექსის 668-ე-680-ე მუხლების შესაბამისად, გაგზავნილი და მიწოდებული იქნა შეთანხმებული ოდენობის საქონელი. მხარის პოზიცია, რომ ავტომანქანებს არ შეეძლო ფაქტიურად გადაეზიდათ ნებადართულზე მეტი საქონელი და მიეწოდებინათ შეგებებული სარჩელის მოსარჩელისათვის, არ უნდა იქნეს გაზიარებული. თავდაპირველი მოპასუხე გზების დეპარტამენტთან ერთად აწარმოებდა ყველანაირ კონტროლს, მათ შორის – მიღებული საქონლის. ამ კონტროლთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია მხარეს და მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებული არ არის, კერძოდ, მას არ წარუდგენია შესრულებული სამუშაოს ყურნალი, საანგარიშო პერიოდის შესრულებული სამუშაოთა საგადასახადო ფორმები, სამუშაოთა მოცულობებისა და ღირებულების აქტი და ანგარიშ-ფაქტურა, სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულებულ სამუშაოებში მონაწილე პირების ჩამონათვალი და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა, სხვა პირებისაგან შეძენილი ივრევე საქონლის სასაქონლო ზედნადებები და ანგარიშფაქტურები.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 27 276 ლარის გადახდა, ხოლო შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოვალემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარ-

ჩა უცვლელად.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება (იხ. დაზუსტებული საკასაციო განაცხადი).

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.1.1. 2015 წლის 17 დეკემბერს მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება, შემდეგი პირობებით: ა) მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაეცა 20 000-დან 30 000-მდე კ.მ ქვიშა-ხრეში. საქონლის დატვირთვა და მიწოდება უნდა განეხორციელებინა მოსარჩელეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში; ბ) მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, 1 კ.მ ქვიშა-ხრეში გადაეხადა 12 ლარი, რაშიც შედიოდა მიმწოდებლის მიერ დატვირთვის, ტრანსპორტირებისა და დღგ-ს ხარჯები;

1.1.2. თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მიწოდებული საქონლის ნაწილის ღირებულების ანაზღაურება, რასაც საქონლის მიმღებმა დაუპირისპირა ნაკლიანი შესრულება, კერძოდ, შესაგებლით მოპასუხემ განმარტა, რომ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი შეთანხმებულზე ნაკლები ოდენობით, რის გა-



მოც მას ეკისრება ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე შეთანხმებული ფასის გადახდის ვალდებულება. მანვე, მოთხოვნათა გაქვითვის მიზნით შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში გამყიდველის მიმართ და მოითხოვა ზედმეტად გადახდილი საქონლის ღირებულების გამყიდველისათვის დაკისრება. შეგებებული სარჩელით, მყიდველმა ფაქტობრივად აღიარა, რომ გამყიდველმა მას საერთო ჯამში 212 976 ლარის ღირებულების 17 748 კ.მ ქვიშა-ხრეში მიაწოდა, რომლიდანაც მას გადახდილი აქვს მხოლოდ 186 000 ლარი და გამყიდველის მიმართ დარჩენილი დავალიანება – 26 976 ლარი უნდა გაიქვითოს მყიდველის კუთვნილ მოთხოვნაში – 55 034.6 ლარში, რის შემდეგაც გამყიდველს უნდა დაეკისროს მყიდველის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ უსაფუძვლოდ გადახდილი 28 058.6 ლარის უკან დაბრუნების ვალდებულება. საქმის განხილვისას კი, მყიდველი კატეგორიულად უარყოფდა გამყიდველის მიმართ რაიმე დავალიანების არსებობას და მოითხოვდა, გამოკვლეულიყო მტკიცებულებები მიწოდებული საქონლის ოდენობასთან დაკავშირებითაც;

1.1.3. გამყიდველმა მყიდველს საერთო ჯამში მიაწოდა 212 976 ლარის ღირებულების 17 748 კ.მ ქვიშა-ხრეში და 300 ლარის ღირებულების 15 კ.მ ღორღი. ამ საქონლის ან მისი ნაწილის გამყიდველისათვის დაბრუნების ფაქტზე მყიდველს არ მიუთითებია, არამედ, უდავოა მიწოდებული საქონლის მყიდველის მიერ მიღებისა და გახარჯვის ფაქტი;

1.1.4. მყიდველის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალებების თანახმად, მას გამყიდველისათვის საერთო ჯამში გადახდილი აქვს 186 000 ლარი, შესაბამისად, გადასახდელი თანხა შეადგენს 212 976 ლარს (მიწოდებული ქვიშა-ხრეშის ფასი) + 300 ლარი (მიწოდებული ღორღის ფასი) – 186 000 (უკვე გადახდილი თანხა) = 27 276 ლარი. მყიდველი ღორღის ფასს (300 ლარს) არ ითვალისწინებდა, რითაც იყო გამონეწეული სხვაობა სარჩელით მოთხოვნილ თანხასა (27 276 ლარი) და შეგებებულ სარჩელში გასაქვით მოთხოვნად მიჩნეულ თანხას (26 976 ლარი) შორის, თუმცა, ვინაიდან მყიდველმა ღორღიც მიიღო და გახარჯა ობიექტზე, მისი ღირებულება გაითვალისწინება საქონლის ფასში.

## **1.2. საკასაციო განაცხადის მოცულობა და კასატორის პრეტენზიები (საკასაციო განხილვის ფარგლებში):**

1.2.1. უპირველესად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გამახვილებს საკასაციო მოთხოვნაზე (სსსკ-ის 404-ე (1) და 409-ე მუხლების თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო

დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ): თავდაპირველად წარდგენილი საკასაციო საჩივრით მხარე სრულად ასაჩივრებდა ქვემდგომი სასამართლოს განჩინებას და მოითხოვდა მის გაუქმებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან საჩივრის შეუსაბამობის გამო, 2017 წლის 3 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა მათ შორის განაცხადის დაზუსტება (სსსკ-ის 396.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). ხარვეზის გამოსწორების მიზნით მხარის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა განცხადებით მომართა სასამართლოს (იხ. №ა-1545-17 განცხადება) და განმარტა, რომ მოთხოვნის დაზუსტების ნაწილში მან ხარვეზი გამოასწორა, განცხადებაზე დართული ე.წ. „დაზუსტებული საკასაციო საჩივრის“ თანახმად კი, იგი მოითხოვს ქვემდგომი სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის განჩინების გაუქმებას და შპს „ა-ის“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას, შესაბამისად, პალატაც სწორედ ამ მოთხოვნის ფარგლებში შეაფასებს საკასაციო პრეტენზიებსა და მხარის მიერ სადავოდ მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებს (ამ საკითხის იურიდიული კვალიფიკაციის თაობაზე იხ. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.3.1. პუნქტი);

1.2.2. ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან მტკიცებულებები შეფასებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით. ხელშეკრულების საგნის მყიდველისათვის მიწოდების ფაქტი პრაქტიკულად დადგინდა მხოლოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე დაყრდნობით, თუმცა, მხედველობაში არ იქნა მიღებული ის გარემოება, რომ მყიდველს იგი არც კი დაუდასტურებია;

1.2.3. მიღებული განჩინება არასაკმარისადაა დასაბუთებული, რადგანაც ხელშეკრულების პირობების კვლევა სასამართლოს არ განუხორციელებია (სკ-ის 327-ე მუხლი), ხელშეკრულების თანახმად კი, საქონლის აწონვის, დოკუმენტების შედგენისა და მიწოდების ვალდებულება ეკისრებოდა გამყიდველს, რომელმაც მტკიცებულებათა კვლევის ვერც ერთ ეტაპზე ვერ დაადასტურა ზედდებულების ზუსტი წონით შევსების ფაქტი, ამასთანავე, პალატას არ შეუფასებია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმადაც გამყიდველი ვალდებულია, მიაწოდოს მყიდველს ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონელი. მოცემულ შემთხვევაში, დავა ეხება არა საქონლის ხარისხს, არამედ – ოდენობას, შესაბამისად, სასამართლო ვერ ასაბუთებს გამოყე-

ნებული ნორმების საჭიროებას. პირველი ინსტანციის სასამართლო ფაქტობრივად აღიარებდა შეთანხმებულზე ნაკლები ოდენობით ტვირთის გადაცემის ფაქტს, თუმცა, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი მოტივირებულია იმით, რომ მყიდველს დაკარგული აქვს შედავების უფლება პრეტენზიის დროულად წარუდგენლობის გამო. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თავდაპირველი მოსარჩელე სისტემატურად არღვევდა ვალდებულებას, მან ერთხელ გამოასწორა საკუთარი შეცდომა, რასაც მოწმობს ზედდებულის კორექტირების ფაქტი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მყიდველმა შეწყვიტა მასთან ხელშეკრულება და სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდა სხვა კომპანიასთან, მანვე უარი განაცხადა ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე. გარდა ამისა, სასამართლომ მხარეთა შორის წარმოშობილი სამართალურთიერთობა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებად მიიჩნია არასწორად, რადგანაც, სინამდვილეში სახეზე იყო როგორც ნასყიდობის, ისე – ნარდობის ხელშეკრულება;

1.2.4. სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ შეგებებულ მოსარჩელეს დავალიანების არსებობა არ უღიარებია. აღნიშნულით ირღვევა მხარეთა თანასწორობა, რამდენადაც მოპასუხე შეგებებული სარჩელით ითხოვდა ურთიერთმოთხოვნების გაქვითვას, რაც წარმოადგენს არითმეტიკულ გაანგარიშებას და არავითარი სამართლებრივი ბუნება არ გააჩნია;

1.2.5. მტკიცებულებათა კვლევის ეტაპზე დადგინდა, რომ გამყიდველი არ ახორციელებდა საქონლის აწონვას, შესაბამისად, მას არ შეუძლია, დაეყრდნოს სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის დისპოზიციას, მყიდველი კი, ამავე კოდექსის 492-ე მუხლის შესაბამისად, სარგებლობს ფასის შემცირების უფლებით. გამყიდველი 87 912 ლარის დაკისრების მოთხოვნას ამყარებს 2016 წლის 22 იანვრის ანგარიშ-ფაქტურაზე. 2016 წლის 22 იანვრის შემდეგ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობის საქონლის მიწოდება დასრულებული არ ყოფილა. როგორც მოწმედ დაკითხულმა გ. შ-იამ განაცხადა, თავდაპირველ მოსარჩელეს მიეცა არაერთი შენიშვნა, გაესწორებინა ზედდებულში მითითებული წონის მაჩვენებლები. არაზუსტი მონაცემების წარდგენის ფაქტს ადასტურებს საქმეში არსებული კორექტირებული ზედდებული. მონაცემების უზუსტობის შესახებ ეჭვი გაამყარა გადაზიდვაში მონაწილე ავტომანქანების ტვირთამწეობის მონაცემების გამოთხოვამ და მათმა შედარებამ ზედდებულებში მითითებულ წონებთან. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კასატორის მონინალმდგე მხარემ სხვადასხვა გადამზიდველების მეშვეობით ტვირთის გადატა-

ნა დადასტურა, როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა მისი ტრანსპორტით გადატანის ვალდებულებას, შესაბამისად, მას უნდა გაენია მომსახურებაც, სახეზეა შერეული ხელშეკრულება (ნასყიდობა და ნარდობა), ხოლო სამოქალაქო კოდექსის 654-ე მუხლი კასატორს აძლევს შესაძლებლობას, პრეტენზია წარადგინოს ერთი წლის ვადაში. ამდენად, დასტურდება, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის ცნობილი იყო კასატორის პრეტენზია, ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები, რადგანაც მისი მხრიდან სწორედ ზედდებულის კორექტირებაზე უარი გახდა კასატორის მიერ ამ დოკუმენტის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველი (სკ-ის 369-ე მუხლი). თავის მხრივ, თავდაპირველ შესაგებელში მითითებული იყო, რომ სასარჩელო მოთხოვნა შეეხებოდა არა მხოლოდ დაუდასტურებელ ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულ, არამედ – მთელ სახელშეკრულებო თანხას, ხოლო, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ანგარიშ-ფაქტურა საგადასახადო მიზნებისათვის შექმნილი მკაცრი აღრიცხვის ბლანკია და არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების წარმოშობის დამადასტურებელ კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტს. მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ საქმეში მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები არ არის წარმოდგენილი, რომლებიც არც იქნა შედგენილი იმ მიზეზით, რომ მოწინააღმდეგე მხარე არღვევდა ვალდებულებას. ზედდებულებში წარდგენილი ინფორმაციის სისწორეზე, საქონლის რაოდენობასა და მინოდებაზე, ხელშეკრულების თანახმად, პასუხისმგებელი იყო სწორედ მოსარჩელე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზედდებულებში შეტანილი მონაცემები აღემატებოდა ავტოტრანსპორტისათვის დადგენილ დასაშვებ ნორმებსა და ტვირთამწეობას, ხოლო მოწმეთა ჩვენებებით ირკვევა, რომ დატვირთვა ხორციელდებოდა აწონვის გარეშე. ეს ფაქტობრივი გარემოებები იძლევა თავდაპირველი სარჩელის უარყოფის შესაძლებლობას. მტკიცებულებათა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზედდებულებში არასწორადაა შეტანილი 4586,2 კ.მ საქონელი, რომლის ღირებულებაც 55 034,6 ლარს შეადგენს და ამ ღირებულებიდან გადახდილია 28 058,60 ლარი, რომლის შთანთქმასაც ემსახურებოდა შეგებებული სარჩელის აღძვრა, ზემოხსენებული თანხა გადახდილია ვალდებულების გარეშე და სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება დაბრუნებას. გარდა ამისა, საგულისხმოა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეგულაცია დასაშვები ტვირთამწეობის გადაჭარბების შემთხვევაში დამრღვევი პირის პასუხისმგებლობის თაობაზე. ისეთ ვითარებაში, როდესაც მხარე კანონის დარღვევაზე მითითებით

ცდილობს სადავო ფაქტის დადასტურებას, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის საფუძველზე ამგვარ მტკიცებულებაზე არ უნდა დააყრდნოს გადაწყვეტილება.

### **1.3. საკასაციო პალატის შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის პრეტენზიებს და მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები. სასამართლო, უპირველესად შეჩერდება ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.1. პუნქტში დასმულ საკითხზე და განმარტავს, რომ საკასაციო განაცხადის გათვალისწინებით, ვინაიდან მხარე არ მოითხოვს ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ფაქტობრივად, ამ მხრივ არც პრეტენზია აქვს წარმოდგენილი, ივარაუდება, რომ ამ თვალსაზრისით იგი ეთანხმება დადგენილ სამართლებრივ შედეგს, უფრო მეტიც, როგორც თავადაც აღნიშნავს და ეს გარემოება ქვემდგომმა სასამართლოებმაც დაადგინეს, შეგებებული სარჩელი მიმართული იყო თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნის ჩასათვლელად (სსსკ-ის 189-ე (2) მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, საკასაციო მოთხოვნას გააჩნია სხვა პროცესუალური დატვირთვა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 402-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ ნაწილში, რომლის კანონიერებაზეც მხარე პრეტენზიას არ აცხადებს, ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება შედის კანონიერ ძალაში. ასეთ შემთხვევაში კი, ფაქტებს, რომლებსაც ემყარება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, პრეიუდიციული ძალა აქვს და მხარეებს ამ ფაქტების შედავების უფლება არ გააჩნიათ (იხ. სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და 266-ე მუხლი). ასეთ ვითარებაში დადასტურებულად მიიჩნევა თავდაპირველი სარჩელის საფუძველად დადგენილი გარემოებები, თუმცა, საპირისპირო ვითარებაშიც კი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მანც არ იარსებებდა შემძენის პრეტენზიების დაკმაყოფილების წინაპირობები.

1.3.2. პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას მხარეთა შორის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის თაობაზე, რამდენადაც ხელშეკრულების შინაარსის სამართლებრივი ანალიზი იძლევა მხარეთა შორის სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალურ-თიერთობის წარმოშობილად მიჩნევის წინაპირობებს, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ, როგორც გამყიდველმა, იკისრა კასა-

ტორისათვის საქონლის გაგზავნის ვალდებულება (დამატებით იხ. სკ-ის 480-ე მუხლი), ამგვარი შეთანხმება სრულად გამომდინარეობს განსახილველი ნორმის პირველი ნაწილიდან და იგი არ იძლევა მხარეთა შორის ასევე ნარდობის ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს (სკ-ის 629-ე მუხლი). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნასყიდობა სინალაგმატურ ვალდებულებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის ფარგლებშიც მხარეები გამოდიან, როგორც ურთიერთკრედიტორები, ისე – ურთიერთმოვალეები. სინალაგმატური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა შესრულების წესს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო, თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

1.3.3. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.3.1. პუნქტში განვითარებული მსჯელობის მიუხედავად, პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე: მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მან მიანოდა მოპასუხეს ნასყიდობის საგანი, რომელიც მიიღო და განკარგა მყიდველმა, თუმცა მას სრულად არ აუნაზღაურებია საქონლის ღირებულება, შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს. თავის მხრივ, მოვალის შესაგებელი ემყარება იმ ფაქტს, რომ მიღებული შესრულება იყო ნაკლიანი, კერძოდ, მას სრულად არ გადასცემია ნასყიდობის საგანი (სკ-ის 488-ე (2) მუხლის თანახმად, ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთს მცირე რაოდენობით), შესაბამისად, სარგებლობს ამავე კოდექსის 492-ე მუხლით გათვალისწინებული ფასის შემცირების უფლებით, უფრო მეტიც, შეგებებული სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ნაკლიანი შესრულების მიღების გამო, მან ზედმეტად გადაიხადა თანხა და ითხოვს მის უკან დაბრუნებას, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი უმთავრესი გარემოება შესრულების რაოდენობაა.

1.3.4. შესრულების რაოდენობასთან მიმართებით (ნივთობრივი ნაკლის არსებობა) პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიებს და განმარტავს, რომ მისი შედაგება გადამზიდავი ავტომობილების ტვირთამწეობის, დასაშვები ოდენობის ტვირთის გადამეტების გამო შესაძლო პასუხისმგებლობის, სამემფასებლო ანგარიშის, ასევე, მონშეთა ჩვენებების არასწორი შეფასების თაობაზე (სსსკ-ის 105-ე მუხლი) ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების

გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი. ამ თვალსაზრისით სასამართლო მხედველობაში იღებს იმ უდავო გარემოებას, რომ შემძენმა მინოდებული საქონლის ის ნაწილიც მიიღო, რომლის გამოც გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა არ დაუდასტურებია. ის გარემოება, რომ მან განაცხადა პრეტენზია, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, არამედ, მხარე მხოლოდ სიტყვიერი შედავებით შემოიფარგლება, რაც, ბუნებრივია, საქონლის მიღების ფაქტიდან გამომდინარე, ვერ აქარწყლებს უნაკლო შესრულების პრეზუმფციას. პალატა დამატებით ყურადღებას გამახვილებს საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორის წარმომადგენლის მიერ მიცემულ განმარტებებზე: მოსამართლის შეკითხვაზე მხარემ აღნიშნა, რომ იგი ენდობოდა მოწინააღმდეგე მხარეს და ამიტომ იღებდა შესრულებას, ხოლო მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა შესრულების ნაკლი, შეწყვიტა ხელშეკრულება.

1.3.5. საკასაციო პალატა მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით განმარტავს, რომ ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავისას გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით განსაზღვრული სტანდარტი, როდესაც ფაქტის მიმართე ბელე მხარე, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე, ვალდებულია, წარადგინოს განკუთვნილი მტკიცებულებები, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, ვითარებას ცვლის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა სპეციფიკურობა – ხელშემკვრელ მხარეებზე გვევლინებიან მენარმეები, რომელთა მიმართ კანონი, განსხვავებით სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივი სუბიექტებისაგან, წინდახედულობის მაღალ სტანდარტს ადგენს. ამგვარი მიდგომა ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, შესაბამისად, მტკიცების ზოგადპროცესუალური სტანდარტისაგან განსხვავებით, მატერიალური კანონმდებლობა ადგენს, რომ (სკ-ის 495-ე (1) მუხლი) თუ მყიდველი მენარმეა, ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს მყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. ამდენად მენარმეთა შორის ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლის თაობაზე წარმოშობილი დავისას არაჯეროვანი შესრულების მტკიცება ეკისრება შემძენს, რომელიც კანონით განსაზღვრული წინდახედულობის დარღვევის შემთხვევაში კარგავს შედავების უფლებას. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ ნივთობრივი ნაკლის გამოვლენის თაობაზე მხარეთა შორის ვადა დათ-

ქმული არ ყოფილა, უფრო მეტიც, მყიდველმა მიიღო საქონელი და განკარგა იგი, ხოლო წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ნაკლის არსებობის თაობაზე მის შედავებას დაადასტურებდა, საქმეში არ მოიპოვება, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ განკუთვნილობის თვალსაზრისით, კასატორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ შეიძლება, გახდეს საკმარისი შესრულების ნაკლის დადგენისათვის. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის ქვაკუთხედს ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერება წარმოადგენს და იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდა, რომ მწარმე გამყიდველი ნივთის ნაკლის გამო დუმდა, იგი სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილით ვერ დაიცავს თავს (იხ. სკ-ის 495-ე (2) მუხლი), თუმცა, ნიშანდობლივია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ნორმის წინაპირობების არსებობა – საქონლის ნივთობრივი ნაკლი, რომლის თაობაზეც განზრახ დუმდა გამყიდველი.

1.3.6. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.3.1. და 1.3.5. პუნქტებში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით გასაზიარებელია ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა, რომ გამყიდველმა შეასრულა ნასყიდობის საგნის გადაცემის ვალდებულება, საქონელი მიიღო მყიდველმა და მას წარმოეშვა ფასის გადახდის ვალდებულება.

1.3.7. რაც შეეხება შეგებებულ სარჩელს, ვინაიდან მის ფაქტობრივ საფუძველს ასევე წარმოადგენს ნივთობრივი ნაკლის მქონე შესრულება, რომლის ფარგლებშიც, როგორც შეგებებული მოსარჩელე განმარტავს, მას ვალდებულების გარეშე აქვს გადახდილი თანხა და ეს თანხა ექვემდებარება დაბრუნებას, პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს მას, რადგანაც ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებით გამოირიცხება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობა, შესაბამისად, მყიდველის მხრიდან ვერ იქნა დადასტურებული კონდიციური ვალდებულების წინაპირობების არსებობა (სკ-ის 385-ე მუხლის თანახმად, ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი).

#### **1.4. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების სამართლებრივი დასაბუთება:**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს, რომლის წინააღმდეგაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული შედავება არ ყოფილა წარმოდგენილი კასატორის მხრიდან. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ:



- ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი;
- ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა;
- გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

## **2. კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

2.1. 2017 წლის 25 ოქტომბერს კასატორმა განცხადებით მომართა სასამართლოს და მიუთითა მტკიცებულებებზე, რომელთა გამოკვლევაც სურდა მას. განცხადებას ერთვის საქმეში უკვე დაცული მტკიცებულებების ასლები.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოდგენს საკასაციო სამართალწარმოების სპეციალურ ნორმას, რაც გამორიცხავს ამ ნორმით მოწესრიგებული საკითხის სხვაგვარ რეგულაციას (სსსკ-ის 399-ე მუხლი), თავად მოხმობილი ნორმის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამდენად, საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითებას და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენას კანონი კრძალავს, ხოლო საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებების განმეორებით წარდგენა არ ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მტკიცებულებათა საქმისათვის განმეორებით დართვის საფუძველი, შესაბამისად, ისინი უნდა დაუბრუნდეს კასატორს.

## **3. სასამართლო ხარჯები:**

რადგანაც წინამდებარე განჩინებით კასატორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები, ხოლო, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 407-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კასატორს დაუბრუნდეს 25.10.2017წ. №ა-4413-17 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 61 (სამოცდაერთი) ფურცლად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ორმხრივი რესტიტუცია ვალდებულების შეუსრულებლობისას**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-19-19-2012

9 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი: თანხის დაბრუნება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 27 მაისს მ. კ-ქემ შპს „ო. მ-გან“ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 71 000 ევროს ეკვივალენტ ლარად შეიძინა ავტომანქანა BMW X6. მყიდველი ვალდებული იყო, ნასყიდობის ფასის ნაწილი – 35 000 ევრო გადაეხადა 2010 წლის 28 მაისამდე, ხოლო დარჩენილ 36000 ევროს გადაიხდიდა 9 თვის განმავლობაში თანაბარწილად, რომელსაც დაასრულებდა 2011 წლის 27 თებერვალს. მყიდველის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ნასყიდობის ფასის სრულად და დროულად გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, ავტომანქანა დაგირაჟდა გამყიდველის სასარგებლოდ.

2010 წლის 27 მაისს მყიდველმა გამყიდველს გადაუხადა ნასყიდობის ფასის ნაწილი – 35 000 ევროს ეკვივალენტი ლარი, ხოლო 2010 წლის 28 მაისს გამყიდველმა მყიდველს გადასცა ავტომანქანა.

2010 წლის 25 ივნისს მყიდველმა წერილით მიმართა გამყიდველს და ნასყიდობის საგანზე აღმოჩენილ ნაკლზე მითითებით მოითხოვა ხელშეკრულების ბათილად ცნობა და თანხის უკან დაბრუნება, რაზედაც 2010 წლის 26 ივნისს უარი მიიღო იმ საფუძველით, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობა და თანხის დაბრუნების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა ხელშეკრულების პირობებსა და საქართველოს კანონმდებლობას.

2010 წლის 14 ივლისს გამყიდველმა მყიდველს გაუგზავნა შეტყობინება, რომლითაც გამყიდველი ატყობინებდა მყიდველს, რომ შლიდა მყიდველთან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის გამო. ამასთან, შეტყობინებისვე მიხედვით, აძლევდა ვადას ამავე წლის 2 აგვისტომდე ნასყიდობის დარჩენილი ფასის გასდასახდელად.

2011 წლის 5 იანვარს მყიდველმა შექმნილი ავტომანქანა გამყიდველს საკუთრებაში დაუბრუნა.

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა: ნივთის ნაკლის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა და გადახდილი 35 000 ევროს უკან დაბრუნება.

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ავტომანქანა გადაცემის დღესვე – 2008 წლის 28 მაისს გამოვიდა მწყობრიდან. მყიდველმა ავტომანქანის ნაკლის გამო დაკარგა ავტომანქანის შექმნის ინტერესი და მოპასუხე ვალდებულია, დაუბრუნოს გადახდილი 35 000 ევრო.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, ავტომანქანას არ ჰქონდა ნაკლი, შესაბამისად, მოსარჩელეს არ ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე. ამასთან, ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს არ უნდა დაუბრუნდეს ავტომანქანის შესაძენად გადახდილი 35 000 ევრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს დაეკისრა 35000 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 505-ე, 490-ე, 491-ე, 352-ე, 508-ე მუხლები. სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დაადგინა, რომ ავტომანქანა ტექნიკურად გამართული და ვარგისი იყო ექსპლუატაციისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მყიდველი სსკ-

ის 352-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით ვერ ისარგებლებდა, მაგრამ, რაკი გამყიდველმა თავად მოშალა ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების 9.10 პუნქტის შინაარსის მიუხედავად, იგი ვალდებული იყო, სსკ-ის 508-ე მუხლის საფუძველზე, მყიდველისათვის დაებრუნებინა გადახდილი 35 000 ევრო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების საფუძველი გახდა არა გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, არამედ თავად მყიდველის მიერ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა – ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის გადაუხდელობა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 508-ე მუხლით, რადგან მოცემულ შემთხვევაში, გამყიდველი ხელშეკრულებიდან კი არ გავიდა, არამედ მოშალა ხელშეკრულება, რისი უფლებამოსილებაც მას ჰქონდა მყიდველის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო. ამასთან, მხარეებმა ხელშეკრულებით გამორიცხეს ხელშეკრულების მოშლამდე გადაცემული თანხის უკან დაბრუნების შესაძლებლობა (9.3. პუნქტი). პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული დათქმა გამომდინარეობდა ნების ავტონომიის პრინციპიდან და არ ეწინააღმდეგებოდა კანონს.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

– სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად იხელმძღვანელა 399-ე მუხლით, რომელიც არ ითვალისწინებს ორმხრივ რესტიტუციას. ნების ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები რომც შეთანხმებულიყვნენ ამგვარ პირობაზე, მოცემულ შემთხვე-

ვაში, მისი გამოყენება არასწორია, რამდენადაც გამყიდველმა მანქანა ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე დაიბრუნა, მითითებული მუხლი კი, ცალმხრივ რესტიტუციას არ ითვალისწინებს.

– სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 508-ე მუხლი, რომელიც გრძელვადიან ურთიერთობაზე კი არ ვრცელდება, არამედ სწორედ განვადებით ნასყიდობის დროს ვალდებულების დარღვევის გამო მხარის ხელშეკრულებაზე უარის თქმისას გამოიყენება. მყიდველის დაცვის გარანტია სწორედ მითითებული ნორმაა, რომელიც არ უშვებს მყიდველისათვის არასამართლიან შედეგს – გამყიდველის მიერ ცალმხრივი რესტიტუციის გზით. ამიტომ არის 508-ე მუხლი იმპერატიული და გამორიცხავს ნებისმიერ ავტონომიურ გარიგებას, რომელიც ამ პირობას ეწინააღმდეგება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეტუთე ნაწილის „ა“ და „გ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი დაკმაყოფილდეს.

სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორს პრეტენზია არ წარმოუდგენია, ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასაბუთებულია კასატორის პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (სსკ-ის 508-ე მუხლის) არასწორად განმარტების თაობაზე, რამაც იურიდიულად დაუსაბუთებული გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო (ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა) გამყიდველი ხელშეკრუ-

ლებიდან კი არ გავიდა, არამედ მან მოშალა ხელშეკრულება. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში კი, მხარეთა შეთანხმებით, უკვე განხორციელებული შესრულება მყიდველს არ უნდა დაბრუნებოდეს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობას და მიუთითებს, რომ ხელშეკრულება დასრულდა მოშლით თუ ხელშეკრულებიდან მხარის გასვლით – სასამართლომ მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის ანალიზის საფუძველზე უნდა შეაფასოს და არა – ხელშეკრულებაში მითითებული ტერმინებით.

ხელშეკრულების მოშლა, რომლის სამართლებრივი შედეგი არ არის რესტიტუცია (არამედ მოშლის მომენტიდან მხარეთა ვალდებულებების შესრულების მოვალეობის დამთავრებაა), დამახასიათებელია გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობისათვის. მოშლის სამართლებრივ შედეგს განაპირობებს სწორედ ის, რომ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ არის გამართლებული მიღებული შესრულების უკან დაბრუნება, ამასთან, ამგვარ ურთიერთობებში უკუქცევა რთული ან შეუძლებელიც კი არის.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება თავისი შინაარსით არ იყო გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ გასვლის შედეგი – მხარეთა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, სწორედ ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამოიხატება ყველაზე ნათლად – მყიდველი ნაყიდ ნივთს, ხოლო გამყიდველი – გადახდილ ფულს აბრუნებს. მართალია, მოცემულ შემთხვევაში განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაა დადებული, თუმცა მყიდველის მიერ ნივთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ (ცხრა თვის განმავლობაში), მას გრძელვადიან სამართლებრივ ურთიერთობად ვერ აქცევს. გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაში შესრულება გათვალისწინებულია დროის დიდ მონაკვეთში ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე, არ იკვეთება მოპასუხის მიერ მითითებული სსკ-ის 399-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები. ამასთან, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ რომ სწორედ ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) და არა ხელშეკრულების მოშლის (ხელშეკრულების შეწყვეტის) ინსტიტუტი მოქმედებს, დასტურდება სსკ-ის 508-ე მუხლითაც (თუ გამყიდველი იტოვებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევისათვის, როცა მყიდველი არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, უარის თქმისას ყოველი მხარე ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. ამის სანინააღმდეგო შეთანხმე-

ბა ბათილია), რომელიც ორმხრივი რესტიტუციის ვალდებულებას აწესებს.

კანონის მითითებულ დანაწესს, მხარეები ვერ შეცვლიან ვერც იმ გზით, თუ ხელშეკრულებიდან გასვლას ხელშეკრულების მოშლას დაარქმევენ, ვინაიდან, როგორც ითქვა, გადამწყვეტია სამართლებრივი ურთიერთობისა და ხელშეკრულების შინაარსი და არა – მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ტერმინი. ამდენად, ხელშეკრულების 9.3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში მყიდველს გადახდელი ნასყიდობის საფასური არ უბრუნდება“, ბათილი პირობაა, ვინაიდან ხელშეკრულების მოშლა, მოცემულ შემთხვევაში, ტერმინოლოგიურად არაზუსტია და უნდა განიმარტოს ხელშეკრულებიდან გასვლად. სსკ-ის 508-ე მუხლი კი, იმპერატიულია და განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეთა შეთანხმებით რესტიტუციის ვალდებულების გამორიცხვას დაუშვებლად მიიჩნევს.

ამასთან, ასეც რომ არ იყოს, მოპასუხის მიერ თანხის დაუბრუნებლობის არგუმენტად ხელშეკრულების მოშლასა და 9.3 პუნქტზე მითითება არ გამოდგება იმიტომაც, რომ ფაქტია, გამყიდველმა ნასყიდობის საგანი საკუთრებაში დაიბრუნა, შესაბამისად, ის დაეთანხმა თავის უფლებრივ რესტიტუციას, ე.ი. ხელშეკრულებიდან გასვლას. ცალმხრივი რესტიტუცია კი, არ არის არც ხელშეკრულების მოშლის და არც მასზე უარის თქმის შედეგი.

ამრიგად, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, მის მიერ გადახდელი ნასყიდობის ფასის დაბრუნების მოთხოვნა, სსკ-ის 508-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს.

რესტიტუციის წინაპირობა ხელშეკრულებიდან მართლზომიერად გასვლაა, რომლის წინამძღვრები, თავის მხრივ, ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა, ხელშეკრულების დარღვევა (მნიშვნელოვანი დარღვევა), დამატებითი ვადის დაწესება (ან ასეთი ვადის დაწესების ამაოება), ამ ვადის უშედეგოდ ამოწურვა და გასვლის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობაა.

მოცემულ შემთხვევაში, მყიდველმა დაარღვია ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, ნასყიდობის დარჩენილი საფასური ხელშეკრულებით დადგენილ და არც შემდგომ, გამყიდველის მიერ დაწესებულ დამატებით ვადაში არ გადაიხადა. ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა არც საქმის მასალებით არ იკვეთება და მასზე არც მხარეები მიუთითებენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შესრულებულია სსკ-ის 405.1 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, რის გა-

მოც გამყიდველმა, როგორც რესტიტუციის მოვალემ, მოსარჩელეს (რესტიტუციის კრედიტორს), უნდა დაუბრუნოს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი თანხა – 35 000 ევროს ეკვივალენტი ლარი.

სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდეს.

სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე მოსარჩელემ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 6285.43 ლარი. ამდენად, რაკი მოსარჩელის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 6285.43 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **ბ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება



და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. შპს „ო. მ-ს“ მ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 35000 ევროს გადახდა ეროვნულ ვალუტაში;

5. შპს „ო. მ-ს“ მ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გაღებული 6285.43 ლარის გადახდა;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა

### საიჯარო ქონების მდგომარეობა. მისი რამონტი

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-184-177-2016

12 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობა, იპოთეკის ხელშეკრულებების შეწყვეტილად ცნობა, სააღსრულებო ფურცლის გაუქმება, ზიანის ანაზღაურება (სარჩელში), ზიანის ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში)

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა. გ-მა“ (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეიჯარე, მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი, პირველი აპელანტი, პირველი კასატორი) და შპს „მ-ომ“ (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოიჯარე, მოსარჩელე, მეორე აპელანტი, მეორე კასატორი) 2013 წლის 30 მაისს დადეს იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მეიჯარემ მოიჯარეს 2019 წლის 30 ივნისამდე სარგებლობაში გადასცა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე 83 780 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე არსებული სასათბურე მეურნეობა (შენობა – ნაგებობები და ინვენტარი). მოსარჩელემ მიღება – ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურა, რომ იჯარის საგანი შეესატყვისებოდა შეთანხმებულ ხარისხს.

2. ხელშეკრულების თანახმად, პირველი სეზონის (2013 წლის 30 მაისიდან 2014 წლის 30 ივნისამდე) განმავლობაში, მოიჯარეს ქირა – 300 000 აშშ დოლარი ეტაპობრივად, 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 აპრილის ჩათვლით, ყოველთვიურად 75 000 აშშ დოლარის (დღგ-ს გარეშე) ეკვივალენტი ლარი უნდა გადაეხადა (2013 წლის 21 ოქტომბერს იჯარის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კომუნალურ გადასახადებს გადაიხდიდა მეიჯარე, რისთვისაც იჯარის თანხას დამატებოდა შესაბამის თვეში კომუნალური გადასახადების გადახდისათვის საჭირო თანხა, რომელსაც მოიჯარე მეიჯარეს გადასახადის გადახდისათ-

ვის დადგენილ თარიღამდე ორი დღით ადრე გადასცემდა).

3. მეიჯარემ და ზ. ზ-მა (შემდეგში – მესაკუთრე) 2013 წლის 30 მაისს დადეს იპოთეკის ხელშეკრულებები (№..., №...) და იპოთეკით დაიტვირთა მეორე მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, სოფელ ... მდებარე ორი უძრავი ქონება (საკადასტრო კოდით ...; ...), რომელმაც იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი მოიჯარის ვალდებულება უზრუნველყო. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეიჯარეს უფლება ჰქონდა, მიემართა ნოტარიუსისათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით.

4. მეიჯარემ და მ. გ-მა (შემდეგში – მესაკუთრე), რომელიც წარმოდგენილი იყო მეორე მოსარჩელით, 2013 წლის 30 მაისს დადეს (№...) იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა მესამე მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ... სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდით ...). იპოთეკის ხელშეკრულებამ იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი მოიჯარის ვალდებულება უზრუნველყო, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეიჯარეს უფლება ჰქონდა, მიემართა ნოტარიუსისათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით.

5. 2013 წლის 9 დეკემბერს საიჯარო ქონების ნაწილი – 33 000 კვ. მეტრზე გაშენებული სასათბურე მეურნეობის კონსტრუქცია ჩამოიშალა, სხვა დამხმარე 11 000 კვ. მეტრზე მდგომი ნაგებობა არ დაზიანებულა.

## **6. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:**

- 6.1 მიუღებელი შემოსავლის – 2 071 620 ლარის ანაზღაურება;
- 6.2 ძირითადი საშუალებების განადგურებით მიყენებული ფაქტობრივი ზიანის – 46 190 ლარის ანაზღაურება;
- 6.3. მოსარჩელის მიერ გაღებული და აუნაზღაურებელი ხარჯის – 731 547 ლარის ანაზღაურება;
- 6.4. მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის საიჯარო ქირის სახით გადასახდელი 525 000 ლარის – როგორც ზიანის ანაზღაურება.
- 6.5. 2014 წლის 24 იანვრიდან იჯარისა და იპოთეკის ხელშეკრულებების შეწყვეტილად აღიარება.

7. პირველი მოსარჩელის მტკიცებით, სასათბურე მეურნეობა, როგორც შემდეგ გაირკვა, აშენებული იყო სამშენებლო ნორმების დარღვევით. ექსპლუატაციისათვის ვარგისი არ იყო არც სათბურის გათბობის სისტემა, რის გამოც სათბურმა ვერ გაუძლო ნალექის სახით მოსულ თოვლს და დაინგრა. მოსარჩელეს გაუნადგურდა სათბურებში მოყვანილი მოსავალი, იქ არსებული ძირითადი სა-

შუალეები. ამასთან, ვერ მიიღო ის შემოსავალი, რომელსაც ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის პირობებში მიიღებდა.

8. მოპასუხემ მოთხოვნის წარმოშობის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სათბურის მშენებლობისას დაცული იყო სამშენებლო ნორმები. სათბურში დამონტაჟებული გათბობის სისტემა ცექსპლუტაციისათვის ვარგისი იყო. მართალია, ის ავტომატურად ასრულებდა დავალებებს, მაგრამ მუდმივად ესაჭიროებოდა კონტროლი რეალურ ტემპერატურულ რეჟიმზე დროულად რეაგირების მიზნით, რაც გამოიხატებოდა კომპიუტერული მართვის პანელიდან ახალი დავალებების მიცემით. ამასთან, მოიჯარემ საიჯარო ქონება მის ჩაბარებამდე შეამონმა და შენიშვნა არ ჰქონია.

9. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი წარადგინა სათბურის დანგრევის შედეგად მიყენებული ზიანის – 1 345 096 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით. მისი მტკიცებით, იჯარით გადაცემულ ქონებაში მოსარჩელემ დაარღვია გათბობის სისტემის ექსპლუატაციის წესები, რის გამოც სათბურის საფარზე თოვლი არ დადნა, დაგროვდა და კონსტრუქცია დაინგრა.

10. მოიჯარემ შეგებებული სარჩელი არ ცნო. მისი მტკიცებით, იმის შემონმება, გათბობის სისტემა უზრუნველყოფდა თუ არა თოვლის დნობას, შეუძლებელი იყო, რადგან ქონება მაისში გადაეცა. 2013 წლის ნოემბერში გათბობის სისტემის სრული დატვირთვით ჩართვის შემდგომ მოიჯარემ შეამჩნია, რომ ის ვერ უზრუნველყოფდა სათბურში სასურველი ტემპერატურის შენარჩუნებას. მოსარჩელემ მიმართა მესაკუთრეს, რათა მას ნაკლი გამოესწორებინა, მაგრამ უშედეგოდ. ამასთან, ქონების გადაცემის დროს მოიჯარისათვის შეუძლებელი იყო იმის დადგენა, სათბური პროექტის მიხედვით იყო აშენებული თუ არა. შენობის პროექტთან შეუსაბამობა მხოლოდ ექსპერტიზის შემდეგ გახდა ცნობილი.

11. ნოტარიუსმა მეიჯარის მიმართვის საფუძველზე, იპოთეკის ხელშეკრულებათა შესაბამისად, 2014 წლის 7 მარტს (აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა – 194173.18 ლარი), 14 მარტსა (აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა – 130 000 ლარი) და 21 მარტს (ვალდებულების მოცულობა – 70 000 ლარი) სააღსრულებო ფურცლები გასცა, რომლითაც დადგინდა იპოთეკის საგანთა რეალიზაცია.

**12. 2014 წლის 22 აპრილს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხისა და ნოტარიუს ბ. კ-ის (შემდეგში – ნოტარიუსი) წინააღმდეგ სააღსრულებო ფურცლების გაუქმების მოთხოვნით.**

12.1. მოსარჩელის მტკიცებით, ხელშეკრულება, რომელსაც უძრავი ქონება უზრუნველყოფდა, შეწყვეტილია მეიჯარის მიერ მო-

იჯარისათვის ზიანის მიყენების გამო. ამდენად, მოპასუხეა ვალდებული აუნაზღაუროს ზიანი მოიჯარეს, რის გამოც იპოთეკის ხელშეკრულებებიც უნდა შეწყდეს.

12.2. ამასთან, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა მოვალის მიერ ვადამოსული მოთხოვნის შეუსრულებლობისას. სააღსრულებო ფურცლებშივეა მითითებული, რომ ვალდებულება მოიჯარის მიერ უნდა შესრულდეს არაუგვიანეს 2019 წლის 30 ივნისისა. შესაბამისად, დაუსაბუთებელია ქონების რეალიზაცია იმ ვალდებულებებისათვის, რომლის შესრულების დრო ჯერ არ დამდგარა. მოსარჩელის პრეტენზია ისიცაა, რომ სააღსრულებო ფურცლები არ შეიცავს კანონით დადგენილ რეკვიზიტებს, მასში არ არის მითითებული აღსასრულებელი მოთხოვნის შესახებ.

13. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის შეწყვეტილია მხოლოდ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გასაწევი საიჯარო მომსახურება. უდავოა, რომ 30.05.2013 წლიდან 09.12.2013 წლამდე მოიჯარე სარგებლობდა საიჯარო ქონებით, აგრეთვე, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, მეიჯარე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, რომელიც შემდეგ ამ უკანასკნელისათვის უნდა აენაზღაურებინა მოიჯარეს. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს დღემდე არ გადაუხდია არც საიჯარო ქირა და არც კომუნალური გადასახადები.

14. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 იანვრის განჩინებით იპოთეკის ხელშეკრულებების შეწყვეტასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნის არასათანადო მოსარჩელე – მოიჯარე შეიცვალა სათანადო მოსარჩელით – მესაკუთრეებით.

**15. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, ზიანის ანაზღაურების, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების შეწყვეტილად ცნობის თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა;**

15.1. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, მოიჯარეს დაეკისრა ზიანის სახით სათბურის ლითონ-კონსტრუქციების, ელგაყვანილობის, გათბობის, სარწყავი და ვენტილაციის სისტემის ღირებულების – 1 345 096 ლარის ანაზღაურება მეიჯარის სასარგებლოდ;

15.2. მოსარჩელეს დაეკისრა მოპასუხის მიერ განეული საპროცესო ხარჯის (სახელმწიფო ბაჟი, წარმომადგენლის მომსახურების ხარჯი, საექსპერტო და სააუდიტო მომსახურების ხარჯი) – 23 425 ლარისა და 65 თეთრის ანაზღაურება.

**16. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სა-**

**ქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 316-ე, 317-ე, 394-ე, 405-ე, 408-ე, 412-ე, 427-ე, 532-ე, 573-ე, 581-ე მუხლები და დასკვნა:**

16.1. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოსარჩელისათვის ნივთობრივი ნაკლის მქონე ქონების გადაცემა. სასათბურე ნაგებობა აკმაყოფილებდა მდგრადობისა და სიმტკიცის პირობებს. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ სათბურის ნგრევა გამოიწვია მშენებლობის დროს სამშენებლო ნორმების დარღვევამ, სამშენებლო პროექტისგან გადახვევამ და მშენებლობის პროცესში უხარისხო მასალის გამოყენებამ.

16.2. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2014 წლის 19 მაისის ექსპერტიზისა (შემდეგში – შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნა) და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნები (შემდეგში – ტექნიკური უნივერსიტეტის დასკვნა) და დაადგინა, რომ სათბური დაინგრა თავად მოპასუხის მიერ გათბობის სისტემის არასწორი ექსპლუატაციის გამო. სასამართლოს აზრით, ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმით გამოიხატა, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სათბურში შესაბამისი ტემპერატურის შენარჩუნება, რის გამოც სათბურის საფარზე დაგროვდა თოვლი, რომელიც ვერ დადნა, კონსტრუქციამ განიცადა ზენორმატიული სტატიკური და დინამიკური დატვირთვა და ჩამოინგრა.

16.3. სასამართლომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი სასათბურე მეურნეობაში მიმდინარე ტექნოლოგიური ციკლის, მათ შორის, წყლისა და ჰაერის ტემპერატურული რეჟიმის აღმრიცხველი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის ამონაწერის ასლით გამოარკვია, რომ 2013 წლის 9 დეკემბერს სათბურში ტემპერატურული რეჟიმი დაირღვა – ღამის საათებში + 10 C-ეც კი დაეცა. ამ დროისათვის სათბურის გათბობის სისტემის მუშაობაზე ზედამხედველი პირი სათბურის შიგნით შექმნილ ტემპერატურას არ აკონტროლებდა. ეს ფაქტი დაადასტურა თავად ზედამხედველობაზე პასუხისმგებელმა პირმა, რომლის განმარტებით, 2013 წლის 9 დეკემბრის 03.00 საათიდან 08.00 საათამდე ეძინა.

16.4. ამასთან, მოპასუხემ დამატებით წარმოადგინა შპს „პ-ის“ 2014 წლის 26 მარტის საექსპერტო დასკვნა, რომლის თანახმად, სასათბურე მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული სასათბურე ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები აკმაყოფილებს სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის პირობებს იმ ნორმირებულ დატვირთვებზე,

რომლებიც განსაზღვრულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.

16.5. რაც შეეხება ზიანს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, სარჩელში მითითებული რაოდენობით პომიდურის მოყვანის და შესაბამის ფასად რეალიზაციის, ასევე მის მიერ მოთხოვნილი მოგების მიუღებლობის ფაქტი. მოსარჩელემ ვერც ნგრევის შედეგად 46 190 ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობის განადგურება დაამტკიცა.

16.6. იჯარის გადაუხდელი თანხის, 525 000 ლარის, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ, რადგანაც მოპასუხეს ვალდებულება არ დაურღვევია, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, მოსარჩელის გამოვლენილი ნება მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის საფუძველით, ნამდვილი (იურიდიული ძალის მქონე) ვერ იქნებოდა.

16.7. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს იპოთეკის ხელშეკრულებების შეწყვეტილად ცნობის მიმართ, იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, არ ჰქონდათ ნამდვილი იურიდიული ინტერესი. ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი არის ვალდებულების შესრულება, მოსარჩელეს კი, საიჯარო ქირის დავალიანება ჰქონდა, რის გამოც იპოთეკის ხელშეკრულების შეწყვეტას ვერ მოითხოვდა.

16.8. სასამართლომ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხის შეგებებული სარჩელი მოსარჩელის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარეობდა და, სსკ-ის 573-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დააკმაყოფილა.

**17. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით –** სარჩელი სააღსრულებო ფურცლების გაუქმების მოთხოვნით დაკმაყოფილდა, გაუქმდა ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 7 მარტს (№...), 2014 წლის 14 მარტსა (№...) და 2014 წლის 21 მარტს გაცემული (№...) სააღსრულებო ფურცლები.

17.1. სასამართლომ იხელმძღვანელა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით, მე-40 მუხლის პირველი, მე-2, მე-6 პუნქტებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ 72-ე მუხლით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით და მიუთითა, რომ, ვინაიდან მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალე შესაძლოა, წარმოადგენდეს მხოლოდ ერთ პირს, სამი სააღსრულებო ფურცლის გაცემა არ დაიშვებოდა.

17.2. ამასთან, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცლებში „აღსასრულებელი ვალდებულების სახედ“ მითითებულია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება, მაშინ, როცა მითითებული ნორმების თანახმად, აღსასრულებელი ვალდებულების სახე უნდა შეიცავდეს შეუსრულებელი, ძირითადი ანდა დამატებითი ვალდებულებების შესახებ მონაცემებს (იჯარის ქირა, პირგასამტეხლო, კომუნალური გადასახადი და ა.შ) და არა – ამ ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბუნდოვანი იყო, კონკრეტულად რომელი შეუსრულებელი ძირითადი თუ დამატებითი ვალდებულების დაკმაყოფილების მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

**18. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება მოიჯარემ და მესაკუთრეებმა (შემდეგში ასევე ერთად მოხსენიებული, როგორც მეორე აპელანტი, მეორე კასატორი) სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.**

18.1. მოიჯარის მტკიცებით, სადავო სათბური არ იყო აშენებული შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით: სათბურის მშენებლობა დაიწყო და დამთავრდა 2009 წელს, სამშენებლო პროექტი კი, მომზადდა და მშენებლობის ნებართვა გაიცა 2010 წელს. ამდენად, სათბური აშენდა სამშენებლო ნორმების უხეში დარღვევით, რამაც გამოიწვია მისი ნგრევა.

18.2. არასწორია რაიონული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ სასათბურე მეურნეობა აკმაყოფილებდა მდგრადობისა და სიმტკიცის პირობებს. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნათაგან მხოლოდ ორის მიხედვით არის გამოკვლეული უშუალოდ ნგრევის მიზეზები: შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნის თანახმად, სათბური დაინგრა პროექტირებისას და მშენებლობისას დაშვებული შეცდომების გამო, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკური დასკვნის თანახმად, აშენებულია მშენებლობის ნებართვაში მითითებული პარამეტრებისა და მოთხოვნების უხეში დარღვევით, რამაც ერთობლივად გამოიწვია მზიდი ელემენტების გადაძაბვა და მდგრადობის დაკარგვა.

18.3. საქმის მასალებით დგინდება, რომ სათბურის ნგრევის დღეს თოვლის მაქსიმალურმა ზენოლამ შეადგინა 65-70 კგ/მ, ხოლო ქარის ზენოლამ – 10.6 კგ/მ; სათბურის სამშენებლო პროექტის თანახმად კი, სათბურს უნდა გაეძლო თოვლისა და ქარის ზე-



წოლისათვის კგ/მ 70 კგ/მ კომბინირებულად. შესაბამისად, სათბური არ დანგრეულა თოვლის/ქარის ზენორმატიულ დატვირთვით, რასაც მონიშნავს ის ფაქტიც, რომ სათბურის გარდა გარშემო არსებული შენობა-ნაგებობები მყარად იდგა.

18.4. სასამართლომ გათბობის სისტემიდან ამონაწერებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ სათბურში ჰაერის ტემპერატურა 10 C-მდე იყო დაცემული. ამგვარი ტემპერატურა გათბობის სისტემაში არ დაფიქსირებულა. ამასთან, შენობის მდგრადობა არ არის დამოკიდებული მის შიგნით არსებულ ტემპერატურაზე, რომლის სათანადო დონის შენარჩუნება მნიშვნელოვანია მხოლოდ სათბურში არსებული მცენარეების ზრდა-განვითარებისათვის.

18.5. მოპასუხემ გათბობის სისტემასთან დაკავშირებით წარმოადგინა 4 დასკვნა: ინდივიდუალური მენარმე რ. დ-იძის (რომელიც წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სპეციალისტია) მიერ შედგენილი 2 დასკვნა და თურქული კომპანიის 2 დასკვნა, რომელმაც გაიყვანა და შემდგომში გადააკეთა გათბობის სისტემა. ამდენად, ოთხივე დასკვნა არაკომპეტენტური და საქმის შედეგით დაინტერესებული პირების მიერ მომზადებულია. ამასთან, დასკვნები არის უზუსტო და ზოგადი, კონკრეტულად არ არის მითითებული, თუ რა დაარღვია მოიჯარემ, რა უნდა გაეკეთებინა გათბობის სისტემის სრულფასოვნად მუშაობისათვის და არ გააკეთა.

18.6. სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო შპს „ნ-ა-ის“ დასკვნა, რომელიც ეფუძნებოდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი სათანადო დოკუმენტაციის ანალიზს 2013-2014 წლებში ჰომიდვრის ოდენობისა და სარეალიზაციო ფასების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს მომსახურებას უწევდა ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური ჰოლანდიური კომპანია, რომლის მუდმივი მეთვალყურეობითა და დავალებების შესრულებით მოსარჩელეს 2013 წლის 9 დეკემბრისათვის მოყვანილი ჰქონდა 1მ-ზე 4.57 კგ პომიდორი.

18.7. სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იჯარის ქირის სახით გადასახდელი თანხის 525 000 ლარის ზიანის ანაზღაურებას შესახებ მოთხოვნაზე. ასევე დაუსაბუთებლად უარყო მოსარჩელის მიერ 731547 ლარი ხარჯის განევისა და 46190 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებების განადგურების თაობაზე შპს „ნ-ა-ის“ დასკვნა. დასკვნა შეიქმნა არა მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის, არამედ – სხვა საწარმოებიდან, სსიპ შემოსავლების სამსახურის ელექტრონული პორტალიდან, „ორი-სის“ ელექტრონული პროგრამიდან ამოღებული ინფორმაციით, საკონტროლო სალარო აპარატების ქვითრებითა და სხვ.

**19. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20**

**მაისის გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.**

19.1. კრედიტორის მოთხოვნები, რომელზედაც გამოიწერა სააღსრულებო ფურცლები, ვადამოსული იყო, რადგან 2013 წლის 9 დეკემბრამდე დარიცხული საიჯარო ქირა (მათ შორის – კომუნალური გადასახადები) უნდა გადახდილიყო 2014 წლის 1 იანვრიდან.

19.2. მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავდა ნოტარიუსს, გაცვა რამდენიმე სააღსრულებო ფურცელი, თუნდაც ერთი მოვალის პირობებში, რადგან სახეზე იყო სსკ-ის 287-ე მუხლით გათვალისწინებული საერთო იპოთეკა, როცა კრედიტორს შეეძლო, საკუთარი მოთხოვნები დაექმაცყოფილებინა არჩევით, იპოთეკით დატვირთული ნივთებიდან ცალ-ცალკე. ამდენად, სამი სააღსრულებო ფურცლის გაცემა, პირიქით, ემსახურებოდა მოვალის ინტერესის დაცვას და გამორიცხავდა კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას.

19.3. სააღსრულებო ფურცლები შეიცავდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა რეკვიზიტს და მათში მონაცემების ასახვისას არ დაშვებულა არსებითი ხასიათის უსწორობა.

20. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის საოქმო განჩინებით წინამდებარე სამოქალაქო საქმეები ერთ ნარმოებად გაერთიანდა.

**21. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – მეიჯარისა და ნოტარიუსის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.**

21.1. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების გაუქმების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

21.2. გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და განახლდა შეჩერებული სააღსრულებო საქმეების (№A...; №A...; №A...) ნარმოება;

21.3. მეორე აპელანტთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

21.4. მოიჯარის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

ა) 2013 წლის 30 მაისის იჯარის ხელშეკრულება ჩაითვალა შეწყვეტილად 2014 წლის 24 იანვრიდან;

ბ) მოპასუხეს დაეკისრა 30023.5 ლარის გადახდა მოსარჩელის

სასარგებლოდ;

გ) მოპასუხეს დაეკისრა 1346553 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ;

დ) მოპასუხეს დაეკისრა 8255 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ;

ე) მოპასუხეს დაეკისრა 13000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ;

ვ) მოპასუხეს დაეკისრა 10000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

21.5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

21.6. მესაკუთრეთა სარჩელი 2013 წლის 30 მაისს დადებული იპოთეკის №..., №... და №... ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

21.7. მოპასუხის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

ა) მოიჯარეს დაეკისრა 470783.6 ლარის გადახდა მეიჯარის სასარგებლოდ;

ბ) მოიჯარეს დაეკისრა 2030 ლარის გადახდა მეიჯარის სასარგებლოდ;

გ) მოიჯარეს დაეკისრა 2450 ლარის გადახდა მეიჯარის სასარგებლოდ;

დ) მოიჯარეს დაეკისრა 4600 ლარის გადახდა მეიჯარის სასარგებლოდ.

21.8. დანარჩენ ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

22.1 სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მეიჯარის პოზიცია, რომლის თანახმადაც, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, სამშენებლო საქმიანობისას გამოიყენება სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმები, წესები და რეგულირების სხვა დოკუმენტები, მათ შორის – „სათბურები“ (СНИП 2.10.04.-85). პირველი აპელანტის მტკიცებით, ამ აქტების თანახმად, საქართველო გეოგრაფიულად მდებარეობს მეორე კატეგორიის ზონაში, რის გამოც სათბურზე თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა, ზოგადად, შეადგენს 15 კგძ/მ-ზე და არ აღემატება 21 კგძ/მ-ზე. ამ ნორმაზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წლის 9 დეკემბერს სათბურზე მოსული თოვლის საფარი 1 მ-ზე აღემატებოდა 100 კგ-ს, ექსპერტებს უნდა გამოეკვლიათ სათბურის არსებული ნაგებობის შესაბამისობა სწორედ ზემოთ მითითებული, სპეციალური ნორმატიული აქტის სტანდარტებთან და თოვლის ზენორმატიული დატვირთვის (რასაც ემატებოდა

ქარის სიჩქარე(ც) პირობებში ნგრევის მიზეზად მშენებლობის წესების დარღვევა აღარ უნდა მიეჩნიათ.

სააპელაციო სასამართლომ ამ მოსაზრების საპირისპიროდ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმატიული აქტით, მართალია, დაწესებულია გარკვეული ნორმატივები, თუმცა ამჟამად, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის, ეს ნორმატივები არასაკმარისია. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ აჭარა გამოირჩევა ყოველნაირი ნალექების (მათ შორის – თოვლის) სიუხვით, რის დასადასტურებლადაც საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულებები.

22.2. სააპელაციო სასამართლომ იმაზეც მიუთითა, რომ სადავო სათბურის მშენებლობისას მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის – „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება და სხვა) თანახმად, მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელი იყო მიეჯარეს, დადგენილი წესით, შეექმნა სამშენებლო დოკუმენტაცია (მათ შორის – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი), მოეპოვებინა მშენებლობის ნებართვა და მხოლოდ ამის შემდგომ აეშენებინა სათბური. უდავოა, რომ სათბური აშენდა 2009 წელს, სამშენებლო დოკუმენტაცია კი, შეიქმნა 2010 წელს. ამდენად, სათბური თავიდანვე უკანონოდ აშენდა.

22.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პალატა ვერ უარყოფდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნებს იმ მოტივით, რომ ექსპერტებმა უგულებელყვეს მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის გამოკვლევის მეთოდოლოგია („შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის წესები“, СП 13-102-2003), რადგან ეს მეთოდოლოგია არ არის ჩამოყალიბებული რომელიმე ნორმატიულ აქტში და, შესაბამისად, ვერ იქნება ექსპერტიზისას სავალდებულოდ შესასრულებელი. ამასთან, ორივე დასკვნაში ლოგიკური თანმიმდევრობითა და დასაბუთებულად არის გადმოცემული საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ფაქტები და მათი შეფასება სპეციალური ცოდნის გამოყენებით. ამ დასკვნების საწინააღმდეგო, იმავე სახის მტკიცებულება სათბურის ნგრევის მიზეზის კვლევასთან დაკავშირებით, საქმეში წარმოდგენილი არ არის.

22.4. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო სათბური 2009 წელს აშენდა კანონდარღვევით, არქიტექტურულ – სამშენებლო პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე. ამასთან, ფაქტობრივად აშენებული შენობა – ნაგებობა არ იყო სათანადოდ მდგრადი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული კლი-

მატური პირობებისადმი. მართალია, სადავო სათბურზე 2010 წელს დამუშავდა სამშენებლო დოკუმენტაცია და 2011 წელს იგი ვარგისად აღიარეს, რაზედაც არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტები, თუმცა ეს ვითარებას არ ცვლის, რადგან ისიც უდავოა, რომ ფაქტობრივად ამენებული შენობა-ნაგებობის პარამეტრები არ შეესაბამებოდა შეთანხმებულ არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტს, რის გამოც ობიექტი არ უნდა ყოფილიყო ვარგისად აღიარებული.

22.5. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე მტკიცების საგნის შემდეგი ელემენტი იყო – სათბურში დამონტაჟებული გათბობის სისტემა უზრუნველყოფდა თუ არა კონსტრუქციაზე არსებული თოვლის დნობას; დამოკიდებული არის თუ არა კონსტრუქციის მდგრადობა შენობის შიგნით შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის შექმნაზე; და თუ არის, უნდა დადგინდეს – გააკეთა თუ არა ყველაფერი მოიჯარემ ამ რეჟიმის შესაქმნელად.

22.6. პალატამ აღნიშნა, რომ მეიჯარემ ვერც კონკრეტული მტკიცებულება ვერ წარადგინა და ვერც რომელიმე სამართლებრივ ნორმაზე ვერ მიუთითა იმის დასადგენად, რომ შენობის კონსტრუქციული მდგრადობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა შენობის შიგნით შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის შექმნა იყო. შესაბამისად, პალატამ გაიზიარა მოიჯარის მოსაზრება, რომ სათბურში შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის შექმნა, ძირითადად, აუცილებელი იყო მასში მცენარეთა აღმოცენება-მოყვანისათვის.

22.7. საქმეში წარმოდგენილია ფოტოსურათები, რომლებიც გადაღებულია 2013 წლის 9 დეკემბერს, სათბურის დანგრევამდე რამდენიმე საათით ადრე, სადაც ჩანს, რომ სათბურის სახურავზე არსებული პოლიეთილენის საფარი მრავალ ადგილას იყო გახეული. სურათებზე ისიც ჩანს, რომ ერთი პიროვნება აღადგენს საფარს. უდავო და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ზამთარში, ცივ ამინდში, შენობის ჰერმეტიკობის დარღვევისას, შენობაში არსებული სითბო გაედინება გარეთ და შენობის შიგნით არსებული ტემპერატურა მნიშვნელოვნად იკლებს.

22.8. პალატამ მეიჯარესთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი მოწმეთა (რომლებიც განმარტავდნენ, რომ გათბობის ქვაბებზე მიცემული იყო ბრძანება – მაქსიმალურად გაცხელებულიყო სათბურში გამავალ მილებში არსებული წყალი თოვლის გასადნობად) ჩვენება საკმარისად არ მიიჩნია იმ ფაქტის დასამტკიცებლად, რომ გათბობის სისტემა 2013 წლის 8-9 დეკემბერს მუშაობდა სრული წარმადობით, ხოლო სხვა მოწმეებმა მიუთითეს, რომ ნგრევამდე რამდენიმე საათით ადრე მოპასუხე კომპანიის დირექტორი და თანამშრომელი იმყოფებოდნენ სათბურში და მოი-

ჯარეს მისცეს რეკომენდაცია – გაეზარდა მიწებში წყლის ტემპერატურა და აღედგინა დარღვეული საფარი.

22.9. ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებების ერთობლივი შეფასებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, შენობის კონსტრუქციის მდგრადობა, ზოგადად, არ შეიძლება იყოს დამოკიდებული შენობის შიგნით შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის შექმნაზე, თუმცა, როდესაც კონსტრუქციაზე დაგროვდება თოვლი, შესაძლებელია, გათბობის სისტემის გამოყენებით ეტაპობრივად დადნეს და საწვინარი ღარების მეშვეობით გადმოიღვაროს კონსტრუქციიდან, რითაც, თოვლის სიმძიმის გამო, შენობა აღარ დაინგრევა.

22.10. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მეიჯარემ მოიჯარეს გადასცა ნივთობრივად ნაკლიანი საიჯარო ქონება. სათბურის ნგრევის უპირველესი მიზეზი იყო მისი კონსტრუქციული არამდგრადობა, რაზედაც მთლიანად პასუხისმგებელი იყო მოპასუხე. მოსარჩელეს კი შეეძლო, სათბურში დამონტაჟებული გათბობის სისტემის დროულად და სრულად ამოქმედებით, აგრეთვე – სათბურის სახურავიდან თოვლის მექანიკურად გადმოყრით, თავიდან აეცილებინა სათბურის ნგრევა, რაც არ გაუკეთებია. ამდენად, სათბურის ნგრევის შედეგად მხარეებისათვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია ორივე მხარე, ანუ – ვლინდება ე.წ. შერეული ბრალი, რომლის შესაბამისად უმეტესი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მეიჯარეს. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა პასუხისმგებლობის ოდენობა ერთმანეთისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით შემდეგნაირად განსაზღვრა: მოპასუხე – 65%, მოსარჩელე – 35%.

22.11. სასამართლომ მიუთითა, რომ სასათბურე მეურნეობა აღარ არსებობს და მისი აღდგენა შეუძლებელია. სათბური დაინგრა 2013 წლის 9 დეკემბერს. მას შემდეგ, 2014 წლის 24 იანვრამდე, მხარეთა შორის მიმდინარეობდა მიმონერა საიჯარო ქონების აღდგენისა და საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების თაობაზე, თუმცა – უშედეგოდ. მხარეები ვერ შეთანხმდნენ და დაიწყეს დავა სასამართლოში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოიჯარის მიერ 2014 წლის 24 იანვრიდან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა ანუ – უარი ხელშეკრულებაზე, რასაც ფაქტობრივად დაეთანხმა კიდევ მეიჯარე, კანონიერი იყო.

22.12. რაც შეეხება სააღსრულებო ფურცლებს, პალატამ მიუთითა, რომ მათში თარიღი ასახული ვალდებულების შესრულების დროდ შეცდომით იყო დაფიქსირებული და წარმოადგენდა არაარსებით, ტექნიკური ხასიათის უზუსტობას. თანხა (394173.24 ლარი), რომელიც ასახულია გასაჩივრებულ სააღსრულებო ფურცლებ-

ში, სწორედ 2013 წლის 9 დეკემბრისათვის მოიჯარის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირა იყო, კომუნალური გადასახადების ჩათვლით. ამდენად, არ არსებობდა სააღსრულებო ფურცლების გაუქმების საფუძველი.

**23. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად უარყოფა და შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

23.1. საქმეში არსებული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებს მეორე კასატორის ბრალის არარსებობას მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებაში. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 394-ე-395-ე მუხლები, არასწორად გამოიყენა სსკ-ის 408-ე და 415-ე მუხლები. უსწორო განმარტება კი, გამოიწვია ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენამ.

23.2. მთავარი სამმართველოს დასკვნა მის წინაშე დასმულ საკითხზე, სულ ცოტა, პასუხის სამ სხვადასხვა ვარიანტს შეიცავს, სავარაუდო შინაარსისაა და მასზე დაყრდნობით რომელიმე ფაქტობრივი გარემოების დადგენა შეუძლებელია. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შპს „პ-ის“ კვლევის შედეგის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ სათბურის ნაგებობის მდგრადობა დადგენილია ამ ტიპის ნაგებობისათვის საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტით დაწესებულ მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხოლო შსს-ის და ტექნიკური უნივერსიტეტის კვლევის მიხედვით, სათბურის ნაგებობის მდგრადობა შედარებულია შპს „მ-ის“ მიერ მომზადებულ პროექტის მონაცემებთან. არცერთი საპროექტო ორგანიზაცია, მათ შორის – არც მ-ი, არ ადგენს იმ ნორმებს, რომელიც სავალდებულო მოთხოვნის სახით წაეყენება ამა თუ იმ ტიპის შენობა-ნაგებობას. განსახილველ შემთხვევაში მხოლოდ ნორმატიული აქტი СНИП 2.01.07-85 – „სათბურები“ ადგენს იმ ნორმატიულ მოთხოვნებს, თუ რა ტიპის დატვირთვას უნდა გაუძლოს სათბურის ნაგებობამ. აქტის მიხედვით, საქართველოში სათბურის ნაგებობაზე თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 15 კგ/მ<sup>2</sup>, ხოლო სათბურის სახურავის დახრის კოეფიციენტის გათვალისწინებით თოვლის საფარის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 21 კგ/მ<sup>2</sup>. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, 2013 წლის 9 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მოსული თოვლის საფარი აჭარბებდა 100 კგ/მ<sup>2</sup>-ს, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის 2014 წლის დასკვნის მიხედვით – თოვლის საფარის დატვირთვა 1მ<sup>2</sup>-ზე შეადგენდა 65-70 კგ/მ<sup>2</sup>-ს. ზემოაღნიშნული მტკიცებულებათა გაანალიზებით შესაძლებელია მხოლოდ ერთი დასკვნა – ყვე-

ლაზე ოპტიმისტური პროგნოზითაც კი, 2013 წლის 9 დეკემბერს სათბურის ნაგებობაზე დაგროვდა 3.3 ჯერ უფრო მეტი თოვლის მასა, ვიდრე ეს დასაშვებია ამ ტიპის ნაგებობაზე СНИП 2.01.07-85 – „სათბურების“ მიხედვით.

23.3. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი, რომ მოიჯარემ 2013 წლის 9 დეკემბერს ვერ შეძლო სათბურის მეურნეობის ეფექტური მართვა: ა. დროულად ვერ უზრუნველყო სათბურის პოლიეთილენის გადახურვის ფირის ჩამოხეული მონაკვეთების აღდგენა; ბ. გაზზე მომუშავე გათბობის ბოილერი ამუშავა მხოლოდ 47% დატვირთვით; გ. ვერ უზრუნველყო სათბურის შიგნით საჭირო ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნება; დ. ვერ უზრუნველყო სათბურის სახურავიდან ჭარბი თოვლის მასის მოცილება. ამის გამო სათბურის კონსტრუქციებს დაანვა ნორმატიული აქტით დასაშვებად მიჩნეულ თოვლის სიმძიმეზე სულ ცოტა 3.3-ჯერ მეტი, რეალურად 6-ჯერ მეტი თოვლის მასა, რამაც, საბოლოოდ, გამოიწვია სათბურის ნგრევა.

23.4. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება მხარეს შესაძლებელია, დაეკისროს მხოლოდ მისი ბრალეული ქმედებისას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი ზიანი აუცილებლად წინასწარ სავარაუდო უნდა იყოს მოვალისათვის. მიუღებელი შემოსავლის ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდა მის მიერ B-სთან დადებულ ხელშეკრულებასა და მისი დაკვეთით შპს „ნ. ა-ის“ მომზადებულ გათვლას. სათბურის 1 მ<sup>2</sup> ფართზე 40 კგ სარეალიზაციო პომიდვრის მოყვანის თაობაზე მხოლოდ ხელშეკრულების მხარის სახელშეკრულებო დაპირება არ არის საკმარისი საფუძველი დასკვნისთვის, რომ ეს პირობა ამ სახით აუცილებლად იქნებოდა რეალიზებული. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენის შემთხვევაშიც კი, მოპასუხე ვერ ივარაუდებდა მიუღებელი შემოსავლის სახით 2 071 620 ლარის ზიანს. ეს თანხა მიღებულია 1მ<sup>2</sup> ფართობზე 40 კგ სარეალიზაციო პომიდვრის მოყვანისა და მისი 3.45 ლარად ჰიპოთეტური დაანგარიშებით, მაშინ, როდესაც იმავე სათბურში იმავე პირობებში სამი სეზონის განმავლობაში თავად მოპასუხის მიერ მოყვანილი პომიდვრის მოცულობა არ აღემატებოდა 1მ<sup>2</sup> – 18 კგ-ს, ხოლო იმავე პერიოდში 1 კგ პომიდვრის საბითუმო სარეალიზაციო ფასი არ აღემატებოდა 1.29 ლარს.

23.5. 46 190 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებების განადგურების ნაწილში მოსარჩელის მხრიდან მტკიცებულებად მხოლოდ მისი ახსნა-განმარტებაა წარმოდგენილი, რომელსაც მოპასუხის უარყოფა უპირისპირდება. ამდენად, მოსარჩელეს ეკისრე-



ბოდა ზაინის მოცულობის მტკიცების ტვირთი, რაც მ-მ სათანადოდ ვერ უზრუნველყო.

23.6. მოიჯარე 2014 წლის 24 იანვრის ჩათვლით იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა საიჯარო ქონებას და არ იხდიდა საიჯარო ქირას. იგი ვალდებული იყო, გადაეხადა 394 173.24 ლარი, რაზეც გაცივანოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი. პირველი კასატორის მოსაზრებით, ვიდრე მოსარჩელე სრულად არ შეასრულებს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილად არ უნდა მიჩნეულიყო.

**24. მეორე აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ორივე სარჩელის სრულად დაკმაყოფილების, ხოლო შეგებებული სარჩელის სრულად უარყოფის მოთხოვნით.**

24.1. არც მოწინააღმდეგე მხარეს მიუთითებია და არც სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მოიჯარემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დაარღვია. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, მოიჯარემ კანონისმიერი ვალდებულებების დარღვევით მიაყენა ზიანი მეიჯარეს, მაშინ, როდესაც მოიჯარის მიერ მიყენებული ზიანის ფაქტი საერთოდ არ დგინდება. თავად მხარეს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია, რა გააკეთა მოიჯარემ არასწორად და მართლსაწინააღმდეგოდ. ამდენად, არ არსებობს სსკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, არც სსკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შერეული ბრალი.

24.2. სააპელაციო სასამართლო თავადვე უთითებს, რომ სადავო სათბური აშენდა კანონდარღვევით, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე, ფაქტობრივად აშენებული შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტები არ იყო სათანადოდ მდგრადი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატური პირობებისადმი.

24.3. ამასთან, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ ა) მოიჯარემ ვერ უზრუნველყო დაზიანებული სათბურის პოლიეთილენის საფარის აღდგენა, „რის გამოც დაეცა ტემპერატურა“; ბ) მოიჯარემ გათბობის სისტემა სრული წარმადობით დაგვიანებით აამუშავა; გ) აღნიშნულმა ქმედებებმა გამოიწვია სათბურის კონსტრუქციის ნგრევა; დ) არსებობდა 33 000 კვ.მ ფართობის მქონე სათბურის თოვლის ნალექისაგან მექანიკური გათავისუფლების შესაძლებლობა.

ა) სასამართლოს მსჯელობა დაზიანებული პოლიეთილენის საფარის აღდგენასთან დაკავშირებით არასწორია, რამდენადაც ფოტოსურათები, რომელიც მეიჯარემ გადაიღო, სადაზღვევო კომპანიისთვის ესაჭიროებოდათ და არა იმ ფაქტის დასადასტურებლად,

რა სამუშაო მიმდინარეობდა ფირის ალდგენისათვის. შესაბამისად, გადაღების დროს მომუშავე პირებმა შეაჩერეს სამუშაოები, რათა ხელი არ შეეშალათ დაზიანებული საფარის გადაღებაში, აღნიშნული დაადასტურეს მოწმეებმაც.

ბ) ისიც გაუგებარია, სასამართლომ რის საფუძველზე დაადგინა, რომ აირზე მომუშავე ქვაბი არადროულად გამოიყენა მოიჯარემ. მტკიცებულებებით დასტურება, რომ მოიჯარემ დანადგარი (ბოილერი) ჩართო კლიმატური პირობების გაუარესებამდე, თოვლის მოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე.

გ) სასამართლო თავადვე ასკვნის, „მეიჯარემ ვერც კონკრეტული მტკიცებულება წარმოადგინა და ვერც რომელიმე სამართლებრივ ნორმაზე მიუთითა იმის დასადგენად, რომ შენობის კონსტრუქციული მდგრადობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა შენობის შიგნით შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის შექმნა“.

დ) სასამართლო უთითებს, რომ მოსარჩელეს შეეძლო, სათბურიდან თოვლი მექანიკურად გადმოეყარა. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ამის შესაძლებლობა გამორიცხებულია. სათბურის საფარი 33 000 კვ.მ იყო, შესაბამისად, მასზე იქნებოდა დაახლოებით 2 145 000 კგ თოვლის მასა.

24.4. შსს-ს დასკვნით დადგინდა სათბურის ნგრევის მიზეზი, სადაც მითითებულიც კი არ არის მოიჯარის, როგორც სათბურის ექსპლუატაციაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობაზე.

24.5. მოპასუხის ფინანსური მენეჯერის ჩვენება გახდა ის ძირითადი მტკიცებულება, რომლითაც სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მეიჯარემ მოიჯარეს მოსთხოვა, მოემატებინა ტემპერატურა. სასამართლომ არ გამოიკვლია ამავე მოწმის განმარტება, რომ მოიჯარემ სათბურის გათბობისათვის უფრო მეტი რესურსი გახარჯა, ვიდრე მეიჯარემ ანალოგიურ პერიოდში.

24.6. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 408-ე მუხლი. მართალია, მოსარჩელემ მიუთითა, რომ აუდიტორმა გაითვალისწინა მოსარჩელის მიერ შეძენილი ქონების ღირებულება, რომლის საფასური ჯერ არ იყო გადახდილი, მაგრამ ამ საქონლის განადგურებით, ცხადია, მოსარჩელე არ გათავისუფლებულა, მესამე პირთა წინაშე ვალდებულებისაგან გადაეხადა საქონლის ღირებულება. ამდენად, სასამართლოს არ უნდა გაემიჯნა უკვე გაწეული და გასაწევი ხარჯი, არამედ უნდა დაედგინა ფაქტობრივად გაწეული და მომავალში გასაწევი ხარჯი წარმოშობილი იყო თუ არა მეიჯარის ბრალეული ქმედების შედეგად.

24.7. მეორე კასატორმა მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც მოსარჩელეს დაევალა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს

სი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით, 51 000 ათასი აშშ დოლარის განთავსება.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განჩინებით – საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია ხოლო მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, პირველი კასატორის შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, მეორე კასატორის სარჩელი კი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

26. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმების გამოყენებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასება-დადგენის თვალსაზრისით, მეორე კასატორს დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ წარმოუდგენია, პირველმა კასატორმა კი, დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა.

27. მხარეთა შორის უფლება-მოვალეობები წარმოიშვა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელზეც სსკ-ის 592-ე მუხლის (სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო მიზნით გადაცემა სამეურნეო გამოყენებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან (საწარმოსთან) ერთად ან ასეთი ნაგებობის გარეშე. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარაზე ვრცელდება იჯარის წესები, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარისათვის სხვა რამ არ არის დადგენილი) თანახმად, ვრცელდება

იჯარის წესები. იჯარის ხელშეკრულების მიმართ კი, გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (581.2 მუხლი).

28. პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოთხოვნის, მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 537.1 (თუ ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობს ან შემდგომში აღმოჩნდება იმ გარემოებათა გამო, რაზედაც გამქირავებელი პასუხს აგებს, ან, თუ გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ არ ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) და 411-ე (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო) მუხლები.

29. სსკ-ის 537.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობებია:

ა) ქირავნობის საგანში უფლებრივი ან ნივთობრივი ნაკლის არსებობა ხელშეკრულების დადების მომენტში, ანუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის უკვე უნდა არსებობდეს მოგვიანებით დამდგარი ზიანის საფრთხის წყარო;

ბ) ნაკლის აღმოჩენა ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, გამქირავებლის ბრალის არსებობისას;

გ) გამქირავებლის მიერ ნაკლის გამოსწორების დაყოვნება.

30. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას აფუძნებს იმ გარემოებას, რომ მეიჯარემ დაარღვია მოიჯარისათვის ნივთობრივად უნაკლო ნივთის მიწოდების ვალდებულება. მოპასუხემ ამის შესახებ ხელშეკრულების დადებისას იცოდა, რამდენადაც მ-მ სათბური თავადვე ააშენა. მოიჯარის მტკიცებით, სათ-

ბურის მშენებლობის დროს სამშენებლო სტანდარტები იყო დარღვეული. ამასთან, სათანადოდ არ მუშაობდა სათბურში არსებული გათბობის სისტემა, კერძოდ, ვერ უზრუნველყოფდა თოვლის დნობას.

31. ნივთობრივი ნაკლის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება მხარეთა შეთანხმებას, კერძოდ, სსკ-ის 595-ე მუხლის (მეიჯარემ საიჯარო ქონება მოიჯარეს უნდა გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში) თანახმად, იჯარის საგნის ხარისხის განმსაზღვრელია მისი შესაბამისობა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან. იჯარის ხელშეკრულებაში მხარეებმა პირდაპირ მიუთითეს გაქირავებული ნივთით სარგებლობის მიზანი – სასათბურე მეურნეობის წარმოება.

32. 2013 წლის 30 მაისს, მოსარჩელისა და მოპასუხის წარმომადგენლებს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, 2013 წლის 30 მაისის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარემ ჩააბარა, ხოლო მოიჯარემ ჩაიბარა საიჯარო ქონება. აქტის მიხედვით, „მხარეები ადასტურებენ, რომ იჯარით გადაცემული საიჯარო ფართი იმყოფება ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში, იჯარით გადაცემული შენობა-ნაგებობები და სასათბურე მეურნეობა დასურათებულია. მიღება-ჩაბარების პროცესში იჯარის საგანთან (მათ შორის, იქ არსებულ ინვენტართან) დაკავშირებით მოიჯარეს არ გამოუთქვამს პრეტენზია. შესაბამისად, დადასტურებულია, რომ ვარგისია ექსპლუატაციისათვის (იჯარით გადაცემული შენობა-ნაგებობები არის კაპიტალურ მდგომარეობაში, კაპიტალურ მდგომარეობაშია ასევე 33 000 კვ.მ სასათბურე მეურნეობა)“.

**33. მითითებული მტკიცებულების გასაბათილებლად და იმის დასამტკიცებლად, რომ საიჯარო ქონება გადაცემისას ნაკლიანი იყო, მოსარჩელემ წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნები. პალატა მიუთითებს, რომ დასკვნები არ არის ძირითადი მტკიცებულების – მიღება-ჩაბარების აქტის საპირწონე მტკიცებულება და ვერ აბათილებს მას.**

33.1. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნა, რომლითაც გამოკვლეულია სასათბურე ნაგებობის პროექტთან შესაბამისობა და შესწავლილია, ნაგებობის პროექტირებისას სათანადოდ იყო თუ არა გათვალისწინებული თოვლის დატვირთვა. პალატა მიუთითებს, რომ „მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობების ვარგისად აღიარების თაობაზე“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის №05

ბრძანება სადავოდ არ გამხდარა. ვინაიდან ძალაშია ბრძანება, რომლითაც სასაბურთე მეურნეობა აღიარებულ იქნა ვარგისად, მიიჩნევა, რომ ნაგებობა საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით აშენდა. მოცემული დავის ფარგლებში კი, სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო ვერ შეამოწმებს ვერც სადავო ნაგებობის სამშენებლო პროექტთან შესაბამისობას და ვერც პროექტის ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას. ამდენად, წარმოდგენილი დასკვნით არ არის გამოკვლეული ის სადავო გარემოება, რომლის დასამტკიცებლადაც ის იქნა წარდგენილი. შესაბამისად, ეს უკანასკნელი სადავო საკითხის დასამტკიცებლად არარელევანტური მტკიცებულებაა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნაც, რომ საბურთე უკანონოდ აშენდა, არასწორია. დავის საგანი მშენებლობის კანონიერება არ არის.

33.2. ასეც რომ იყოს და სასამართლო სამშენებლო ნორმების დაცვას ამონებდეს, მას სწორედ რომ ნაგებობის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობა უნდა ეკვლია (კონკრეტულ შემთხვევაში, „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანების შესაბამისად მოქმედ СНиП 2.10.04-85 „სათბურებით“ დადგენილი თოვლის საფარის ნორმატიულ დატვირთვისთან შესაბამისობა). შესაბამისად, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ, მართალია, ნორმატიული აქტით, დაწესებულია გარკვეული ნორმატივები, თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშენებლობის განსახორციელებლად ეს ნორმატივები არასაკმარისია. პალატა მიუთითებს, რომ მხარეს მშენებლობისას იმაზე მეტი მოთხოვნა ვერ წაეყენება, ვიდრე სამშენებლო საქმიანობაზე კონკრეტული ნორმატიული აქტითაა დაწესებული.

33.3. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნა, ისევე, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის დასკვნა, არ არის კატეგორიული და ეფუძნება ვარაუდს, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნაში მითითებულია, რომ „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასაბურთე მეურნეობის ნაგებობის ნგრევა გამოიწვია მასზე მოსულმა პროექტით გათვალისწინებულზე ზემდეტმა დატვირთვებმა“. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დასკვნის კვლევით ნაწილში, მართალია, გამოთქმულია ვარაუდები, თუმცა დასკვნის შეფასებისას გადამწყვეტია სარეზოლუციო ნაწილი. აღნიშ-

ნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 105-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სასამართლოსათვის არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპერტის დასკვნასთან მიმართებით. სსსკ-ის 172-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე არ არის შებოჭილი ექსპერტის დასკვნით. დასკვნა ფასდება მისი შინაარსისა და დამაჯერებლობის კუთხით. ვარაუდის შედეგად გამოტანილი დასკვნები კი, ნაკლებ დამაჯერებელია. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები გარდა შინაარსისა, ვერც დამაჯერებლობის კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს.

34. ამასთან, ტექნიკური უნივერსიტეტის დასკვნას – „შექმნილი იყო საკმარისი წინაპირობა სათბურის პერიმეტრზე განლაგებული სვეტების, განსაკუთრებით „ფ“ ლერძზე, მდგრადობის დაკარგვისათვის, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა კონსტრუქციების პანირებადი ნგრევა“ აქარწყლებს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი 2014 წლის 26 მარტის საექსპერტო დასკვნა, რომლის თანახმად, სასათბურე მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული სათბურის მზიდი კონსტრუქციები აკმაყოფილებს სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის პირობებს იმ ნორმირებულ დატვირთვებზე, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.

35. პალატა არ იზიარებს მოსარჩელის არც იმ პრეტენზიას, რომ სათანადოდ არ მუშაობდა სათბურში არსებული გათბობის სისტემა, რადგან ვერ უზრუნველყოფდა თოვლის დნობას. გათბობის სისტემა, რომ გამართულად მუშაობდა, დასტურდება მოპასუხის მიერ წარმოდგენილი „Yildiz Termo Mekanik“-ის 14.03.2014 წლის დასკვნით, რომლის მიხედვით, გათბობის სისტემას თოვლის დნობა რომ უზრუნველყო, ტემპერატურის გაზრდა იყო საჭირო, სისტემის სრული დატვირთვით ამუშავება. ამასთან, დასკვნითვე დგინდება, რომ გათბობა ემსახურებოდა არა მხოლოდ მცენარეთა მოყვანას, არამედ თოვლის დნობას.

35. მოცემულ შემთხვევაში, ნივთის ნაკლის დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთი ეკისრება მოიჯარეს (სსსკ-ის 102.1 მუხლი), ის ვალდებული იყო, დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით დაე-საბუთებინა ნივთობრივი ნაკლის საქონლის გადაცემის დროისათვის არსებობის ფაქტი. მ-მ გასაგებად და დამაჯერებლად ვერ გააქარწყლა მისივე ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ჩანაწერი, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგისი იჯარის საგანი ჩაიბარა და ვერ დაამტკიცა, რომ შესრულება არაჯეროვანი – ნაკლიანი იყო.

36. ასეც რომ არ იყოს და მეიჯარეს მოიჯარისათვის ნაკლიანი ნივთი გადაეცა, მოთხოვნა დაკმაყოფილებადი მაინც არ იქნებოდა, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ სათბურის ნგრევა გამოიწვია სათბურის მშენებლობის დროს სამშენებლო ნორმების დარღვევამ ანდა სამშენებლო პროექტისგან გადახვევამ. ანაზღაურებას კი, ექვემდებარება მხოლოდ ნაკლის შედეგად გამონვეული ზიანი – ნაკლის უშუალო შედეგი. სსკ-ის 408-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, ანაზღაურებადია მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მიზეზშედეგობრივად გამომდინარეობს დამზიანებლის პასუხისმგებლობის წარმომშობი ქმედებიდან.

37. სააპელაციო სასამართლომ, მართალია, დაადგინა, რომ სათბური კანონისა და პროექტის დარღვევით აშენდა, თუმცა სასამართლო არ მიუთითებს, რომ შენობის კანონის შესაბამისად აშენების შემთხვევაში, ის არ დაინგრეოდა (მოქმედება შედეგის მიზეზობრივია, თუ მისი გამორიცხვისას გამორიცხულია შედეგიც) ან ცალკე აღებულ კანონდარღვევით შენობის აშენება დანგრევისათვის საკმარისი იყო (ორმაგი კაუზალობა), პირიქით, გადანყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, ნგრევა მოიჯარის ქმედებამ (უმოქმედობამ) გამოიწვია. სააპელაციო პალატის მითითებით, მოიჯარემ დააგვიანა სათბურში დამონტაჟებული გათბობის სისტემის ამუშავება სრული წარმადობით, ვერ უზრუნველყო აღდგინა სათბურის დაზიანებული პოლიეთილენის საფარი, რის გამოც სათბურში დაეცა ტემპერატურა, ვერ დადნა კონსტრუქციისაზე განთავსებული თოვლი, რამაც გამოიწვია ნგრევა. ამასთან, სასამართლო ცალსახად ასკვნის, რომ გათბობის სისტემის დროული, სრული დატვირთვით ამუშავებისა და სათბურის დაზიანებული პოლიეთილენის საფარის აღდგენის შემთხვევაში, სათბურის კონსტრუქციისაზე 2013 წლის 9 დეკემბერს თოვლის გადნობა და შენობის დანგრევის თავიდან არიდება შესაძლებელი იყო (უმოქმედობა მიზეზობრივია შედეგისათვის, თუ მოქმედების შემთხვევაში შედეგი არ დადგებოდა). შესაბამისად, შენობა „კონსტრუქციულად არამდგრადი“ რომ ყოფილიყო, აღნიშნული ფაქტი ნგრევის მიზეზი არ გამხდარა. ამასთან, იმ ვარაუდის შემთხვევაშიც კი, რომ შენობის პროექტისა და სამშენებლო ნორმების შეუსაბამობის გამო, მომავალში შესაძლოა, სათბური მაინც დანგრეულიყო (აღნიშნულზე ტექნიკური უნივერსიტეტის დასკვნაშიც არის მითითებული), მოპასუხეს ზიანი ვერ შეერაცხება, რამდენადაც ეს მიზეზი სინამდვილეში არ რეალიზებულა. ჰიპოთეტური მიზეზობრიობა (კაუზალობა) კი, არ არის საკმარისი ზიანის შერაცხვისათვის. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 415-ე მუხლი, რამდენადაც მიზეზშედეგობრიობა ამ შემ-



თხვევაშიც 412-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრება.

38. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის 1 866 953.68 ლარის დაკისრების თაობაზე.

39. პალატა მიიჩნევს, რომ სათბურის ნგრევა გამოიწვია მოიჯარის არასწორმა და არათამიმდევრულმა ქმედებამ (უმოქმედობამ), რითაც მეიჯარეს მიადგა ზიანი. როგორც კანონის დანაწესი (სსკ-ის 573-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება – გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება), ისე სახელმეკრულეზო ვალდებულება (4.2.3. მოიჯარემ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ უნდა დააბრუნოს საიჯარო ქონება ბუნებრივი ცვეთის, ამორტიზაციისა და შესრულებული სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით; 4.2.5 მოიჯარეს უფლება აქვს აღჭურვოს საიჯარო ქონება საჭირო ინვენტარით, მონყობილობით ან/და დანადგარებით იმდაგვარად რომ ზიანი არ მიაყენოს მეიჯარის ქონებას) მეიჯარეს ამგვარი ზიანისაგან იცავდა.

40. პირველი კასატორის მოთხოვნა მოიჯარისათვის 1 345 096 ლარის დაკისრების თაობაზე ეფუძნება სსკ-ის 595-ე მუხლის მეორე წინადადებას (მოიჯარემ საკუთარი ხარჯებით უნდა განახორციელოს ქონების მიმდინარე რემონტი, შეაკეთოს საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები, გზები, თხრილები, მიწები, ღობეები. იგი ვალდებულია იჯარით აღებული ქონება გამოიყენოს სამეურნეო დანიშნულებით), სსკ-ის 602-ე (მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ იჯარით აღებული ქონება დააბრუნოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს დაბრუნებამდე არსებული მეურნეობის სათანადოდ გაგრძელებას), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებს.

41. აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შეწყვეტისას მეიჯარე უფლებამოსილია, მოითხოვოს იჯარით გადაცემული ნივთები, ხოლო მოიჯარე ვალდებულია, მე-

იჯარეს დაუბრუნოს იჯარის საგანი. ამასთან, კანონი სპეციალურად ადგენს უკან დასაბრუნებელი ქონების მდგომარეობას – ეს უკანასკნელი უნდა დაბრუნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს დაბრუნების მომენტისათვის არსებული მეურნეობის სათანადოდ გაგრძელებას.

42. მოცემულ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო სანარმოში შედიოდა სამეურნეო ნაგებობა – სათბური, რომლის მოვლა-პატრონობა ევალეზოდა მოიჯარეს. ამ უკანასკნელმა ეს ვალდებულება ვერ შეასრულა, რის გამოც იჯარის საგანი განადგურდა. იჯარის საგნის ნაცვლად მათი ღირებულების მოთხოვნაზე კი, მეიჯარე უფლებამოსილი ხდება მხოლოდ მაშინ, თუკი იჯარით გადაცემულმა ნივთებმა ფიზიკურად შეწყვიტა არსებობა ან იმდენად დაკარგა საჭირო თვისებები, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია (მდრ. სუსგ №ას-42-40-2013, 28.03. 2013წ.).

43. საკასაციო პალატა არ იზიარებს მეორე კასატორის მტკიცებას, რომ მას სახელშეკრულებო ვალდებულება არ დაურღვევია და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნების (ინდ.მენარმე რ. დ-იდის 14.03.2014 წლისა და 22.05.2014 წლის დასკვნები, „Yildiz Termo Mekanik“-ის 14.03.2014 წლისა და 25.08.2014 დასკვნები), მოწმეთა ჩვენებების, წარდგენილი ფოტომასალისა და „ს. გაზი აჭარის“ ამონაწერის საფუძველზე სწორად დაადგინა ფაქტი, რომ მოიჯარემ დააგვიანა სათბურში დამონტაჟებული გათბობის სისტემის ამუშავება სრული წარმადობით (გათბობის ქვაბი ჩაირთო მხოლოდ 8 დეკემბერს 21:00 საათზე, ბოილერი კი მუშაობდა 47%-იანი სიმძლავრით, 95%-იანის ნაცვლად) და ვერ უზრუნველყო სათბურის დაზიანებული პოლიეთილენის საფარის აღდგენა. ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა.

44. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს იმას, რომ მოიჯარემ დაარღვია იჯარის საგნის მოვლა-პატრონობის კანონისმიერი ვალდებულება და სწორედ ამან გამოიწვია ნაგებობის დანგრევა. სამეურნეო ნაგებობის მოვლის, ტექპერატურის ზედამხედველობისა და კონტროლის ვალდებულების დარღვევით ზუსტად ის საფრთხე რეალიზდა, რომელიც თავიდან უნდა აცილებულიყო დარღვეული ვალდებულებით. სათანადო მენეჯმენტის პირობებში კი, ზიანი თავიდან იქნებოდა აცილებული. ამდენად, ზიანი მოიჯარის ქმედებათა (უმოქმედობათა) ერთობლიობის უშუალო შედეგია.

45. ამდენად, მეიჯარეს არ დაურღვევია ვალდებულება. მან მიანოდა მოიჯარეს შეთანხმებული ხარისხის იჯარის საგანი. ნაკლი-

ანი შესრულების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელმაც, როგორც აღინიშნა, ეს ტვირთი ვერ დაძლია. მოიჯარემ არაჯეროვანი – ნაკლიანი შესრულება ვერ დაადასტურა. ხოლო შეგებებული სარჩელის ავტორმა დაამტკიცა მოიჯარის მიერ ვალდებულებათა დარღვევა, რაც იჯარის საგნის სათანადოდ მოვლა-პატრონობის ვალდებულების დარღვევით გამოიხატა.

46. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოიჯარისათვის ზიანის დაკისრების თაობაზე მეიჯარის მოთხოვნა დასაბუთებულია. რაც შეეხება სატბურის დანგრევით მეიჯარისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, პირველმა ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მეიჯარეს სატბურის დანგრევით 1 345 096 ლარის ზიანი მიადგა, რაც გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც. ზიანის ოდენობას საკასაციო საჩივრით არ შედავებია არც მოიჯარე. ამდენად, შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს და მოიჯარეს უნდა დაეკისროს 1 345 096 ლარის გადახდა მეიჯარის სასარგებლოდ.

47. რაც შეეხება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნას, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოიჯარის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმით (2014 წლის 24 იანვარს) შეწყდა ხელშეკრულება.

მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ საიჯარო ურთიერთობა ვადამდე შეწყდა, თუმცა პალატა მიიჩნევს, რომ საიჯარო ურთიერთობა დამთავრებულია არა მოიჯარის მიერ ხელშეკრულების მოშლით, არამედ მეიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე მოშლით.

მართალია, მოსარჩელე სსკ-ის 399.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულების მოშლის უფლებამოსილების გამოყენებაზე მიუთითებს (იხ. დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნები), თუმცა პალატა განმარტავს, რომ სასათბურე ნაგებობის ჩამონგრევა ვერ გახდებოდა მოიჯარისათვის ხელშეკრულების მოშლის პატივსაღები საფუძველი, რამდენადაც, ვალდებულების დარღვევის გამო, იჯარის საგნის განადგურებაზე მთლიანად თვითონ არის პასუხისმგებელი.

ამასთან, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ იჯარის ხელშეკრულების მოშლით მოიჯარე თავისუფლდება სამომავლოდ გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებიდან და არ თავისუფლდება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან იმ პერიოდისათვის, როდესაც იგი ფლობდა იჯარის საგანს. ამდენად, მხარეები არასწორად უკავშირებენ ხელშეკრულების მოშლას, მოშლამდე არსებული საიჯარო ქირის დავალიანები-

საგან გათავისუფლებას.

48. რაც შეეხება მესაკუთრეთა, იპოთეკის ხელშეკრულებათა შეწყვეტის თაობაზე მოთხოვნას, მოსარჩელის განმარტებით, იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოიჯარის ვალდებულება, რომელსაც უძრავი ქონება უზრუნველყოფდა, აღარ არსებობს, კერძოდ, მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის ზიანის მიყენების გამო, მოპასუხეა ვალდებული, აუნაზღაუროს მოსარჩელეს ზიანი. აქედან გამომდინარე, მესაკუთრეთა მოთხოვნით, უნდა შეწყვეტილიყო იპოთეკის ხელშეკრულებებიც. პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელეთა ამ მოთხოვნას საფუძველი გამოეცალა, რამდენადაც დადგინდა, რომ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა არსებობს და ის დაკმაყოფილებული არ არის. შესაბამისად, არც იპოთეკის გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

49. რაც შეეხება ნოტარისუსის სააღსრულებო ფურცლებს, მოსარჩელე მათ გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძველით, რომ მათში სრულყოფილად არ არის ასახული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, არ არის მითითებული აღსასრულებელი მოთხოვნის სახე, რაც კრედიტორს მისცემს უფლებას, მომავალში ბოროტად ისარგებლოს მინიჭებული უფლებით. მოსარჩელის პრეტენზია ისიცაა, რომ სააღსრულებო ფურცლები გაიცა მოთხოვნაზე, რომელიც ვადამოსული არ იყო.

50. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ, იმ პირობებში, როდესაც სააღსრულებო ფურცლებში მითითებული აღსასრულებელი ვალდებულობის მოცულობა რეალურად არსებული ვალდებულების (2013 წლის 9 დეკემბრისათვის მოიჯარის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირისა და კომუნალური გადასახადების) ტოლია და სააღსრულებო ფურცლებში არ არის დაშვებული შინაარსობრივი შეცდომა, ისეთი რეკვიზიტის მიუთითებლობა, რომელიც არ ქმნის აღსრულების ბარიერს, არ შეიძლება, გახდეს მათი გაუქმების საფუძველი. აღნიშნული განპირობებულია იმითაც, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე საკანონმდებლო დანაწესები (სსკ-ის 300-ე, 302.3<sup>1</sup> მუხლები, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.5 მუხლი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი) ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებას, დავის სწრაფად მოგვარებასა და სასამართლოთა განტივრთვას. სანოტარო წესით გაცემული დოკუმენტის საფუძველზე მოთხოვნის იძულებით განხორციელების თაობაზე მხარეთა შეთანხმება, სწორედ საქმის სასამართლო წესით განხილვის თავიდან არიდებას ემსახურება. ამასთან, საიჯარო ქირასა და კომუნალურ გადასახადებს (რომელთა თაობაზეც გაიცა სააღსრულებო ფურცელი) მეიჯარე მოითხოვდა იმ ვა-

დის პროპორციულად, რა პერიოდშიც ისარგებლა მოიჯარემ საიჯარო ქონებით (2014 წლის იანვრამდე). სააღსრულებო ფურცლები კი, გაიცა 2014 წლის მარტში. ამდენად, კრედიტორის მოთხოვნა ვადამოსული იყო.

51. გარდა ამისა, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს სააღსრულებო ფურცელთა გაუქმების მიმართ იურიდიული ინტერესი არ აქვს, რამდენადაც მოთხოვნა, რომლის აღსასრულებლადაც ისინი გაიცა, ნამდვილია. შესაბამისად, უკვე გაცემული სააღსრულებო ფურცლების გაუქმების შემთხვევაშიც კი, მოვალისათვის არაფერი შეიცვლება, რამდენადაც აღსასრულებელ მოთხოვნაზე გაიცემა ახალი სააღსრულებო ფურცლები.

52. მეორე კასატორი მოითხოვს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმებასა და სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული 51000 აშშ დოლარის უკან დაბრუნებას.

დადგენილია, რომ სარჩელზე გამოყენებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 11 მარტის განჩინებით, მოპასუხეს აეკრძალა ქობულეთში – დაბა ....., ხელვაჩაურის რაიონის სოფელ .... და ქ. ბათუმში მდებარე უძრავ ქონებათა გასხვისება და სანივთოსამართლებრივი უფლებით (იპოთეკით, უზურფრუქტით, სერვიტუტით) დატვირთვა.

მითითებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვისათვის მოსარჩელეს დაევალა – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადეპოზიტო ანგარიშზე 51000 აშშ დოლარის განთავსება. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ ინვესტორი კომპანია შპს „B.s. დ. თ-ის“, სთავაზობდა მოპასუხეს, 1 000 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, ბათუმში მდებარე უძრავი ქონების შეძენას, რომლის გასხვისების უფლებაც მოპასუხეს უზრუნველყოფის ღონისძიებით აკრძალული ჰქონდა. შეთავაზება ძალაში იყო 2014 წლის ოქტომბრამდე. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მითითება, რომ, ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, მიიღება და სულ მცირე 51 000 აშშ დოლარის სარგებელს რეალიზაციიდან მიღებული თანხის დეპოზიტზე განთავსების გზით და განცხადება დააკმაყოფილა.

პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლით ორი უფლებაა გარანტირებული. პირველი – მოსარჩელის მიერ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფით და მეორე – მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. პირველ უფლებას ფაქტობრივად უზრუნველყოფს მეორე უფლება, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რამდენად გა-

მართლებული გამოდგება დროებითი ღონისძიება, სსსკ-ის 199.3 მუხლი (თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.) მოპასუხეს ამ ღონისძიებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით აღჭურავს. სწორედ ამიტომ კანონი ითვალისწინებს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას, მისი ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვას, რათა სამართალწარმოება ფორმალური არ გახდეს.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა. ვინაიდან მოპასუხეს არ დაუკარგავს სსსკ-ის 199.3 მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, არ არსებობს უზრუნველყოფის გარანტიის გაუქმების ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველი არც სსსკ-ის 57.1. (თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრა იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მონინალმდევე მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მან ასეთი უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადებოზიტო ანგარიშზე შეტანის გზით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად) და 58-ე (თუ მოიხსნება საფუძველი, რომლის გამოც განხორციელდა უზრუნველყოფა, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა ასეთი უზრუნველყოფა, ვალდებულია დააბრუნოს უზრუნველყოფის გარანტია) მუხლებიდან გამომდინარე.

53. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნე-

ბის საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებული ნაწილი (სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-9 და მე-10 პუნქტები), ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მათ მიერ გასაჩივრებულ ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის მე-7, მე-8, მე-11, მე-12 პუნქტები) გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება: მოსარჩელეთა სარჩელი არ დაკმაყოფილდეს, ხოლო მეიჯარის შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

54. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განუულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

55. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველმა კასატორმა სახელმწიფო ბაჟისათვის, ექსპერტიზის დასკვნების მომზადებისა და იურიდიული მომსახურებისათვის გადაიხდა 31 425.65 ლარი, შესაბამისად, მოპასუხის სასარგებლოდ, მოსარჩელეს უნდა დაეკისროს 31 425.65 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ საქმისწარმოებისათვის გაღებული საპროცესო ხარჯის ასანაზღაურებლად.

56. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 199<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე აუქმებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 მარტის განჩინებით გამოყენებულ

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 53-ე, 264.3,  
411-ე მუხლებით და

### **გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :**

1. შპს „მ-ოს“, მ. გ-ისა და ზ. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმა-  
ყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვე-  
ტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5,  
მე-6, მე-9 და მე-10 პუნქტები;

3. შპს „ა. გ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-  
ქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების  
სარეზოლუციო ნაწილის მე-7, მე-8, მე-11, მე-12 პუნქტები და მი-  
ღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

5. შპს „მ-ოს“, მ. გ-ისა და ზ. ზ-ის სარჩელი იჯარის ხელშეკრუ-  
ლების შეწყვეტილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე  
არ დაკმაყოფილდეს;

6. შპს „ა. გ-ის“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს;

7. შპს „მ-ოს“, შპს „ა. გ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 1 345 096  
(მილიონ სამას ორმოცდახუთი ათას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის  
გადახდა;

8. შპს „მ-ოს“, შპს „ა. გ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 31 425.65  
(ოცდათერთმეტი ათას ოთხას ოცდახუთი ლარი და სამოცდახუთი  
თეთრი) ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ საქმის წარმოები-  
სათვის გაღებული საპროცესო ხარჯის ასანაზღაურებლად;

9. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-  
ქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 მარტის განჩინებით გამოყენე-  
ბული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „ა.  
გ-ს“ აეკრძალა შემდეგი უძრავი ქონების: ა) მდებარე ქობულეთი,  
..., . (საკადასტრო კოდი: ...); ბ) მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სო-  
ფელი ... (საკადასტრო კოდი: ...); გ) მდებარე ქ. ბათუმი, ... (საკადას-  
ტრო კოდი: ...) – გასხვისება და სანივთო-სამართლებრივი უფლე-  
ბით (იპოთეკით, უზურფრუქტით, სერვიტუტით) დატვირთვა;

10. შპს „მ-ოს“ უარი ეთქვას ხელვაჩაურის რაიონული სასამარ-



თლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განჩინების გაუქმებაზე, რომლი-  
თაც მოსარჩელე შპს „მ-ოს“ დაევალა საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სა-  
დეპოზიტო ანგარიშზე, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული  
მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით, 51 000 ათასი (ორ-  
მოცდათერთმეტი ათასი) აშშ დოლარის განთავსება;

11. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და  
არ საჩივრდება.

### 3. ნარდობა

#### ნარდობის ხელშეკრულების მოწულა

##### განჩინება

##### საქართველოს სასჯელსახლი

№ას-133-125-2017

31 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება და ზიანის  
ანაზღაურება

##### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ტ. ბ-სა“ (შემდგომში: მოსარჩელე, კომპანია ან მენარდე) და ა. ა-ს (შემდგომში: შემკვეთი, მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) შორის ზეპირსიტყვიერად გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის პირობების შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებული იყო მოპასუხის კუთვნილ 318 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე (მდებარე, ქ. თბილისში, .... და ... საცხოვრებელ სახლებს შორის, იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) აეშენებინა მრავალბინიანი სახლი, ასევე უზრუნველყო მშენებლობის პროექტის შედგენა და გაენია მშენებლობისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები (იხ. სარჩელი და შესაგებელი).

2. მოსარჩელესა და შპს „ნ. +“-ს (შემდგომში: პირველი ქვემენარდე) შორის, 2010 წლის 2 მარტს, დაიდო ხელშეკრულება საპროექტო სამუშაოების შესრულების შესახებ, რომლის თანახმად პირველ ქვემენარდეს კომპანიის სასარგებლოდ მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეედგინა, კერძოდ, უნდა დაემზადებინა: პროექტის არქიტექტურული ნაწილი; პროექტის კონსტრუქციული ნაწილი; მშენებარე სახლის ელექტროობისა და ვენტილაციის პროექტი. შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება 28 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით განისაზღვრა (იხ. ხელშეკრულება).

3. პირველმა ქვემენარდემ 2010 წლის 2 მარტს გაფორმებული საპროექტო სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და შესაბამისი ანაზღაურებაც

მიიღო მენარდისაგან (იხ. 2010 წლის 1 აგვისტოს შედგენილი №01/08/10/02 მიღება-ჩაბარების აქტი და №69231 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

4. კომპანიასა და შპს „ს-ოს“ (შემდეგში: მეორე ქვემენარდე) შორის დადებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, 2010 წლის 10 აპრილს დადებული №9 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მეორე ქვემენარდემ ჩააბარა, ხოლო მოსარჩელემ მიიღო ობიექტზე „თბილისში, ... ბიზნეს ცენტრის მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიური საექსპერტო დასკვნა“. სამუშაოების მთლიანი ღირებულება დ.დ.გ.-ს ჩათვლით 500 ლარით განისაზღვრა.

5. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 24 აპრილს გაცემული №5/873-1 მშენებლობის ნებართვის მოწმობის მიხედვით მოპასუხის (შემკვეთის) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის ნებართვა გაიცა 2011 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით. ამასთან, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის №695081 ბრძანებით, მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ახალი ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა გაიცა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 20 მაისიდან 2014 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

## **6. სარჩელის საფუძვლები**

6.1. მოსარჩელემ (მენარდემ), მის მიერ განეული ხარჯის 28 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა და 29 595.86 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით, 2014 წლის 29 დეკემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხის (შემკვეთის) წინააღმდეგ.

6.2. მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა ამ განჩინების 1-5 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებს დააფუძნა და დამატებით აღნიშნა, რომ მის მიერ სრულდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, მან უზრუნველყო მშენებლობისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება, განხორციელდა ხიმინჯების ბურღვის სამუშაოები, რაშიც 16 501 ლარი გადაიხადა, მოპასუხემ დაარღვია არსებული შეთანხმება, ხოლო მოსარჩელის მიერ მომზადებული არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით მშენებლობა მესამე პირს დაუკვეთა.

6.3. ამასთან, მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი არამიზნობრივი ხარჯის განევის გამო შემოსავლების სამსახურმა დააჯარიმა 10 427 ლარით, რასაც დაემატა საურავი – 2667.86 ლარი.

## **7. მოპასუხის შესაგებელი**

7.1. მოპასუხემ მის მიერ წარდგენილი წერილობითი შესაგებებით სარჩელი არ ცნო, მან არ უარყო რომ არსებობდა სამართლებ-

რივი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე უნდა აშენებულიყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, თუმცა, განმარტა, რომ ურთიერთობა დამყარებული იყო არა მოსარჩელესთან, არამედ – გ. ზ-თან.

7.2. მოპასუხის განმარტებით, სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელებულა, ამოთხრილი იყო მხოლოდ წრიული ორმოები. მოპასუხის მოსაზრებით ურთიერთობა გ. ზ-ის ბრალით შეწყდა და სწორედ მან უნდა აანაზღაუროს კომპანიის მიერ გაწეული ხარჯები.

7.3. მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. შემოსავლების სამსახურის მიერ მოსარჩელის (კომპანიის), დაჯარიმების ფაქტს კი მოპასუხესთან არავითარი კავშირი არ აქვს.

## **8. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით მენარდის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მოპასუხეს 28 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა.

8.2. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე, 103-ე მუხლებით; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 408-ე, 394-ე, 976-ე, 991-ე, 982-ე, 128-ე მუხლებით; „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით; „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20, 90-ე მუხლებით და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების დადებაზე არ შეთანხმებულან, ხოლო მოპასუხის მხრიდან არ განხორციელებულა ისეთი სახის ბრალეული ქმედება, რომლის გამოც ზიანი შეიძლება მიდგომოდა მოსარჩელეს. ამდენად, ამ უკანასკნელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

8.3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მენარდის ხარჯით მომზადებული არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით სარგებლობაში ვლინდება შემკვეთის უსაფუძვლოდ გამდიდრების ფაქტი.

8.4. საქალაქო სასამართლომ სსკ-ის 128-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე მითითებით აღნიშნა, რამდენადაც სარჩელი კმაყოფილდება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინა-

რე, მოთხოვნა განხორციელებადია და მასზე ვრცელდება ათწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

### **9. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები**

9.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებით მოპასუხემ მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

9.2. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მოსარჩელე და მოპასუხე არ შეთანხმებულან ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების დადებაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების დადებისას კომპანიის დირექტორი ანუ საზოგადოების ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იყო გ. გ. და არა – გ. ზ-ძე, თუმცა, იქვე დასძინა, რომ 2014 წლის 14 იანვარს მომზადებული მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, მართალია, კომპანიის დირექტორად მითითებულია გ. ზ-ძე, თუმცა, 2010 წლის 2 მარტს და 2010 წლის 1 აგვისტოს პირველ და მეორე ქვემენარდეებთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, ე.ი. სარჩელში მითითებული ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების დადებისას კომპანიის დირექტორი, ანუ საზოგადოების ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი გ. გ. იყო;

9.3. აპელანტსა და გ. ზ-ძეს შორის ზეპირი ფორმით დაიდო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე გ. ზ-ძეს უნდა აეშენებინა მრავალფუნქციური შენობა შემკვეთის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ამასთან, ხელშეკრულების დადებისას გ. ზ-ძე იყო მოსარჩელე კომპანიის თანამშრომელი, ხოლო 2013 წლის 26 თებერვლიდან ამავე კომპანიის დირექტორი. მოსარჩელის მხრიდან მოწონებულ იქნა გ. ზ-ძის მიერ მოპასუხესთან დადებული ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება, რასაც შედეგად მოჰყვა მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებების გაფორმება: 2010 წლის 2 მარტს პირველ ქვემენარდესთან და 2010 წლის 1 აგვისტოს – მეორე ქვემენარდესთან სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით;

9.4. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად არ მიიჩნია დადგენილად, რომ მოსარჩელემ თავად არ შეასრულა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მშენებლობასთან დაკავშირებით, რის გამოც მოპასუხეს ზი-

ანი მიადგა. მენარდემ მხოლოდ რამდენიმე წრიული ორმო ამოთხარა და მიატოვა მშენებლობა იმის გამო, რომ ველარ აგრძელებდა მშენებლობას, ხოლო პროექტი შემკვეთს გადასცა. 2011 წლის 24 აგვისტოს მშენებლობის ნებართვას გაუვიდა ვადა. მოსარჩელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, აპელანტს მშენებლობა ორი წლით შეუჩერდა. მოპასუხე იძულებული გახდა, აელო მშენებლობის ნებართვა და ახალი ინვესტორი მოეძებნა;

9.5. აპელანტის განმარტებით, მენარდემ შემკვეთს საკომპენსაციოდ სამშენებლო პროექტი გადასცა, ვინაიდან მის მიმართ მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის ვალდებულება არ შეასრულა. მოსარჩელეს სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის პერიოდიდან, 2011 წლის 24 აგვისტოდან, სარჩელის აღძვრამდე, 2014 წლის 29 დეკემბრამდე, სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადებისათვის განუვლი ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნით აპელანტისათვის არ მიუმართავს;

9.6. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ მომზადებული არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით სარგებლობაში ვლინდება მოპასუხის უსაფუძვლოდ გამდიდრების ფაქტი. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 129-ე და 130-ე მუხლები, რომელთა თანახმადაც, მოსარჩელისათვის მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება ვადა, როდესაც მშენებლობის სანებართვო მონაშობას გაუვიდა მოქმედების ვადა, ანუ 2011 წლის 24 აგვისტო; შესაბამისად, ამ დღიდან დაიწყო ხანდაზმულობის ვადის დენა. კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა გავიდა 2014 წლის 24 აგვისტოს, მოსარჩელემ კი სასამართლოს სარჩელით 2014 წლის 29 დეკემბერს მიმართა.

## **10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები:**

10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი შეფასება (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

10.3. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 976-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით განმარტა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების სანინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს

მნიშვნელობა ამ სამართალურიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ობიექტური შედეგი – ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნა (დაზოგვა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

10.4. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით (იხ. ამ განჩინების 8.3-8.4 ქვეპუნქტები).

### **11. საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

11.1. აპელანტმა საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინება მისი გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

11.2. კასატორი იმეორებს თავის სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ პრეტენზიებს (იხ. ამ განჩინების 8.2-8.6 ქვეპუნქტები).

### **12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

12.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

12.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 მაისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

13. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითე-

ბულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

14. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

16. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას გამოიწვევდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ ის შესაბამის დასაბუთებას არ შეიცავს.

17. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს პეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრები-



სეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“ (იხ. სუსგ ას-1529-1443-2012, ას-973-1208-04; ას-664-635-2016).

18. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რომელი ნორმის საფუძველზე არის შესაძლებელი მოსარჩელისათვის სასურველი იურიდიული შედეგის მიღწევა და ამის შემდეგ შეამოწმებს სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს.

19. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მხარეთა განმარტებას, რომ მათ შორის ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება გაფორმდა და აღნიშნავს, რომ სსკ-ის 930-ე მუხლის თანახმად ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ამხანაგობის ხელშეკრულება აუცილებლად უნდა შეიცავდეს მონაცემებს საერთო მიზნისა და იმ მოქმედებების შესახებ, რომლებსაც ამხანაგობის წევრები კისრულობენ ამხანაგობის საერთო მიზნის მისაღწევად (შდრ. სსკ-ის 930-ე მუხლის კომენტარი, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), ბოლო დამუშავება: 02.08.2016 წ.). აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულებაში მხარეთათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შეფასების თვალსაზრისითაც, არ ვლინდება ამხანაგობისათვის დამახასიათებელი არსებითი პირობა – მხარეებმა ერთობლივად იმოქმედონ საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულებით-სამართლებრივი სხვა ურთიერთობისაგან განსხვავებით, როდესაც მხარეთა უფლება-მოვალეობები ორმხრივად მავალდებულებელია (სინალაგმატურია), ერთობლივი საქმიანობის მონაწილე ორი ან რამდენიმე პირი საერთო მიზნებისათვის იღვწის და თითოეული მათგანის როლი და ფუნქცია შესაძლოა ამხანაგობაში სხვადასხვა შესატანის შეტანას – განსხვავებული მოცულობის სამუშაოს (მომსახურებას) მოიცავდეს (შდრ. სსკ-ის 930-ე მუხლის კომენტარი, 27-ე ველი, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), ბოლო დამუშავება: 02.08.2016 წ.).

20. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ საქმეზე არც სსკ-ის 976.1 მუხლით გათვალისწინებული უსაფუძვლო გამ-

დიდრების შემთხვევა იკვეთება, რადგან ნათელია, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდა და სარჩელის საფუძვლიანობაც სწორედ სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე უნდა შემომდგეს. კომპანიის სასარჩელო მოთხოვნა მასსა და მოპასუხეს შორის დამყარებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას ეფუძნება (სსკ-ის 317.1 მუხლი). მოპასუხის მტკიცებით, მან გ. ზ-ძესთან, როგორც კომპანიის წარმომადგენელთან, მიაღწია შეთანხმებას – მის (მოპასუხის) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელეს სახლი აეშენებინა, რაც ამ უკანასკნელმა მოიწონა. მოსარჩელე მის მიერ წარდგენილ სარჩელში უთითებს, რომ მასსა და მოპასუხეს შორის ზეპირი შეთანხმება შედგა მშენებლობის განსახორციელებლად, რასაც მოპასუხეც ადასტურებს. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება, რის საფუძველზეც მენარდეს შემკვეთის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სახლი უნდა აეშენებინა. სწორედ ამიტომ, განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის სსკ-ის 976.1 მუხლით გათვალისწინებული არც ერთი წინაპირობა. სარჩელსა და შესაგებელში მოცემული განმარტებებით თავიდანვე ნათლად ირკვეოდა, თუ რა მიზანს ისახავდნენ მხარეები მათ შორის შეთანხმების მიღწევისას.

21. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ საქმეში იმ სამართლებრივი შედეგის მიღწევა, რაც მოსარჩელეს სურს (მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ განეული ხარჯის – 28 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის დაკისრება) იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სსკ-ის 629.1, 636-ე მუხლებიდან გამომდინარე წინაპირობებს ეფუძნება. სწორედ ამ ნორმების საფუძველზე შეამოწმებს საკასაციო სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის გამართულობას.

21.1. სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. მოხმობილი ნორმის შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მენარდეა, რომელსაც მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი სახლის მშენებლობა უნდა განეხორციელებინა, რისთვისაც ქვეკონტრაქტორები უნდა დაექირავებინა, შემკვეთი კი შესაბამის ანაზღაურებას გადაიხდიდა (იხ. ამ განჩინების 1-4 პუნქტები).

21.2. სსკ-ის 636-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებუ-

ლი სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლის დანაწესი სახელშეკრულებო სამართალში ე.წ. საგამონაკლისო ნორმაა, რომელიც შემკვეთს ნებისმიერ დროს, უპირობოდ ანიჭებს უფლებას ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება (იხ. სუსგ-ები: №ას-697-663-2015, 15.12.2015წ; №ას-901-851-2015, 05.02.2016წ; №ას-981-926-2015, 11.03.2016წ.).

21.3. „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ განეულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური, თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მოწყობილობების შექმნას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მონწევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის განეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა მიიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები“ (იხ. სუსგ ას-697-663-2015, 15.12.2015წ.).

21.4. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მენარდემ გარკვეული სამუშაოები განახორციელა და შესაბამისი ხარჯიც გასწია (იხ. ამ განჩინების 2-4 პუნქტები), თუმცა, მას მოპასუხის წინაშე ნაკისრი ვალდებულება სრულად არ შეუსრულებია. საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ რა ღონისძიებას მიმართა შემკვეთმა მენარდის მიერ სამუშაოთა არაჯეროვანი შესრულების გამო. მოპასუხე მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის ვადას ემთხვეოდა (24.08.2011 წ.), თუმცა, ამგვარი დასკვნის საშუალებას მოსარჩელის განმარტება და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლევა. იქედან გამომდინარე, რომ მხარეთა შორის ზეპირი ხელშეკრულება გაფორმდა (სსკ-ის 68-ე მუხლი) და მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და საქმის მასალებით არ ირკვევა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მენარდისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადად შემკვეთის მიერ ახალი ინვესტორის მოძიება და ახალი სამშენებლო ნებართვის აღება უნდა

იქნეს მიჩნეული, ეს თარიღი კი 2013 წლის 20 მაისია, რის გამოც მენარდის მიერ 2014 წლის 29 დეკემბერს წარდგენილი სარჩელი ხანდაზმულად არ მიიჩნევა (სსკ-ის 129-ე მუხლი).

21.5. სსკ-ის 636-ე მუხლის თანახმად, შემკვეთი ვალდებულია მენარდეს შესრულებული სამუშაო აუნაზღაუროს. უდავოა, რომ მოსარჩელის მიერ პირველი ქვემენარდისათვის სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენისათვის გადახდილი 28 000 აშშ დოლარი შემკვეთის მიმართ შესასრულებელი სამუშაოს ფარგლებში გადახდილი თანხაა და მოპასუხე ვალდებულია მოსარჩელეს ეს ხარჯი აუნაზღაუროს. სააპელაციო სასამართლოს უდავოდ აქვს დადგენილი, რომ მოპასუხესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი სახლის მშენებლობა განხორციელდა სწორედ მენარდე კომპანიის (მოსარჩელის) ხარჯით მომზადებული არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მიხედვით (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 4.4 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გამოკვეთილია სსკ-ის 636-ე მუხლის წინაპირობა, რომლითაც დადგენილია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია მენარდეს შესრულებული სამუშაო აუნაზღაუროს.

22. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, სარჩელი დაუსაბუთებლად მიეჩნია, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

23. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 55.2 მუხლი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა მოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ნარდობის ხელშეკრულების მოძღვა

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1294-1214-2017

26 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ანაზღა-  
ურება, თანხის გადახდის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ე. ჯ-სა“ (შემდეგში: მოსარჩელე, კონტრაქტორი, მენარ-  
დე, აპელანტი ან კასატორი) და შპს „ჯ. მ-ს“ (შემდეგში: მოპასუხე,  
კომპანია ან შემკვეთი) შორის, 2014 წლის 2 აპრილს, დაიდო გენე-  
რალური ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება), რომლის თა-  
ნახმად კონტრაქტორმა იკისრა ვალდებულება, მომსახურება გაე-  
წია კომპანიისათვის მანგანუმის მადნეულის შეგროვებასთან და  
მის სამთო მინაკუთვნიზე მანგანუმის კონცენტრატად გადამუშა-  
ვებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულება დაიდო 1 წლის ვადით  
(იხ. 2014 წლის 2 აპრილის ხელშეკრულება).

2. ხელშეკრულების შესრულების მიზნით კომპანიამ (მოპასუ-  
ხემ) კონტრაქტორს (მოსარჩელეს) ავანსის სახით 478 067. 08 ლარი  
გადაურიცხა. აღნიშნული თანხის სანაცვლოდ კონტრაქტორს მად-  
ნის მოპოვება უნდა დაეწყო და კომპანიისათვის, ხელშეკრულება-  
ში ასახული ფასის შესაბამისად, მიეწოდებინა, მაგრამ მოსარჩე-  
ლეს სამუშაოები არ განუხორციელებია და მოპასუხისათვის მო-  
პოვებული მადანი არ მიუწოდებია (იხ. გადახდის დამადასტურე-  
ბელი დოკუმენტი).

3. ხელშეკრულების 4.1 მუხლის შესაბამისად, არა უგვიანეს ყო-  
ველი კალენდარული თვის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე  
კონტრაქტორი კომპანიას დასამტკიცებლად წარუდგენდა მომ-  
დევნო კალენდარული თვის სამუშაოების დეტალურ პროექტს,  
ხელშეკრულების მე-2 დანართში, ნიმუშის სახით, მითითებული  
ფორმატის იდენტური სახით და მასში ასახული ინფორმაციის შემ-  
ცველი მონაცემებით. ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხე გა-  
დახედავდა სამუშაო პროექტს და კონტრაქტორთან კონსულტა-

ციის შემდეგ შეთანხმდებოდნენ და დაადასტურებდნენ ამ შეთანხმებას უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დამტკიცებულ პროექტზე ხელმოწერით.

3.1. ხელშეკრულების 4.3 (ზედამხედველი) მუხლის საფუძველზე კონტრაქტორი ვალდებული იყო, შეესრულებინა და კოორდინირება გაენია თავის მოქმედებებისა და სამუშაოების შესრულებისათვის ზედამხედველთან, რომელიც თანამდებობიდან, კომპანიის მიერ, პერიოდულად დაინიშნებოდა და/ან გათავისუფლებოდა. ზედამხედველის არყოფნის შემთხვევაში შესაბამის უფლებამოსილებას კომპანიის მიერ ამ კომპეტენციების შესასრულებლად წერილობითი ფორმით დანიშნული ნებისმიერი სხვა პირი განახორციელებდა. 4.4 (წარმომადგენელი ობიექტზე) მუხლის მიხედვით კი, კონტრაქტორი ობიექტზე თავის წარმომადგენელს დანიშნავდა, რომელიც დოკუმენტებთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს შეასრულებდა, ლოჯისტიკისა და მენეჯერულ საკითხებს (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, მის საკუთარ მუშახელთან დაკავშირებით) მოაწესრიგებდა, ასევე, რეგულარულად ითანამშრომლებდა ზედამხედველთან;

3.2. ხელშეკრულების 4.7 მუხლის თანახმად, კონტრაქტორი (მოსარჩელე) ვალდებული იღებდა, სამუშაოების შესასრულებლად ხელშეკრულების №1 დანართში მითითებული ტექნიკა-აღჭურვილობისათვის მობილიზება გაეკეთებინა. კონტრაქტორი ადასტურებდა და გარანტიას იძლეოდა, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკა-აღჭურვილობა შესაფერისი იქნებოდა;

3.3. ხელშეკრულების 9.3 მუხლის (კომპანიის გარანტიები) თანახმად, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით რომელიმე მესამე პირთან ხელშეკრულებას ან შეთანხმებას არ გააფორმებდა. ამ დებულებიდან გამონაკლისი შეიძლება დაშვებულიყო, როდესაც კონტრაქტორი წინამდებარე ხელშეკრულებას (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, პროექტის სპეციფიკაციებს) ვერ შეასრულებდა (იხ. ხელშეკრულება);

3.4. ხელშეკრულების 14.1 მუხლის შესაბამისად, ორივე მხარეს შეეძლო ნებისმიერ დროს შეენწყვიტა ხელშეკრულება, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მეორე მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არ შეასრულებდა, იმოქმედებდა იმგვარად, რომ ზიანი მიეყენებინა სამუშაოების ან მეორე მხარისათვის და ა.შ. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, კომპანიის მხრიდან დარღვევისას, თუ კონტრაქტორი შეწყვეტდა ხელშეკრულებას, მოპასუხეს კონტრაქტო-

რისათვის იმ ანაზღაურების შესაბამისი თანხა უნდა გადაეხადა, რაც გადასახდელი იქნებოდა შეწყვეტის დღიდან მინიმალური მოთხოვნის შესასრულებლად. კონტრაქტორის მხრიდან დარღვევისას, თუ კომპანია შეწყვეტდა ხელშეკრულებას, ამ უკანასკნელს შესრულებული სამუშაოების თანხა კონტრაქტორისათვის რეალურად შესრულებული სამუშაოების X%-ის ოდენობით უნდა გადაეხადა, მინიმალური მოთხოვნის შესასრულებლად (იხ. ხელშეკრულება);

3.5. ხელშეკრულების მე-16 მუხლის შესაბამისად, მხარეთა შორის ნებისმიერი სახის შეტყობინება და კომუნიკაცია უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით უნდა განხორციელდებულყო (იხ. ხელშეკრულება).

#### **4. სარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები**

4.1. კონტრაქტორმა 2015 წლის 27 აგვისტოს სარჩელი აღძრა კომპანიის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელისათვის, მიუღებელი შემოსავლის სახით, 7 000 000 (შვიდი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება მოითხოვა (ასევე, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის ანაზღაურება), მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 411-ე, 8.3, 361-ე მუხლებზე მიუთითა (იხ. სარჩელი).

4.2. მოსარჩელემ მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მასსა და კომპანიას შორის გაფორმებულ 2014 წლის 2 აპრილის ხელშეკრულების პირობებზე მიუთითა და განმარტა, რომ მოპასუხემ უხეშად დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რის გამოც მოსარჩელემ ვერ შეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მატერიალური ზარალი განიცადა, მან ვერ მიიღო ის სარგებელი, რაც მას მოპასუხის მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში უნდა მიეღო, კერძოდ:

4.2.1. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების 9.3. მუხლის პირველი წინადადება, რომლის თანახმად მას ეკრძალებოდა მესამე პირებთან ანალოგიური ხელშეკრულების გაფორმება. მოპასუხემ კი ხელშეკრულების დადებიდან 2 თვეში ანალოგიური ხელშეკრულება გააფორმა შპს „ჯ. თ.“-თან, რომელშიც უკვე შეცვლილი იყო მომსახურეობის ანაზღაურების ტარიფები და აღარ იყო მითითება მესამე პირებთან ანალოგიური კონტრაქტის დადების დაუშვებლობაზე. კომპანიამ ანალოგიური ხელშეკრულებები გააფორმა ასევე სხვა საწარმოებთანაც;

4.2.2. მოპასუხემ წარდგინილი პროექტები არ დაამტკიცა და მოსარჩელეს არ მიეცა მუშაობის საშუალება. კომპანიამ უპასუხოდ დატოვა ა. ა-სა და მ. ლ-ის ინსტრუქციის შესაბამისად შევსებული ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დოკუმენტები;

4.2.3. მოპასუხე არაეფექტურად წარმართავდა სახელმწიფოს-თან ურთიერთობას, ხელშეკრულების თანახმად, გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოში დოკუმენტაციის წარდგენა მოპასუხეს ევალებოდა, მაგრამ მას რაიმე დოკუმენტი სააგენტოში არ წარუდგენია. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად და პროცესების დასაჩქარებლად, კონტრაქტორმა თავისი ინიციატივით წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოში, მაგრამ მაინც ვერ მიიღო მუშაობის უფლება (სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა მტკიცების ტვირთის შეტრუნების თაობაზე, რომ მოპასუხისაგან და შემოსავლების სამსახურიდან გამოეთხოვა შესაბამისი მტკიცებულებები შესამე პირებთან დადებული ანალოგიური ხელშეკრულებების შესრულების შესახებ, კერძოდ მიღება-ჩაბარების აქტები), მოსარჩელე აღმოჩნდა უთანასწორო მდგომარეობაში და ვეღარ შეძლო მიუღებელი შემოსავლების სრული თანხის გამოანგარიშება;

4.2.4. კონტრაქტორის განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე (იხ. სუსგ-ები: №ას-848-806-2013; №3კ/629-01, №ას-509-893-06; №ას-218-210-2013) მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება ერთობლივი შემოსავალი ყოველგვარი გამოქვეითვის გარეშე, რაც მოსარჩელისათვის, მისივე გაანგარიშებით, შეადგენს 7 მილიონ აშშ დოლარს.

### **5. მოპასუხის შესაგებელი**

5.1. კომპანიამ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და უსაფუძვლოდ მიიჩნია იგი (იხ. მოპასუხის შესაგებელი);

5.2. მოპასუხემ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა მანგანუმის მადნეულის შეგროვებასთან და მის სამთო მინაკუთვნზე მანგანუმის კონცენტრატად გადაამუშავებასთან დაკავშირებით დაადასტურა და განმარტა:

5.2.1. კომპანიამ კონტრაქტორს (მოსარჩელეს) ხელშეკრულების შესრულების მიზნით, ავანსის სახით, 478 067. 08 ლარი გადაურიცხა. მოსარჩელეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელი პროექტი არ წარუდგენია და, შესაბამისად, კომპანიამ მას კოორდინატები ვერ დაუმტკიცა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კონტრაქტორს (მოპასუხეს) სათანადო ტექნიკა და აღჭურვილობა, რაც მადნის მოპოვებისათვის იყო საჭირო, არ გააჩნდა;

5.2.2. მხარეთა შეთანხმებით, მოსარჩელეს ავანსის სახით გადაერიცხა თანხა ტექნიკის შეძენისა და მომსახურების ეფექტურად გასაწევად, მაგრამ მოსარჩელემ აღნიშნული თანხა არამიზნობრივად გამოიყენა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, კონტრაქტორი არასათანადო კვა-



ლიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარის მქონე სანარმოა;

5.2.3. მიუხედავად აღებული გარანტიისა, რომ მოსარჩელეს აქვს შესაბამისი ტექნოლოგია და რესურსები, დადგენილია, რომ მის საკუთრებაში არ არსებობს არავითარი ტექნიკა ან სხვა რეგისტრირებული მოძრავი რესურსი. მოსარჩელეს არ წარუდგენია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული და დამუშავებული პროექტი, რომ მოპასუხეს მისი დამტკიცება შეძლებოდა;

5.2.4. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება შეტყობინებების და კომუნიკაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნას არ ითვალისწინებდა, აღნიშნულზე მხარეები არ შეთანხმებულან;

5.2.5. მოპასუხეს ხელშეკრულების 9.3 მუხლი არ დაურღვევია. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე კომპანია მესამე პირებთან, ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით, ანალოგიურ ხელშეკრულებას არ გააფორმებდა, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კომპანია (მოპასუხე) დაუმტკიცებდა კონტრაქტორს (მოსარჩელეს) პროექტის წარდგენის შემთხვევაში, რაც არ განხორციელებულა;

5.2.6. ხელშეკრულების შესაბამისად, თუკი კომპანია (მოპასუხე) დაარღვევდა ხელშეკრულების პირობებს, იგი ვალდებული იქნებოდა ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან მინიმალური მოთხოვნის შესასრულებელი თანხა გადაეხადა და არ შეიძლება ზიანის ოდენობა სხვა კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოებით მიღებული შემოსავლების შესაბამისად განისაზღვროს;

5.2.7. მოპასუხეს 2014 წლის 2 აპრილის ხელშეკრულება არ დაურღვევია. მოპასუხე მოგებაზე, ხარჯების ოპტიმიზაციასა და წარმოების გაზრდაზე ორიენტირებული კომპანიაა, ამიტომ იგი დაინტერესებული იყო, რომ კონტრაქტორს (მოსარჩელეს) ნაკისრი ვალდებულებები შეესრულებინა და რაც შეიძლება მეტი მადანი მოეპოვებინა, რის გამოც კონტრაქტორს, ავანსის სახით, თანხაც გადაერიცხა.

## **6. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

6.1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით კონტრაქტორის სარჩელი მოპასუხე კომპანიის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელისათვის თანხის გადახდის დაკისრებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

6.2. რაიონულმა სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის 316-ე, 317-ე, 394-ე, 411-ე, 412-ე, 629-ე, 633-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში: სსსკ) მე-4, 53-ე, 102-ე, 105-ე მუხლები გამოიყენა. რაიონულმა სასამარ-

თლომ ამ განჩინების 1-2 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები – უდავოდ, ხოლო 3-3.5 ქვეპუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ მიიჩნია.

6.3. რაიონული სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 629-ე მუხლის თანახმად, მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულება გაფორმდა.

6.4. რაიონული სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მიერ ნარდგენილი ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმონერა არ წარმოადგენს სამუშაო პროექტის კომპანიისათვის წარდგენის დამადასტურებელ მტკიცებულებას ხელშეკრულების მე-2 დანართის შესაბამისად, რაც ასევე დასტურდებოდა მოწმე ლ-ის ჩვენებით, რომელიც მოპასუხე კომპანიის მენეჯმენტის ქმედებებს მართავდა და აკონტროლებდა.

6.5. სასამართლო სხდომაზე მხარეთა განმარტებით და მოწმე ლ-ის ჩვენებით დადგინდა, რომ მოსარჩელეს არ აღმოაჩნდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებელი ტექნიკა-აღჭურვილობა, რათა მას შესაბამისი ტექნიკის დაქირავება და სამუშაოების დანყება უზრუნველყოს. სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მადნის მოპოვების სამუშაოები, ხელშეკრულების ფარგლებში, არ უწარმოებია და ავანსის სახით თანხის გადახდის სანაცვლოდ რაიმე პროდუქცია არ შეუქმნია, მოპასუხისათვის არ მიუწოდებია.

6.6. სასამართლო შეფასებით, მოპასუხეს არ დაურღვევია ხელშეკრულების 9.3. მუხლის მოთხოვნები, რადგან ის არ იყო მოსარჩელისათვის ექსკლუზიური უფლების მიმნიჭებელი პირობა. დასახელებული სახელშეკრულებო პირობა არეგულირებდა საკითხს, რომ ვერც ერთი მესამე პირი ვერ აწარმოებდა სამუშაოებს იმ ტერიტორიაზე, სადაც მოსარჩელე განახორციელებდა სამუშაოებს მოპასუხისათვის წარდგენილი და დამტკიცებული პროექტის შესაბამისად.

6.7. რაიონული სასამართლო შეფასებით, მოპასუხის მიერ სხვა კონტრაქტორებთან ანალოგიური ხელშეკრულების დადებას ხელი არ შეუშლია მოსარჩელის მიერ მასთან დადებული ხელშეკრულების შესრულებაში. კერძოდ, მოსარჩელეს ავანსის სახით ჩაერიცხა თანხა, თუმცა, მას რაიმე სამუშაოები არ განუხორციელებია.

6.8. რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, სსკ-ის 394.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობა უკვე ვალდებულების დარღვევაა, მაგრამ სხვა საკითხია, მოწყვეტა თუ არა მას მოვალის პასუხისმგებლობა. თუკი მოსარჩელე უშვებს ვარაუდს, რომ მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით ნა-

კისრი ვალდებულება, რაც სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, ამ უკანასკნელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდოობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით არ განისაზღვრება. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში;

6.9. სსკ-ის 411-ე, 412-ე მუხლებზე დაყრდნობით სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტი, ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ მოპასუხის ქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული, არამედ – ზიანის გამომწვევიც. ასეთი გარემოებების დამტკიცება მოსარჩელემ ვერ შეძლო. ასევე მოსარჩელემ უტყუარი მტკიცებულებებით ვერც ის დაადასტურა, თუ რა ოდენობის მატერიალური ზიანი მიიღო მან. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ემსახურება არა ზიანის მიმყენებლის დასჯას, არამედ იმ დანაკლისის შევსებას, რომელიც ვალდებულების დარღვევის შედეგად სხვა პირს მიადგა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, როგორ მიიღო მან 7 მილიონი აშშ დოლარის მატერიალური ზიანი მაშინ, როცა მას არავითარი სამუშაოები არ განუხორციელებია.

## **7. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები**

7.1. კონტრაქტორმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საჩივრის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა. აპელანტმა ასევე მოითხოვა ა) ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გამოთხოვაზე და ბ) ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა დამატებითი მტკიცებულებების/დოკუმენტაციის წარდგენის მოპასუხისთვის დავალებასთან დაკავშირებით (მიღება-ჩაბარების აქტები) დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

7.2. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ თავისივე მოქმედებებით დაარღვია მოსარჩელის უფლებები და არ დააკმაყოფილა მთელი რიგი შუამდგომლობები, რამაც საბოლოოდ გასაჩივრებუ-

ლი გადაწყვეტილების უკანონობა განაპირობა. რეალურად, სასამართლომ საქმისთვის უმნიშვნელოვანესი არაერთი შუამდგომლობის უარყოფით მოსარჩელე სამართლიანი სასამართლო პროცესის მიღმა დატოვა, რაც ცალსახად იწვევს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას.

7.3. საოქმო განჩინებების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში აპელანტმა განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელეს არ მისცა შესაძლებლობა, სრულად გამოერკვია მოპასუხის ხელთ არსებული და სასამართლო პროცესზე შეგნებულად წარმოუდგენელი მტკიცებულებები. საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რომელიც თავად მოპასუხე კომპანიამ წარმოადგინა, ცალსახად დასტურდებოდა, რომ ამ უკანასკნელმა არათუ იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ არ ჰქონდა საქონლის მიღება-ჩაბარების აქტები, არამედ ფაქტობრივად, სასამართლო შეცდომაში შეიყვანა და ხელი შეუშალა საქმის ობიექტურ განხილვას. ამის პარალელურად, საქმის განმხილველმა სასამართლომ (მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე კომპანიის არაკეთილსინდისიერება სახეზე იყო), ობიექტურად არ შეაფასა და დამატებით არ გამოითხოვა ის მიღება-ჩაბარების აქტები, რომელიც მოპასუხის განცხადებით, მას არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა, თუმცა, მის მიერვე წარდგენილ საგადასახადო დოკუმენტებში ცალსახად იყო მითითებული. შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი დეკლარაციების გამოთხოვის შემთხვევაში, ცალსახად და ნათლად დადასტურდებოდა მოპასუხის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რაც, ცხადია, კიდევ ერთი მტკიცებულება იქნებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარით ფაქტობრივად ყველა გზა მოუჭრა მოსარჩელეს, ემტკიცებინა მიუღებელი შემოსავლის კონკრეტულ თანხაში გამოსახული ოდენობის არსებობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამოიკვეთა სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის ნორმატიული შინაარსი, რაც შესაბამის შედეგს – მოპასუხისათვის მტკიცების ტვირთის დაკისრებას იწვევდა, თუმცა, სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა. ფაქტობრივად, სასამართლომ შეუძლებელი გახადა მოსარჩელის მიერ მიუღებელი შემოსავლის დაანგარიშება;

#### **7.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით აპელანტმა მიუთითა:**

7.4.1. სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელესა (აპელანტსა) და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულების 9.3. მუხლი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ცალსახად ექსკლუზიურ უფლებას ანიჭებდა მოსარჩელეს, რათა მხოლოდ მას მოეპოვებინა მა-

დანი და განეხორციელებინა შესაბამისი სამუშაოები;

7.4.2. თავად მოპასუხე არ უარყოფს, რომ მან ხელშეკრულებები გააფორმა არაერთ მენარმე სუბიექტთან. ხელშეკრულების შინაარსი აბსოლუტურად ისეთივე იყო, როგორიც დაიდო მოსარჩელესთან, თუმცა, იმ გამოწვევით, რომ არც ერთ იმ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია სხვადასხვა კომპანიებთან, აპელანტთან დადებული ხელშეკრულების 9.3 მუხლის მსგავსი ჩანაწერი არ გვხვდება, ანუ მოპასუხემ აპელანტთან ექსკლუზიური ხელშეკრულება დადო, მხოლოდ აპელანტი იყო ერთადერთი მენარმე სუბიექტი, რომელსაც შეეძლო ექსკლუზიურად განეხორციელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. სხვა შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ აპელანტი წარმოადგენდა ჩვეულებრივ კონტრაქტორს (როგორც მაგალითად ის კომპანიები, რომლებმაც შემდეგ დადეს მოპასუხესთან ხელშეკრულებები), მაშინ გაუგებარია, რატომ მოხდა აპელანტთან დადებულ ხელშეკრულებაში 9.3 მუხლის დეფინიცირება. ცხადია, რომ მოპასუხე კომპანიამ აპელანტთან დადო ექსკლუზიური ხელშეკრულება, ანუ მხოლოდ და მხოლოდ აპელანტი იყო უფლებამოსილი, ეწარმოებინა სამუშაოები, თუმცა, შემდეგ კონტრაქტორისათვის აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზებით მოხდა ისე, რომ მოპასუხე კომპანიამ აპელანტი სამუშაო ტერიტორიაზე არ შეუშვა და ამის პარალელურად გააფორმა რამდენიმე ხელშეკრულება, სადაც უკვე აღარ გაითვალისწინა მოსარჩელესთან დადებული სახელშეკრულებო პირობა – 9.3 მუხლის მსგავსი შინაარსი;

7.4.3. აპელანტის მტკიცებით, სასამართლოს მსჯელობა სცდება საქმეში არსებული მტკიცებულებების ფარგლებს. კერძოდ, საქმეში წარდგენილია ელექტრონული მიმოწერა, რომელიც ცალსახად ადასტურებს, რომ აპელანტის წარმომადგენლები ცდილობდნენ, მოპასუხე კომპანიისთვის წარედგინათ პროექტი და შემდეგ მომხდარიყო ამ პროექტის დამტკიცება, თუმცა, მოპასუხის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით აღნიშნული ვერ მოხერხდა. რაც შეეხება პროექტის წერილობით წარდგენის სავალდებულობას – „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი წერილობითი დოკუმენტის ორ სახეს აღიარებს ესენია: ელექტრონული დოკუმენტი და მატერიალური დოკუმენტი. შესაბამისად, მითითებული კანონის თანახმად, ელექტრონული დოკუმენტი არის წერილობითი დოკუმენტი. ამგვარად, სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მოპასუხე კომპანიის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ელექტრონულად გაგზავნილი შეტყობინება არ არის სამართლებრივი ძალის მქონე. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სა-

სამართლოს პრაქტიკით, სრულიად დასაშვებია მხარეთა შორის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ურთიერთობა. მეტიც, ასეთი სახის მტკიცებულებები დასაშვებად მიიჩნევა და მასზე სასამართლო მსჯელობს ისე, როგორც ნებისმიერ სხვა მტკიცებულებაზე;

7.4.4. აპელანტის მტკიცებით, საქმეში წარდგენილია დოკუმენტაცია, სადაც მითითებულია, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორის ბატონი ლ-ის მიერ ხელმოწერილი და დამტკიცებულია მადნის მოპოვების კონტურები, სადაც აპელანტს უნდა ემუშავა, მაგრამ მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებით ვერ იმუშავა. შესაბამისად, ეს ფაქტი საერთოდ გამორიცხავს სასამართლოს იმ მსჯელობას რომ აპელანტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაცია და ხელშეკრულების შესრულებისთვის შეთანხმებული დოკუმენტები სათანადო წესით არ იყო წარდგენილი. მოსარჩელეს კონტურები დამტკიცებული ჰქონდა შესაბამისი ხელმოწერით, თუმცა, მიუხედავად ამისა, აპელანტმა სამუშაოს შესრულება მოპასუხე კომპანიის ბრალეული მოქმედებით ვერ შეძლო. აღნიშნულზე სასამართლომ საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება და სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის მასალები;

7.4.5. სასამართლომ სამართლებრივად აბსოლუტურად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება. მოსარჩელე კომპანიას სურს სასამართლოს ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელესა და მოპასუხე კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს მომსახურების ხელშეკრულებას და არა – ნარდობის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ნარდობად კვალიფიკაციით სასამართლოს სურდა იმ ფაქტობრივი გარემოების არაპირდაპირი დადასტურება, რაზეც მოპასუხე მუდმივად აპელირებდა: საყოველთაოდ ცნობილია, რომ მენარდეს უნდა გააჩნდეს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკეთობის შექმნისა, თუ სხვა სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ტექნიკური შესაძლებლობა, რაც სსკ-ის 629-ე მუხლიდან გამომდინარეობს;

7.4.6. აპელანტი არ ეთანხმება რაიონული სასამართლოს, ამ განჩინების 6.5. ქვეპუნქტში დასახელებულ, შეფასებას და აღნიშნავს, რომ შემკვეთის მიერ 2014 წლის 8 აპრილს თანხის გადმორიცხვა მოხდა **MN Georgia. Ore Concentrate extraction and enrichment, ka =** საქონლის ღირებულება ინვ №1, მიზნით. შესაბამისად, გაუგებარია რაზე დაყრდნობით აცხადებს მოპასუხე და შემდეგ – სასამართლო, რომ საავანსო თანხას ტექნიკის შექმნის მიზანი ჰქონდა;

7.4.7. აპელანტის მტკიცებით, მის კომპანიას არ მიეცა შესაძლებლობა, ობიექტურად დაეთვალია ზიანი, რომელიც მან მოპასუ-

ხე კომპანიის ბრალეული ქმედებით განიცადა. მოსარჩელეს (აპელანტს) უარი ეთქვა საგადასახადო ორგანოდან შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვაზე. ასევე, სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაათავისუფლა კონტრაქტორი მის მიერ სარჩელში დაფიქსირებული მოთხოვნის ოდენობის (შვიდი მილიონი აშშ დოლარის) ნამდვილობის და გონივრულობის მტკიცების ტვირთისაგან. შესაბამისად, შედეგი, რომელიც სასამართლოს მიერ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ საოქმო განჩინებებს მოჰყვა, განპირობებული იყო ამ უკანონო საპროცესო დოკუმენტებით.

## **8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები:**

8.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის განჩინებით კონტრაქტორის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება; გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 24 მარტისა და 25 მაისის წინმსწრები (საოქმო) განჩინებები, შემოსავლების სამსახურიდან მტკიცებულებათა გამოთხოვასა და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის მოპასუხისათვის დავალებაზე, მოსარჩელის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

8.2. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა შემოსავლების სამსახურიდან მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდა. საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა საგადასახადო დეკლარაციები და მიღება-ჩაბარების აქტები 2014 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 1 აპრილამდე, რომლებიც ადასტურებენ სადავო პერიოდში რა მოცულობის და რა პროცენტული შემცველობის მქონე მანგანუმის მადანი იქნა მოპასუხის მიერ მიღებული კონტრაქტორი კომპანიებისაგან, რომლებიც ეწვეიან კარიერული წესით მადნის მოპოვებას.

8.3. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა სწორედ იმ სახითა და იმ შინაარსით, როგორაც იგი შუამდგომლობის ავტორის მიერ იყო დაყენებული. შუამდგომლობის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თავად მოპასუხე კომპანიის მიერ წარდგენილი რიგი მტკიცებულებებიდან, მაგ.: 2015 წლის 14 აპრილს შპს „ფ-სა“ და მოპასუხის ურთიერთობის ამსახველი საგადასახადო ანგარიშგაქტურებიდან №ეა-..., №ეა-..., №ეა-..., №ეა-..., 2015 წლის 24 მარტის №ეა-... და ა.შ. ირკვეოდა, რომ მხარეთა შორის საქონლით მომსახურებისას შედგა მიღება-ჩაბარების აქტებიც, რომელთა წარდგენაზეც მოპასუხე მხარემ უარი განაცხადა

იმ დასაბუთებით, რომ მიღება-ჩაბარების აქტი არ არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რის გამოც იგი არ შენახულა და დღეის მდგომარეობით ასეთი დოკუმენტები კომპანიაში არ არსებობს.

8.4. საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან (მომსახურების დეპარტამენტიდან) 2017 წლის 16 თებერვალს წარმოდგენილი იქნა შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის 10.02.2017 წლის მდგომარეობით, კომპანიის მიერ წარდგენილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშებები. ამასთან, საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დამატებით გადმოგზავნილ იქნა ე.წ. სამსახურებრივი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ სასამართლოს განჩინებით დადგენილი ინფორმაციის გამოთხოვისათვის არსებითია განჩინებაში მითითებული იქნეს კონტრაქტორი კომპანიების დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ამასთან განჩინებით მოთხოვნილი დოკუმენტებიდან (საგადასახადო დეკლარაციები და მიღება-ჩაბარების აქტები) საგადასახადო ორგანოში გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში დაცული მონაცემები მოიცავს მხოლოდ საგადასახადო დეკლარაციებს, რაც შეეხება მანგანუმის მადნის მიღება-ჩაბარების აქტებს, აღნიშნული დოკუმენტები საგადასახადო ორგანოში არ ინახება.

8.5. საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით, სააპელაციო სასამართლოს მიერ 2016 წლის 16 მარტს მიღებული იქნა განჩინება, რომლითაც საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან მოწვეული იქნა სპეციალისტი, განჩინებაში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარების გასანევად. სააპელაციო სასამართლოში 2017 წლის 2 აპრილს გამოცხადდა სპეციალისტი შემოსავლების სამსახურიდან (ა. ქ.), რომელმაც გასცა პასუხები სასამართლოსა და მხარეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

8.5.1. სპეციალისტის განმარტებით, მათი სამსახურის მიერ წარდგენილი ე.წ. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის გაანგარიშებები“ ინფორმაციული თვალსაზრისით იგივეა, რაც საგადასახადო დეკლარაცია (საგადასახადო დეკლარაციებს დაშუშავებული სახით სწორედ ეს სახე აქვს);

8.5.2. რაც შეეხება მიღება-ჩაბარების აქტებს, ასეთი დოკუმენტი შემოსავლების სამსახურში არ არსებობს, რაც იმასთანაა დაკავშირებული, რომ ამ ორგანიზაციებში არ მომხდარა საგადასახადო შემონმება;

8.5.3. სასამართლოს შეკითხვაზე, პასუხობს თუ არა განჩინებაში დასმულ კითხვას შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია? – სპეციალისტმა განმარტა, რომ არ პასუხობს;



8.5.4. აპელანტის (კონტრაქტორის) წარმომადგენლის კითხვის: მივიღებთ თუ არა განჩინებაში დასმულ კითხვებზე პასუხს, თუ შემოსავლების სამსახურიდან გამოვითხოვთ ზედნადებებს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს? პასუხად სპეციალისტმა განმარტა: სხვა რაიმე ინფორმაცია (ზედნადებები, საგადასადო ანგარიშ-ფაქტურა) დამუშავებული სახით შემოსავლების სამსახურში არ არის. არის თუ არა ეს დოკუმენტები იმ ინფორმაციის შემცველი, რაც განჩინებაშია ასახული, სპეციალისტმა არ იცის, რადგან ინფორმაცია არ არის დამუშავებული.

8.6. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა, რომლითაც მან მოითხოვა ზედნადებებისა და ანგარიშ-ფაქტურების გამოთხოვა შემოსავლების სამსახურიდან. სასამართლოს შეფასებით, შუამდგომლობა ეხებოდა ახალი მტკიცებულებების წარდგენას, რომლის გამოთხოვის თაობაზეც, მანამდე კონტრაქტორს არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში შუამდგომლობა არ დაუყენებია. ამასთან, შუამდგომლობაზე უარის თქმის განმარტებებელ ერთ-ერთ გარემოებად სააპელაციო სასამართლომ სპეციალისტის პასუხი მიიჩნია, რომელმაც განმარტა, რომ მან არ იცის ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა შეიცავს თუ არა განჩინებაში დასმულ კითხვაზე პასუხს, რადგან ეს ინფორმაცია შემოსავლების სამსახურში დამუშავებული არ არის.

8.7. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის მე-4 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში აპელანტმა მხარემ, რომლის სურვილიც იყო დაედასტურებინა გარკვეული გარემოება (რომ მიცემოდა შესაძლებლობა ზიანის დათვლისა) – სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სრულიად კონკრეტული მტკიცებულებების საგადასახადო დეკლარაციისა და მიღება-ჩაბარების აქტების გამოთხოვა, რაც დააკმაყოფილდა კიდევ. მხარემ ზედნადებებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოთხოვა სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე იშუამდგომლა, რაც კანონშესაბამისად არ დააკმაყოფილდა.

8.8. სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით დაადგინა შემდეგი: ერთ-ერთი სადავო ფაქტობრივი გარემოება მხარეთა შორის არის ის, წარუდგინა თუ არა მოპასუხე კომპანიას სათანადო პროექტი კონტრაქტორმა (მოსარჩელემ, აპელანტმა), რათა მომხდარიყო ამ პროექტის დამტკიცება და კონტრაქტორს მისცემოდა სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობა.

8.8.1. კონტრაქტორის მტკიცება (პროექტის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ) პირველი ინსტანციის სასამართლოში ენიწა-ალმდეგება მის მიერვე სააპელაციო სასამართლოში (სააპელაციო საჩივარშიც) დაფიქსირებულ იმ პოზიციასთან, რომ მან პროექტი წარადგინა, რომელიც დაამტკიცა კიდეც მოპასუხემ, თუმცა, კონტრაქტორმა მუშაობის დაწყება რეალურად მაინც ვერ მოახერხა მოპასუხის მიერ ხელშეშლის გამო. აპელანტის მტკიცება, რომ მას მუშაობაში ხელი თავად მოპასუხემ შეუშალა, სასამართლომ არ გაიზიარა და არ შეაფასა აღნიშნულ ფაქტზე მხარის მითითება, სსკ-ის 219-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე (იხ. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილი: „მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული საჩივლსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული“). სასამართლომ მიუთითა, რომ ეს პოზიცია აპელანტმა მხოლოდ სააპელაციო საჩივრით გააჟღერა და ახლად მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადასტურებისათვის მონმის ჩვენებაზე მიუთითა.

8.9. მოსარჩელის მტკიცებაზე კომპანიასთან ხელმოწერილი ხელშეკრულების ექსკლუზიური პირობის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპანიის მუშაობა ცალკეულ შემთხვევებში უნდა განხორციელებულიყო კონკრეტული ობიექტისა და კონკრეტული პროექტის ფარგლებში. სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულების 9.3. პუნქტი არ უკრძალავდა კომპანიას გაეფორმებინა ანალოგიური ხელშეკრულებები, მაგრამ უკრძალავდა ხელშეკრულებების გაფორმებას სხვა კონტრაქტორებთან იმ ტერიტორიაზე, რომელ ტერიტორიაზეც შესაბამისი პროექტის წარდგენისა და დამტკიცების შემთხვევაში მოსარჩელე იმუშავებდა.

8.10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს სამართლებრივი შეფასება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ბუნებასთან დაკავშირებით, სსკ-ის 629-ე მუხლზე მიუთითა და განმარტა, რომ ხსენებული სახელშეკრულებო ურთიერთობა თავისი სამართლებრივი შინაარსით ყველაზე ახლოს სწორედ ნარდობის ხელშეკრულებასთან დგას, რის გამოც სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულებად უნდა მიჩნეულიყო.

8.11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ (კონტრაქტორმა) ვერ დაამტკიცა, რატომ ვერ შეძლო სამუშაოთა დაწყება შეთანხმებულ დროს; ასევე, ვერ დაამტკიცა, რომ სათანადო დროს კონტრაქტორი მზად იყო (ტექნიკა, აღჭურ-

ვილობა, კონტრაქტები მესამე პირებთან) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რაში გახარჯა მისთვის ავანსად გადარიცხული თანხა (გახარჯა თუ არა იგი დანიშნულებისამებრ). მან ვერ შეძლო დაედასტურებინა მოპასუხის ბრალეულობა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტაში, შესაბამისად, მოსარჩელისთვის ზიანის მიყენებაში. სრულიად დაუდასტურებელია ზიანის ის ოდენობა, რასაც მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელის ხელთ არსებული თუნდაც პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპოვებული მტკიცებულებებით და სათანადო საპროცესო საშუალებების გამოყენებით, მოსარჩელეს შეეძლო მიეთითებინა არა ჰიპოთეტურ თანხაზე (7 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტურ ლარზე), არამედ – რეალურ თანხაზე, რომელიც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემთხვევაში (რაც არ დადასტურდა), სასამართლოს მისცემდა ზიანის ოდენობის გონივრულობაზე მსჯელობის საშუალებას.

## **9. საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

9.1. აპელანტმა საკასაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის განჩინება, 2017 წლის 20 აპრილისა (შემოსავლების სამსახურიდან სასაქონლო ზედნადებებისა და ანგარიშ-ფაქტურების გამოთხოვის თაობაზე აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) და 21 ივნისის (სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის დაზუსტებისა და მისი განმარტების თაობაზე აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) საოქმო განჩინებები, მათი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

9.2. კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების კონკრეტული მუხლები; არასათანადოდ შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები, კონკრეტულად კი, ელექტრონული მიმონერები და მხარეებს შორის არსებული კორესპონდენციები; სასამართლომ ურთიერთსანინააღმდეგო შინაარსის საოქმო განჩინებები მიიღო, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ადრე მიღებული განჩინების მიზნებს; სასამართლომ დაარღვია მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრობითობის პრინციპები;

9.3. კასატორმა გაიმეორა სააპელაციო საჩივარში გამოთქმული, ამ განჩინების 7.2-7.3 ქვეპუნქტებში ასახული, პრეტენზიები და დამატებით აღნიშნა, რომ შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი დოკუმენტების გამოთხოვის შემთხვევაში, ცალსახად და

ნათლად დადასტურდებოდა მოპასუხის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რაც, ცხადია, კიდევ ერთი მტკიცებულება იქნებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარით ფაქტობრივად ყველა გზა მოუჭრა მოსარჩელეს, ემტკიცებინა მიუღებელი შემოსავლის კონკრეტულ თანხაში გამოსახული ოდენობის არსებობა, რაც სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა;

9.4. კასატორი მიუთითებს, რომ 2017 წლის 20 აპრილს გამართულ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე სასამართლომ (სხდომის ოქმი) თვითონვე განმარტა, რომ მოითხოვა საგადასახადო დეკლარაციები და მიღება-ჩაბარების აქტები, თუმცა, სანაცვლოდ მოსაკრებლის გაანგარიშების აქტები მიიღო. ამასთან, სასამართლომ პირდაპირ ჰკითხა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელს, თუ რატომ არ იქნა ის დოკუმენტები წარდგენილი, რომელიც განჩინებით იყო მოთხოვნილი და არის თუ არა წარმოდგენილი ის დოკუმენტები, რომლებიც იმავე ინფორმაციის შემცველია, რა ინფორმაციაც სასამართლომ გამოითხოვა;

9.5. კასატორი მიიჩნევს, რომ 2017 წლის 26 იანვარს და 16 მარტს მიღებული საოქმო განჩინებები კანონიერი იყო, რადგან მიზნად ისახავდა შესაბამისი კონკრეტული ინფორმაციის მიღებას საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან, ანუ სასამართლომ წინამდებარე საქმეზე სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, ერთი მხრივ, მოითხოვა საგადასახადო ორგანოდან შესაბამისი დოკუმენტები და, მეორე მხრივ, მოიწვია სპეციალისტი, რაც მიზნად ისახავდა წარდგენილი დოკუმენტაციისა და საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის გაანალიზებას. უმთავრესი კითხვა, რაზედაც სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი იმაში მდგომარეობდა, რომ კომპანიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, ზოგადად დაცული იყო თუ არა საგადასახადო ორგანოში და სასამართლოსათვის მისივე განჩინებების საფუძველზე წარმოდგენილ დოკუმენტები პასუხობდა თუ არა მათი წარმოდგენის განჩინებით განსაზღვრულ მიზნებს;

9.6. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განჩინება, რომლითაც არ მოხდა იმ მტკიცებულების გამოთხოვა საგადასახადო ორგანოდან, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო აპელანტი კომპანიის უფლებების სათანადოდ განხორციელება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრის განჩინების მიზანი იყო ის, რომ შემოსავლების სამსახურიდან მიღებულიყო ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემდა, ერთი მხრივ, აპელანტს, რომ დაეთვალა მიუღებე-

ლი შემოსავლის ოდენობა და, მეორე მხრივ, სასამართლოს საქმის სრულ სურათს წარმოუჩინდა. სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრისა და 16 მარტის განჩინებების ერთადერთი მიზანი იყო – გარკვეულიყო სასამართლოში წარდგენილი საგადასახადო დოკუმენტები იძლეოდა თუ არა იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ განსაზღვრულიყო – სადავო პერიოდში რა მოცულობის და რა პროცენტული შემცველობის მქონე მანგანუმის მადანი მიიღო მოპასუხემ სხვა კონტრაქტორი კომპანიებისგან, რომლებიც ეწევიან კარიერული (ღია) წესით მადნის მოპოვებას. ამგვარად, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები სწორედ უშუალოდ აღნიშნული ინფორმაციის გარკვევას ისახავდა მიზნად, რასაც კასატორის მტკიცებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განსახილველი საქმის სწორად და ობიექტურად განხილვისათვის, რაც სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა. სწორედ აღნიშნულს მოჰყვა სასამართლოს მიერ 2017 წლის 26 იანვარს შესაბამისი განჩინების მიღება. სამართლებრივი თვალსაზრისით, ლოგიკური ბმა 2017 წლის 26 იანვრისა და 16 მარტის განჩინებებს შორის იყო საგადასახადო ორგანოში დაცული მონაცემების გამოთხოვა და შეფასება. ამასთან, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ის დოკუმენტები, რაც საგადასახადო ორგანომ წარადგინა, ვერც სასამართლოს და ვერც მხარის მიზნებსა და ინტერესებს ვერ პასუხობდა. სწორედ ამიტომ დასჭირდა სასამართლოს შემოსავლების სამსახურიდან სპეციალისტის მონაწილეობა;

9.7. საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან მოვლენილი სპეციალისტის განმარტების მიხედვით (სხდომის ოქმი 16:00 წთ), შემოსავლების სამსახურს მიაჩნია, რომ განჩინებით მოთხოვნილი საკითხების გარკვევას შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ პასუხობდა. კასატორის მტკიცებით, ეს გარემოება წინამდებარე საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა;

9.8. სააპელაციო სასამართლოს კითხვაზე, თუ რატომ ვერ პასუხობს განჩინებაში დასმულ ამოცანას შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, სპეციალისტმა განმარტა: „ჯერ ერთი მიღება-ჩაბარების აქტები არ გვაქვს და თან რაც წარმოვადგინეთ არ არის პასუხისმცემი რაც სასამართლომ დაგვავალა. განჩინებაში დასმულ საკითხს ვერ პასუხობს ეს ინფორმაცია“ (სხდომის ოქმი 16:35-16:50 წთ). კასატორს მიაჩნია, რომ ის რისთვისაც მოიწვიეს სპეციალისტი – მიეწოდებინა სასამართლოსთვის ინფორმაცია ზოგადად, რა სახის დოკუმენტები ინახებოდა იმ საკითხებზე, რაც კონტრაქტორს აინტერესებდა, შესრულდა, თუმცა, სასამართლომ აღნიშნული გარემოება არასწორად და არა-

ობიექტურად შეაფასა;

9.9. კასატორის პრეტენზია იმას ეხება, რომ სპეციალისტის განმარტება, რომ სასამართლოს მიერ გამოთხოვილი დოკუმენტები ვერ პასუხობდა სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიზანს, ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი იყო, შესაბამისად, საჭირო იყო დაზუსტება. იმისთვის, რომ კასატორს და სასამართლოს მიეღოთ ის ინფორმაცია, რაც მოსარჩელეს სურდა, ვერ მოხდებოდა სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველზე, რომელშიც დაშვებული იყო გაუმართლებელი ტექნიკური შეცდომები, მაგალითად, მითითებული არ იყო იმ კომპანიების საიდენტიფიკაციო კოდები, რომელთა დოკუმენტაცია-საც ითხოვდა სასამართლო. ამაზე შემოსავლების სამსახურის მიერ სასამართლოსათვის გამოგზავნილ დოკუმენტაციაშიც არის მითითება. შესაბამისად, საჭირო იყო განჩინების სარეზოლუციო ნაწილის დაზუსტება იმგვარად, რაც შესაძლებლობას მისცემდა შემოსავლების სამსახურს მოეკვლია და სასამართლოსთვის მიენო-დებინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტაცია. შემოსავლების სამსახურის შესაბამისმა პირებმა სამსახურებრივ ბარათ-ში დაფიქსირებული პოზიციით და, მეორე მხრივ, სპეციალისტმა ცალსახად მიუთითეს, რომ საჭირო იყო კომპანიების იდენტიფიცირება და სასაქონლო ზედნაღებები იმისთვის, რომ მომხდარიყო განჩინების მიზნების შესრულება;

9.10. კასატორს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ საკითხს ის გარემოებაც ამძაფრებს, რომ 2017 წლის 20 აპრილს, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე სპეციალისტის განმარტებებიდან გამომდინარე დააყენა აპელანტმა (კონტრაქტორმა), შუამდგომლობა, რომელიც ლოგიკური იყო, როგორც სამართლებრივად ისე ფაქტობრივადაც, რადგან 2017 წლის 26 იანვრის განჩინების მიზანი და სარეზოლუციო ნაწილის შეუსაბამობა სწორედ 20 აპრილს დაყენებული შუამდგომლობით უნდა გამოსწორებულიყო. კერძოდ, 2017 წლის 20 აპრილს სასამართლოს სხდომაზე აპელანტმა იშუამდგომლა საგადასახადო ორგანოდან გამოთხოვილი ინფორმაციის სრულყოფილად მიღების მიზნით, შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილიყო შემდეგი დოკუმენტაცია: ა) საგადასახადო დეკლარაციები, ბ) დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურები და გ) ზედნაღებები, რაც ადასტურებს შპს „ფ-სგან“ (ს/კ: ...), შპს „G. T.“-გან (ს/კ: ...) და შპს „ს-გან“ (ს/კ: ...), მოპასუხის მიერ ღია კარიერული წესით მოპოვებული მადნის მიღებას 2014 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 1 აპრილამდე პერიოდში. შესაბამისად, ამ შუამდგომლობით აპელანტმა სწორედ საგადასახადო სპეციალისტის განმარტებების შემდეგ მიუთითა სასამართლოს ის, რაც 2017

წლის 26 იანვრის განჩინების მიზნებსა და ამოცანას პასუხობდა;

9.11. კასატორს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული შუამდგომლობით მოთხოვნილ იქნა მხოლოდ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის დაზუსტება, რაც განსაკუთრებულად საყურადღებოა, რადგან 2017 წლის 20 აპრილს აპელანტის შუამდგომლობის მიზანი იყო 2017 წლის 26 იანვარს სააპელაციო სასამართლოს მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შევესება/ჩამოყალიბება. აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით, სააპელაციო სასამართლო 2017 წლის 26 იანვრის განჩინებას შეენიანაღმდეგა, როდესაც მიუთითა, რომ შუამდგომლობას არ აკმაყოფილებდა მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპიდან გამომდინარე. კასატორი აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის განჩინებას აპელანტის შუამდგომლობის უარყოფის თაობაზე, რადგან აღნიშნული არ არღვევდა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს;

9.12. კასატორმა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე (DELICOURT v. BELGIJA (Eur. Court H.R., 17. 1. 1970, Series A no. 11; Mirigall Escolano and others v. Spain, 38366/97, 2000), საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე (სუსგ №ას-849-799-2015) მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სწორედ სამართლიანი სასამართლოს და სამართლიანი პროცესის არარსებობასთან გვაქვს საქმე, რამდენადაც სასამართლოს მოქმედებებით შეუძლებელი გახდა მოსარჩელის (კასატორის) უფლებების დაცვა. სასამართლომ უსაფუძვლოდ შეზღუდა მისი უფლებები, როდესაც მიიღო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო განჩინება და ფაქტობრივად კონტრაქტორს წაართვა იმის შესაძლებლობა, რომ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება შესაბამისი მტკიცებულებით დაედასტურებინა;

9.13. საქართველოს კონსტიტუცია (ისევე, როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია) განამტკიცებს სასამართლო სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მხარეთა, ანუ პროცესის მონაწილეთა თანაბარ შესაძლებლობებს, რაც საბოლოო ჯამში მხარეთა თანასწორობაში ვლინდება. ვინაიდან განსახილველ საქმეში მოსარჩელე ფაქტობრივად ჩაყენებულია არასათანადო მდგომარეობაში, დაუცველია ზემოაღნიშნული ღირებულებები;

9.14. კასატორი არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოების შეფასებას ხელშეკრულების 9.3 მუხლთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მოპასუხემ მადნეულის მოპოვების შესახებ ხელშეკ-

რულება სხვა კომპანიებთანაც დადო. ხელშეკრულების შინაარსი აბსოლუტურად ისეთივე იყო, როგორც დაიდო მოსარჩელესთან, თუმცა, იმ გამოწვევით, რომ არც ერთ იმ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია სხვადასხვა კონტრაქტორებთან, კასატორთან დადებული ხელშეკრულების 9.3 მუხლის მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს. კასატორს მიაჩნია, რომ მასთან მოპასუხემ ექსკლუზიური ხელშეკრულება დადო, მხოლოდ იგი იყო ერთადერთი მენარმე სუბიექტი, რომელსაც შეეძლო ექსკლუზიურად განეხორციელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. თუმცა, ცალსახაა, რომ მსგავსი ხელშეკრულებების სხვა პირებთან გაფორმებით მოპასუხე კომპანიამ დაარღვია ხელშეკრულებით (გენერალური ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულება და ზიანი მიაყენა მოსარჩელეს (იხ. ამ განჩინების 7.4.2 ქვეპუნქტი);

9.15. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარდგენილი ელექტრონული მიმოწერები, სადაც კასატორის (კონტრაქტორის) წარმომადგენელი პირდაპირ სთხოვს რეაგირებას მოპასუხე კომპანიის უფლებამოსილ წარმომადგენლებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი არავითარ მოქმედებებს არ ახორციელებდნენ იმისთვის, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეესრულებინათ. შესაბამისად, სასამართლოს შეფასება, რომ პროექტის დამტკიცების მიუხედავად, არ დადასტურდა, რომ სწორედ მოპასუხის ბრალეულობით მოხდა კონტრაქტორის მიერ სამუშაოთა დაწყების ხელშეშლა, არ არის სწორი. სააპელაციო სასამართლომ არათანმიმდევრულად და ზედაპირულად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები (იხ. ამ განჩინების 7.4.3-7.4.4 ქვეპუნქტები);

9.16. კასატორი არ იზიარებს ქვემდგომ სასამართლოთა სამართლებრივ შეფასებას მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნარდობის ხელშეკრულებად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით (იხ. ამ განჩინების 7.4.5 ქვეპუნქტი);

9.17. კასატორის მტკიცებით, განსახილველ შემთხვევაში ცალსახაა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა ეწარმოებინა ის სამუშაოები, რაც გათვალისწინებული იყო მასსა და მოპასუხეს შორის დადებული გენერალური ხელშეკრულებით. შესაბამისად, ცალსახაა, რომ კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაო გარკვეული ფინანსური სარგებლის მომტანი იქნებოდა მისთვის. ზოგადად, ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ყველაზე გავ-



რცელებული სახეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ანუ პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის ვალდებულებაში, მიყენებული ზიანი ნატურით ან ფულადი სახით აანაზღაუროს;

9.18. კასატორის მტკიცებით, მის მიერ მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს მიუღებელი შემოსავლის მაქსიმალურად სავარაუდო ოდენობას. მოპასუხემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მიუღებელი შემოსავლის ზუსტი ციფრის დაანგარიშება. თუმცა, სამწუხაროდ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა შეუძლებელი გახადეს ზუსტი თანხის განსაზღვრა. ამასთან, მოპასუხემ სასამართლოს დაუმალა მიღება-ჩაბარების აქტები, რომელიც თავად ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ არსებობს, თუმცა, ისინი სასამართლოს არ მიუღია. მიუხედავად ამისა, საქმეში არსებული მასალებით, შეიძლება ითქვას, რომ სარჩელით მოთხოვნილი თანხა – 7 მილიონი აშშ დოლარი ნამდვილად არის მიუღებელი შემოსავალი, რაც მოსარჩელემ მოპასუხის ბრალეული და სრულიად არაკეთილსინდისიერი მოქმედებების გამო ვერ მიიღო (იხ. ამ განჩინების 7.4.7 ქვეპუნქტი);

9.19. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ დაუმტკიცებია შესასრულებელი სამუშაოს პროექტები და არ განუსაზღვრავს ადგილზე მუშაობის კოორდინატები. შესაბამისად, გამოკვეთილია მოპასუხე კომპანიის ბრალეული ქმედება, რამდენადაც მან ხელშეკრულების არსებითი პირობები დაარღვია იმ პირობებში, როდესაც რაიმე სახის ფორს-მაჟორს ან/და სხვა დამაბრკოლებელ გარემოებებს ადგილი არ ჰქონია. ამასთან, საქმეში წარდგენილია მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ კონტრაქტორი ყოველთვის ცდილობდა კეთილსინდისიერების ვალდებულების გათვალისწინებით ემოქმედა. იგი პერმანენტულად მიმართავდა მოპასუხე კომპანიას (და სხვა დანესებულებებს), რათა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობები შეესრულებინა, თუმცა, ცალსახაა, რომ ხშირ შემთხვევაში მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელთა მხრიდან ძირითადად უმოქმედობა იყო, ხოლო რა მოქმედებებიც (პასუხები) განხორციელდა, ისინი არაადეკვატური და არაკონსტრუქციული იყო;

9.20. მოპასუხე კომპანიის მოქმედებები მიმართული იყო მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებისაკენ. მოპასუხე კომპანიამ, ასევე ხელშეკრულების ნორმათა უგულვებლყოფით, სხვა კომპანიებსაც მისცა მადნის მოპოვების უფლება, კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ რეალურად მოპასუხის მოქმედებები მოპასუხისათვის ზიანის მიყენებას ისახავდა მიზნად.

## 10. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

10.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით კონტრაქტორის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

10.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

10.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 მარტის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით (სსსკ-ის 408-ე მუხლი).

10.4. საკასაციო სასამართლოში 2018 წლის 11 აპრილს გამართულ სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოპასუხის ქმედებას მოსარჩელისათვის ფაქტობრივი ზიანი არ მიუყენებია და ის მხოლოდ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას ითხოვს. კასატორის განმარტებით, ხელშეკრულების თანახმად მოპასუხე კომპანიის ვალდებულება იყო, დაენიშნა კოორდინატორი, რომელსაც მხარეთა შორის არსებულ და სამომავლო ურთიერთობისათვის კოორდინაცია უნდა გაენია; მოსარჩელეს უნდა შეედეგინა პროექტი, რომელსაც კოორდინატორთან შეთანხმების შემდეგ მოპასუხე დაამტკიცებდა; კომპანია გამოყოფდა ადგილს, განსაზღვრავდა კონტურებს, რის შემდეგაც კონტრაქტორი მას მომსახურებას გაუწევდა; მომსახურების გაწევა გულისხმობდა მანგანუმის კონცენტრატად გადამუშავების პროცესის კოორდინაცია-სა და მენეჯმენტს; კონტრაქტორს უნდა ჰყოლოდა ქვეკონტრაქტორები, რომლებიც უშუალოდ მოიპოვებდნენ და დაამუშავებდნენ მანგანუმს, რაც საბოლოო სახით მოპასუხეს გადაეცემოდა;

10.5. კასატორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოორდინატორი 2 თვის დაგვიანებით დაინიშნა და პროექტიც 2 თვის დაგვიანებით დამტკიცდა მაშინ, როცა ქვეკონტრაქტორი გამოცხადდა სამუშაოების შესასრულებლად, მოპასუხე კომპანიის დაცვის სამსახურის უფროსმა მას საშუალება არ მისცა ტერიტორიაზე შესულიყო და ემუშავა. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, ისინი ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას, სამუშაოების დაწყებას, თუმცა, მოპასუხე მათ ამის საშუალებას არ აძლევდა;

10.6. კასატორმა სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მოსარჩელეს არ მისცეს სა-

შუალემა მიუღებელი შემოსავლის ოდენობა გამოეთვალა, რადგან მათ არ გამოითხოვეს ის მტკიცებულებები, რაც მოსარჩელემ მოითხოვა და რის საფუძველზეც დადგინდებოდა მიუღებელი შემოსავლის ოდენობა;

10.7. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, მენარდე იყო ახალი და გამოუცდელი კომპანია, როცა მასთან ხელშეკრულება გააფორმეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოპასუხე კომპანიას ჰქონდა მოლოდინი, რომ შესრულებას მიიღებდა. შემკვეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსარჩელეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია, რის გამოც მასთან გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა, რაც მოსარჩელისათვის იმთავითვე ცნობილი იყო. მოსარჩელეს არ აქვს იმის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება, რომ მოპასუხემ მას ზიანი მიაყენა, პირიქით, მან მოგებაც კი მიიღო ხელშეკრულების გაფორმებით, რადგან ავანსის სახით გადახდილი 500 000 ლარი არც გამოუყენებიათ და არც შემკვეთისათვის დაუბრუნებიათ. საქმის მასალებით არ დასტურდება სამუშაოების წარმოებისას კონტრაქტორისათვის ხელშემშლის ფაქტი, მოსარჩელეს არ აქვს იმის მტკიცებულება, რომ მას ხელს უშლიდნენ და ამის გამო პრეტენზია გამოთქვა;

10.8. მტკიცებულებების გამოთხოვასთან დაკავშირებით, მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსარჩელეს შეეძლო ზოგადი ექსპერტიზა ჩატარებინა და დასკვნა წარედგინა სასამართლოსათვის, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი სავარაუდო მოგება. რაც შეეხება, ხელშეკრულების 9.3 მუხლის შინაარსს, მოპასუხე მიიჩნევს, რომ ეს ნორმა ექსკლუზიური არ არის და ის მხოლოდ ერთ კონკრეტულ ტერიტორიას (კონტურს) შეეხებოდა. შესაბამისად, კომპანიას არც აღნიშნული სახელშეკრულებო პირობა დაურღვევია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად განალიზების, მხარეთა პოზიციების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის (კონტრაქტორის) საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია,

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

12. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

14. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებების გაუქმებას გამოიწვევდა.

15. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსსკ-ის მე-4 მუხლზე, რომლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რა დროსაც მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავდროულად 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ის ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის

**ძირითადი საკასაციო პრეტენზიები, რომლებიც საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე უნდა შეფასდეს შემდეგია:**

16.1. მოპასუხისა და ქვემდგომი სასამართლოების უკანონო ქმედებებმა, რაც მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებების წარდგენაზე უარის თქმაში გამოიხატა, აპელანტს მიუღებელი შემოსავლის ოდენობის გამოთვლის შესაძლებლობა არ მისცა;

16.2. მოპასუხემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით ზიანი მიაყენა მოსარჩელეს;

16.3. სასამართლომ არასწორად განმარტა ხელშეკრულების 9.3 მუხლი, რომლითაც მხარეები ექსკლუზიურ პირობაზე შეთანხმდნენ (იხ. ამ განჩინების 7.4.2 ქვეპუნქტი);

16.4. მოპასუხის მიზანი მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება იყო, რაც არასათანადოდ გამოიკვლიეს ქვემდგომმა სასამართლოებმა (იხ. ამ განჩინების 9.20 ქვეპუნქტი);

16.5. კასატორი მიიჩნევდა, რომ მხარეთა შორის წარდობის ხელშეკრულება არ დადებულა და სასამართლოებმა არამართებულად შეაფასეს ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, ეს რეალურად მომსახურების ხელშეკრულება იყო. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის სხდომაზე კასატორი დაეთანხმა სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ მხარეთა შორის წარდობის ხელშეკრულება დაიდო (სსკ-ის 629-ე მუხლი).

17. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებ-

რივი შედეგის დადგომას“ (იხ. სუსგ-ები: ას-1529-1443-2012, ას-973-1208-04; ას-664-635-2016).

18. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რომელი ნორმის საფუძველზე არის შესაძლებელი მოსარჩელისათვის სასურველი იურიდიული შედეგის მიღწევა და ამის შემდეგ შეამოწმებს სარჩელის ფაქტობრივ საფუძველებს.

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ საქმეში იმ შედეგის მიღწევა, რაც კასატორს სურს (მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით – 7 000 000 აშშ დოლარის დაკისრება) იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სარჩელი სსკ-ის 629.1, 394.1, 408.1, 411-ე, 412-ე მუხლებს ეფუძნება. სწორედ ამ ნორმების საფუძველზე შეამოწმებს საკასაციო სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის გამართულობას.

19.1. სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. მოხმობილი ნორმის შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მენარდეა, რომელსაც მანგანუმის კონცენტრატად გადაამუშავების პროცესის კოორდინაცია და მენეჯმენტი უნდა განეხორციელებინა, ქვეკონტრაქტორები დაექირავებინა, რომლებიც მანგანუმს მოიპოვებდნენ და გადაამუშავებდნენ, მიღებული პროდუქტი კი მოპასუხისათვის (შემკვეთისათვის) უნდა გადაეცათ შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ (იხ. ამ განჩინების 10.4 და 16.5 ქვეპუნქტები).

19.2. კასატორი მიიჩნევს, რომ მას მოპასუხის ქმედებით (მუშაობაში ხელშეშლა) ზიანი მიადგა. მენარდის განმარტებით, მართალია, დაგვიანებით (იხ. ამ განჩინების 10.5. ქვეპუნქტი), მაგრამ მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება უნდა შეესრულებინა, რისთვისაც მოსარჩელის ქვეკონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლები, შემკვეთის მიერ განსაზღვრულ სამუშაო ადგილას, მანგანუმის მოსაპოვებელი სამუშაოების სანარმოებლად გამოცხადდნენ, თუმცა, მოპასუხე კომპანიის დაცვის სამსახურის უფროსმა ისინი ტერიტორიაზე არ შეუშვა და მუშაობის საშუალება არ მისცა. კასატორი ამ გარემოებას მხოლოდ საკუთარ ახსნა-განმარტებას აფუძნებს, მას აღნიშნულის დამადასტურებელი სხვა სარწმუნო მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია. „სასამართლო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მონესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზან-

ნია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. პირველი, რაც უნდა გააკეთოს მხარემ დამტკიცების მოვალეობის შესასრულებლად – ესაა მტკიცებულებათა წარმოდგენა სასამართლოში იმ ფაქტის დადგენის მიზნით, რომლის დამტკიცების მოვალეობაც მას ეკისრება. წარმოდგენილი მტკიცებულება ისეთ კავშირში უნდა იყოს დასადგენ გარემოებასთან, რომ შეიძლებოდეს ამ გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ უტყუარი დასკვნის გაკეთება. მხარე საქმის შედეგით დაინტერესებული პირია, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი ახსნა-განმარტების სისწორესა და უტყუარობაზე. მხარის ყოველი განმარტება ფაქტების შესახებ, რომელიც გაკეთებულია მის სასარგებლოდ, მართალია მტკიცებულებაა, მაგრამ არასაკმარისია, რომელიც მოითხოვს დადასტურებას სხვა მტკიცებულების მეშვეობით“ (შდრ. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 1 ნაწილი, თბილისი, 2014, გამომცემლობა „სამართალი“, გვ: 259, 284, 308).

19.3. ასეც რომ არ იყოს, სსკ-ის 636-ე მუხლის თანახმად შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლის დანაწესი სახელშეკრულებო სამართალში ე.წ. საგამონაკლისო ნორმაა, რომელიც შემკვეთს ნებისმიერ დროს, უპირობოდ ანიჭებს უფლებას ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება (იხ. სუსგ-ები: №ას-697-663-2015, 15.12.2015წ; №ას-901-851-2015, 05.02.2016წ; №ას-981-926-2015, 11.03.2016წ.).

19.4. განსახილველ შემთხვევაში, მხარეებმა სახელშეკრულებო პირობით შეიბოჭეს თავი, რაც თითოეულ მათგანს ანიჭებდა უფლებამოსილებას, რომ შეენწყვიტა ხელშეკრულება (იხ. წინამდებარე განჩინების 3.4 ქვეპუნქტში მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების 14.1 მუხლის შინაარსი). როგორც საქმის მასალებით დასტურდება, შემკვეთმა კომპანიამ მენარდეს (კონტრაქტორს) წერილობით აცნობა, რომ ამ უკანასკნელთან არსებული ხელშეკრულების გაგრძელება, იმის გათვალისწინებით, რომ შემკვეთმა მენარდეს წინასწარ გადაუხადა, ავანსის სახით, 478 067.08 ლარი, ხოლო კონტრაქტორს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რაც კომპანიას ზიანს აყენებდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაგრძელების საკითხი. შემკვეთ კომპანიას არც შესრულება მიუღია და არც ავანსად გადახდილი თანხა დაბრუნებია.

19.4.1. მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც კასატორმა განმარტა (იხ. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის სხდომის ოქმი) მენარდეს ფაქტობრივი ზიანი არ განუცდია, მას ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები არ განუხორციელებია; კასატორს არც იმის თაობაზე მიუთითებია, რომ ქვეკონტრაქტორების დაქირავებისას ხარჯი გასწია;

19.4.2. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის მტკიცების ტვირთია, რაც მხარემ, ამ შემთხვევაში მენარდემ, საარწმუნოდ უნდა დაადასტუროს, რომ მას ხელშეკრულების მოშლით ზიანი მიადგა. სსკ-ის 408.1 მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ხოლო სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულია ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად კი ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო საგარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს;

19.4.3. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო მენარდეს ზიანი მიადგა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებას (სსკ-ის 394.1 მუხლი) ვერ დაეფუძნება, რადგან შემკვეთმა მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების 14.1 მუხლის საფუძველზე მოშალა ურთიერთობა. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს ხელშეკრულების მოშლით განცდილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა, ამას სათანადო მტკიცება სჭირდება. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მოსარჩელის სტადიაზე, მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად მხარეს არ აქვს მითითებული საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გაბათილების უარყოფის ვალდებულება დაეკისრებოდა მოპასუხეს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ მან დაიწყო ან დააპირა სამუშაოების დაწყება, თუმცა, ვერ განახორციელა მოპასუხის მხრიდან ხელშეშლის გამო.



თვით ამ ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი დამადასტურებელი სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებები საქმეში წარდგენილი არ არის. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივ ნაწილში გაუმართავია სარჩელი, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება კიდევ უფრო რთული ხდება. (იხ. სუსგ №ას-697-663-2015, 15.12.2015);

19.4.7. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ მიუღებელი შემოსავლის ოდენობის გამოთვლამდე სხვა კონტრაქტორების მიერ წარმოებულ სამუშაოთა მიხედვით, კონტრაქტორს ჯერ მიუღებელი შემოსავლის არსებობის ფაქტი უნდა დაემტკიცებინა. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის წარუმატებლობა მიუღებელი შემოსავლის ზუსტი ოდენობის დაუდგენლობამ კი არა, სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი წინაპირობების არასაკმარისობამ და უსაფუძვლობამ განაპირობა. მოსარჩელემ ვერ დაასახელა, კონკრეტულად რა ქმედებები განახორციელა, რაში შეეშალა ხელი მოპასუხის მხრიდან, რატომ არ შეეძლო მოპასუხეს ხელშეკრულება შეენწყვიტა, რაში გამოიხატა კომპანიის მხრიდან ხელშეკრულების 14.1 მუხლის დარღვევა. დადგენილია, რომ კონტრაქტორს (მენარდეს) არავითარი სამუშაო არ გაუწევია, საქმეში არც იმგვარი მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რაც სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების წინაპირობას შექმნიდა. კონტრაქტორი მხოლოდ ზეპირად განმარტავს, რომ მას უნდა დაეწყო სამუშაოები, შესაბამისი ტექნიკა დაიქირავა, მივიდა სამუშაო ობიექტზე, სადაც მოპასუხის დაცვის სამსახურმა შეუშალა ხელი. იმ შემთხვევაში, თუკი საქმის მასალებში წარმოდგენილი იქნებოდა მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა ქვეკონტრაქტორების დაქირავება, შესაბამისი მანქანა-დანადგარების (ტექნიკის) დაქირავებისათვის მენარდის მიერ განეული ხარჯები, რაც სწორედ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების შესრულებას უკავშირდებოდა, შესაძლოა, კონტრაქტორის სარჩელის ნაწილი დაკმაყოფილებულყო, მენარდის მიერ ფაქტობრივად განეული დანახარჯების მოპასუხისათვის დაკისრების სახით, რადგან მიუღებელი შემოსავლის მტკიცების სტანდარტი სსკ-ის 411-ე მუხლის წინაპირობების შემოწმებას მოითხოვს. განსახილველ შემთხვევაში კონტრაქტორს (მენარდეს), რომელსაც ფაქტობრივი ზიანი არ განუცდიდა და, შესაბამისად, მის ანაზღაურებას არც ითხოვს, შეუძლებელია ჰქონდეს მხოლოდ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამასთან, ზიანის ანაზღაურების არც ის ორი მთავარი წინაპირობაა დადასტურებელი, რასაც სსკ-ის 412-ე მუხლი ადგენს (მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო და ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი).

20. კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის (კომპანიის) მიზანი მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება იყო, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული მტკიცება დაუსაბუთებელია და არ დასტურდება არც მხარეთა განმარტებებით, არც – საქმის მასალებით. შემკვეთმა მენარდეს ავანსის სახით 478 067.08 ლარი გადაურიცხა, რაც კონტრაქტორს შემკვეთისათვის არ დაუბრუნებია, მას არც იმაზე მიუთითებია, გამოიყენა თუ არა ეს თანხა, ან რა სამუშაოებისათვის გამოიყენა. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა მოსარჩელის პრეტენზია, რომ მოპასუხის მიზანი იყო ზიანი მიყენებინა მხარისათვის, რადგან თავად მოსარჩელე ადასტურებს, რომ მას სამუშაოები არ უწარმოებია და ფაქტობრივი ზიანი არ განუცდია.

21. კასატორის პრეტენზიებს რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინებების უკანონობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ შეაფასებს, რადგან ისინი სააპელაციო სასამართლომ გააუქმა (იხ. ამ განჩინების 8.1. ქვეპუნქტი). ხოლო რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილისა (შემოსავლების სამსახურიდან სასაქონლო ზედნადებებისა და ანგარიშ-ფაქტურების გამოთხოვის თაობაზე აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) და 21 ივნისის (სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის დაზუსტებისა და მისი განმარტების თაობაზე აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) საოქმო განჩინებებს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მათი გაუქმების საფუძველი არ არსებობს, რადგან სააპელაციო სასამართლომ მართებულად უთხრა უარი აპელანტს აღნიშნული შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე.

21.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის საოქმო განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა შემოსავლების სამსახურიდან სასაქონლო ზედნადებებისა და ანგარიშ-ფაქტურების გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რადგან აპელანტს შუამდგომლობა შესაბამის საპროცესო ეტაპზე არ დაუყენებია, მან ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოითხოვა, რამაც შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა განაპირობა. სააპელაციო სასამართლომ განუმარტა მხარეს, რომ 2017 წლის 26 იანვრის მოსამზადებელ სხდომაზე დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დეკლარაციებისა და მიღება-ჩაბარების აქტების გამოთხოვის თაობაზე, ხოლო სასაქონლო ზედნადებებისა და ანგარიშ-ფაქტურების გამოთხოვა აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს 2017

წლის 20 აპრილის მთავარ სხდომაზე იშუამდგომლა, რის გამოც მისი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აპელანტს (რომელიც მენარმე სუბიექტია) დავის დასაწყისშივე უნდა სცოდნოდა, თუ რა სახის მტკიცებულება, რა გარემოების დასადასტურებლად დასჭირდებოდა და თავიდანვე უნდა გამოეთხოვა ისინი. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა სრულად შეესაბამება სსსკ-ის 215-ე მუხლის დანაწესს.

21.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 21 ივნისის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრისა და 16 მარტის განჩინებების სარეზოლუციო ნაწილების დაზუსტებისა და მისი განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დეკლარაციებისა და მიღება-ჩაბარების აქტების გამოთხოვის თაობაზე. ხოლო სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 16 მარტის განჩინებით შემოსავლების სამსახურიდან მოწვეულ იქნა სპეციალისტი. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, რომ საპროცესო კანონმდებლობა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების შესაძლებლობას მაშინ იძლევა, როცა სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია და განმარტებას საჭიროებს. 2017 წლის 16 მარტის საოქმო განჩინება „ტექნიკური ხასიათის“ განჩინებაა, რომლითაც საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით სპეციალისტი იქნა მოწვეული სხდომაზე, შესაბამისად ის არანაირ ბუნდოვანებას არ შეიცავს, რის გამოც არც დაზუსტებას და არც განმარტებას არ საჭიროებდა (სსსკ-ის 262-ე მუხლი). 2017 წლის 26 იანვრის საოქმო განჩინებით კი აპელანტის შუამდგომლობა ზუსტად იმ ფორმულირებით და იმ ფარგლებში დაკმაყოფილდა, რასაც ეს უკანასკნელი ითხოვდა, შესაბამისად, სასამართლო არ და ვერ მიიღებდა განჩინებას იმ ფორმით და ფარგლებში, რაც აპელანტს არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი).

22. საკასაციო სასამართლო, მიუღებელი შემოსავლის ოდენობის გამოთვლაში ხელშეშლასთან დაკავშირებით კასატორის პრეტენზიას არ იზიარებს და განმარტავს, რომ მოსარჩელეს არ შეუძრულებია საკუთარი მტკიცებების ტვირთის ფარგლებში ის ვალდებულებები, რაც საპროცესო კოდექსითაა გათვალისწინებული, როგორც თითოეული მხარის შესაძლებლობა, მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს კანონიერი მტკიცებულებები შესაბამის საპროცესო ეტაპზე. მოსარჩელე მხოლოდ თეორიულ მსჯელობას ავითარებს, თუ რას მიიღებდა სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ ობიექტზე შესრულებული სამუშაოების შედეგების (მოპოვებული მადანი და გადამუშავებული კონცენტრატის სახით) მიხედვით სხვა ობიექტზე მოპოვებული და შესაბამის კონცენტრატამდე დამუშავებული მადნის ოდენობის იდენტიფიკაციაზე მსჯელობა შეუძლებელია, რადგან საექსპერტო ცოდნის გარეშეც შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილას ერთი და იმავე ოდენობის მადანი არ მოიპოვება, რაც მოსარჩელის ინტერესიდან გამომდინარე, განსახორციელებელი სამუშაოების მიახლოებითი ღირებულების გამოთვლის შესაძლებლობას მაინც უქმნიდა. მოსარჩელემ, საკუთარი მოთხოვნის დასაბუთებულობის გასამყარებლად, გარდა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა, უნდა წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს ჯეროვნად არ შეუსრულებია მტკიცების მოვალეობა, მაგ. ზოგადი ხასიათის ექსპერტიზის ჩატარების სახით, რომლითაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შედეგად მისაღები შემოსავლის ოდენობას ზოგადად განსაზღვრავდა კონკრეტულ გეოგრაფიულ მონაკვეთზე, სადაც დამტკიცებული იყო მისი სამუშაო კონტურები, შესაძლო მოსაპოვებელი მადნის გასაშუალებულ ოდენობაზე (გადამუშავების შემდეგ მიახლოებით ღირებულებაზე) სპეციალისტის დასკვნის წარმოდგენით. ამგვარი ზოგადი შინაარსის დასკვნის შესაბამის საპროცესო ეტაპზე წარდგენის პირობებში, მოპასუხეზე გადავიდოდა ამ მტკიცებულების უარყოფის ტვირთი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში კონტრაქტორმა მენარმე სუბიექტმა სათანადოდ არ შეასრულა საკუთარი პროცესუალური მოვალეობა, რამაც განაპირობა მისი სარჩელის წარუმატებლობა.

23. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს შეფასებას და დასაბუთებას ხელშეკრულების 9.3. მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით, რომ კონტრაქტორს კონკრეტულ კონტურებზე ჰქონდა მინიჭებული საქმიანობის უფლებამოსილება, რაც შემკვეთს არ აკისრებდა ვალდებულებას, რომ სხვა ობიექტებზე არ დაექირავებინა სხვა მენარდეები და მენარდის მტკიცებით ე.წ. ექსკლუზიური სახელშეკრულებო პირობა სამუშაოების წარმოებას მხოლოდ იმ ობიექტსა და იმ კონტურებში განსაზღვრავდა, რაც კონტრაქტორს ჰქონდა დამტკიცებული. აღნიშნული კი არ უზღუდავდა შემკვეთს უფლებამოსილებას, სხვა ობიექტებზე დაექირავებინა სხვა კონტრაქტორები (მენარდეები) და მათთან კასატორთან გაფორმებული ხელშეკრულების იდენტიური, მსგავსი ან სრულიად განსხვავებული პირობები შეეთანხმებინა (იხ.

ამ განჩინების 6.6 და 9.14 ქვეპუნქტები).

24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება დასაბუთებულია და კანონიერი, მართებულია სადავო სამართალურთიერთობისადმი მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის სახით სსკ-ის 629-ე მუხლის მისადაგება, მხარეთა შორის სწორად არის გადანაწილებული მტკიცების ტვირთი, რომლის ეფექტიანად რეალიზება მოსარჩელემ ვერ შეძლო, როგორც ფაქტობრივი გარემოებების მითითებით, ისე – სამართლებრივად წონადი მტკიცებულებების წარდგენით.

25. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას საკასაციო საჩივარი დაეკმაყოფილებინა, რაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

26. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსკ-ის 55.2 მუხლი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ე. ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ე. ჯ-ს“ შუამდგომლობა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილისა და 21 ივნისის საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის განჩინება;
4. კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ნარდობის ხელშეკრულების მოწულა

## გადაწყვეტილება საქართველოს სასახლით

№ას-1016-977-2016

30 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 15 დეკემბერს შპს „ფ-სა“ (შემდგომში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მენარდე, მოსარჩელე, აპელანტი) და სს „ს-ს“ (შემდგომში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შემკვეთი, პირველი მოპასუხე, კასატორი) შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საგანი იყო დამკვეთის საკუთრებაში არსებული ობიექტის 24-საათიანი დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2013 წლის 31 დეკემბერი განისაზღვრა, განეული მომსახურების ყოველთვიურ ღირებულებად კი – 7680 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

2. 2014 წლის 1 ივნისს, მოსარჩელესა და შპს „სადისტრიბუციო კომპანია ს-ს“ (შემდგომში შემკვეთი, მეორე მოპასუხე, კასატორი) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ იკისრა მოპასუხის ობიექტის დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულება დღელამურ რეჟიმში. ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2014 წლის 31 დეკემბერი განისაზღვრა, განეული მომსახურების ყოველთვიურ ღირებულებად კი – 1200 ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო 2014 წლის 1 ივლისიდან – 1400 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3. 2014 წლის 31 დეკემბერს, მოსარჩელესა და შპს „რესტორან გ-ს“ (შემდგომში შემკვეთი, მესამე მოპასუხე, კასატორი) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ მოპასუხის ობიექტის დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულება იკისრა. ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2014 წლის 31 დეკემბერი განისაზღვრა, მომსახურების ყოველთვიურ ღირებულებად – 3000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4. ხელშეკრულებათა მიხედვით, თუ რომელიმე მხარე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ორი კვირით ადრე არ მოითხოვდა მის

მოშლას, ხელშეკრულება იმავე ვადით გაგრძელებულად მიიჩნეო-  
და, ხოლო ხელშეკრულების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ  
მხარეებს ერთმანეთისთვის ერთი თვით ადრე წერილობით უნდა  
ეცნობებინათ.

5. 2015 წლის 28 თებერვალს შემკვეთებმა წერილობით აცნო-  
ბეს მენარდეს, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ და  
მოითხოვა:

– პირველი მოპასუხისათვის – 65 520 ლარის, მეორე მოპასუხი-  
სათვის – 7 200 ლარის, მესამე მოპასუხისათვის – 23 400 ლარის  
სოლიდარულად დაკისრება.

7. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე კომპანიებს არ ჰქონდათ  
უფლება, შეეწყვიტათ ხელშეკრულებები. მოსარჩელე, რომელიც  
კერძო დაცვის ლიცენზირებული ორგანიზაციაა, 9 წელი მოპასუხე-  
ებთან თანამშრომლობდა. ბოლო ხელშეკრულებები დაიდო ერთი  
წლის ვადით, იმ დათქმით, რომ, თუ რომელიმე მხარე წერილობით  
არ გააუქმებდა ხელშეკრულებებს, მათი მოქმედება გაგრძელდე-  
ბოდა. მიუხედავად იმისა, რომ მენარდე კეთილსინდისიერად ასრუ-  
ლებდა დაცვის მომსახურებას, მოპასუხეებმა 2015 წლის 28 მარტს,  
წინასწარი წერილობითი გაფრთხილების გარეშე, ობიექტზე შეიყვან-  
ეს დაცვის სხვა ორგანიზაცია, ხოლო მოსარჩელის თანამშრომლე-  
ბი აიძულეს, დაეტოვებინათ სამუშაო ადგილი. მოსარჩელე იძულე-  
ბული გახდა, ვადამდე შეეწყვიტა შრომითი ხელშეკრულებები 21  
თანამშრომელთან და გადაეხადა კომპენსაციები. მოსარჩელემ მო-  
პასუხეთა მიერ ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტით ვერ მიიღო  
შემოსავალი, რომელსაც იგი მიიღებდა ხელშეკრულების პირობე-  
ბის შესრულების შემთხვევაში, რაც ჯამში 96 120 ლარია.

8. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს მოთხოვ-  
ნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითეს, რომ  
ხელშეკრულებები შეწყდა კანონისა და მხარეთა მიერ შეთანხმე-  
ბული პროცედურების დაცვით. მათ ხელშეკრულებათა მოსალოდ-  
ნელი შეწყვეტის შესახებ, შეთანხმებული ვადის დაცვით, წერი-  
ლობით აცნობეს მოსარჩელეს.

**9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა კოლეგიის 2015 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარ-  
ჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაცვის მოსაწესრიგებ-  
ლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგ-  
ში – სსკ-ის) 317-ე და 394-ე მუხლები და მიუთითა შემდეგი:**

9.1. 2015 წლის 28 თებერვლს მოპასუხეებმა წერილობით აცნო-  
ბეს მოსარჩელეს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის თაობა-  
ზე. წერილები ჩაჰბარდა მოსარჩელის დაცვის სამსახურის უფროსს,

რ. მ-ს, რომელმაც მოწმედ დაკითხვისას აღნიშნული დაადასტურა. მანვე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მიზეზებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაცვის მომსახურება არასათანადო იყო. საქმეში წარმოდგენილი გაფრთხილების წერილების, მოპასუხეთა განმარტებისა და მოწმის ჩვენების საწინააღმდეგოდ მხოლოდ მოსარჩელის განმარტება, რომ არ მიუღია წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, სასამართლომ არ გაიზიარა. ამასთან, მიუთითა, რომ წერილის მიღების შემდეგ, შედგა მხარეთა შეხვედრა, რომელიც, ცხადია, სწორედ ხელშეკრულების შეწყვეტას უკავშირდებოდა.

9.2. ვინაიდან არ დადგინდა მოპასუხეების მიერ ვალდებულების დარღვევის – გაფრთხილების გარეშე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ფაქტი, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

**10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:**

10.1. გადაწყვეტილებაში არასწორად არის მითითებული, რომ მხარეთა წარმომადგენლები მარტის ბოლოს შეხვდნენ და არა – დასაწყისში. ამასთან, სინამდვილეს არ შეესაბამება ფაქტობრივი გარემოება, თითქოს, შეხვედრის დროს ობიექტზე უკვე სვვა დაცვის სამსახურის თანამშრომლები იყვნენ. შეხვედრისას, ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი არ განხილულა.

10.2. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოწმე, რომლის ჩვენებაც გაიზიარა, მუშაობდა მოპასუხეებთან და მატერიალურად დამოკიდებული იყო მათზე. ამ უკანასკნელის ჩვენება, რომ წერილობითი გაფრთხილების მიღების თაობაზე ხელმძღვანელი გააფრთხილა, სინამდვილეს არ შეესაბამება. მოწმემ გაფრთხილებებზე ხელი მოაწერა მხოლოდ სარჩელის სასამართლოში შეტანის შემდეგ, რადგან იგი ამ დროისთვის უკვე აღარ იყო მოსარჩელის თანამშრომელი.

10.3. წლების მანძილზე თანამშრომლობის პერიოდში, მოპასუხეებს რაიმე არსებითი პრეტენზია არ გამოუთქვამთ მომსახურების ხარისხზე. ხელშეკრულება კი, შეწყდა მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრიდან ერთი კვირის ვადაში.

**11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;**



11.1. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

11.2. სარჩელი დაკმაყოფილდა.

11.3. პირველ მოპასუხეს დაეკისრა 65 520 ლარის, მეორე მოპასუხეს – 7 200 ლარის, მესამე მოპასუხეს – 23 400 ლარის გადახდა, მოსარჩელის სასარგებლოდ.

12.1. სააპელაციო სასამართლო მითითებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებსა და წესს, სწორედ მოპასუხეებს ეკისრებოდათ მტკიცების ტვირთი, რომ, შენიშვნებისა და მითითებების მიუხედავად, შემსრულებელი ჯეროვნად არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთი მტკიცებულება, გარდა ზეპირი განმარტებისა, მოპასუხეებს არ წარუდგენიათ.

12.2. მონმის ჩვენებასთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მონმე არ წარმოადგენდა იმ უფლებამოსილ პირს, რომელსაც შეეძლო მომსახურების ხარისხის განსაზღვრა. ამასთან, მონმის ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ისე – შეწყვეტის შემდეგ მონმე შემკვეთთან (მოპასუხესთან) იყო დასაქმებული და მასზე ფინანსურად დამოკიდებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ ამ მონმის ჩვენებით მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების დადასტურება სააპელაციო პალატამ არ მიიჩნია საკმარისად.

12.3. პალატამ დაასკვნა, რომ ხელშეკრულება უსაფუძვლოდ, ბრალეულად შეწყდა, რამაც განაპირობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მომსახურების საფასურის მიუღებლობა. მოსარჩელე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას – იმ მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას, რასაც ის მიიღებდა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ანუ 2015 წლის აპრილიდან დეკემბრის ჩათვლით – 9 თვის განმავლობაში, თუმცა ვერ მიიღო მოპასუხეების მხრიდან ხელშეკრულების უსაფუძვლოდ შეწყვეტის გამო. ეს კი, მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის გამომწვევი უშუალო შედეგი იყო და ამდენი ზიანიც წინასწარ იყო სავარაუდო მოპასუხეებისათვის. ამდენად, ვლინდებოდა ზიანის ანაზღაურების ყველა წინაპირობა.

**13. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს მოპასუხეებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფის მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

13.1. სააპელაციო სასამართლო დაუსაბუთებლად განმარტავს,

რომ მხოლოდ მოწმის ჩვენებით მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების დადასტურება საკმარისი არ არის, სხვა მტკიცებულება კი, მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია. ფაქტობრივად, სასამართლო ამკვიდრებს მტკიცებულებათა სანდოობისა და დამაჯერებლობის ახალ სტანდარტს. სახელმწიქრულებო ვალდებულების დარღვევისას, მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით მხარის ახსნა-განმარტება და მოწმის ჩვენება თუ არა-საკმარისია, რა სახის წერილობითი მტკიცებულება შეიძლება არსებობდეს საიმისოდ, რომ სასამართლომ შეაფასოს, რამდენად არსებითი ან უმნიშვნელო იყო ვალდებულების დარღვევა. მოწმის ჩვენებით დასტურდებოდა, რომ პრეტენზია ჰქონდა სწორედ ქონების არასათანადო დაცვაზე, ეტიკეტის დარღვევაზე, არასათანადო ინფორმირების წესსა და დაცვითი მომსახურების უმნიშვნელოვანეს სხვა საკითხებზე.

13.2. კასატორთა მითითებით, ალოგიკურია სამოტივაციო ნაწილში ასახული სასამართლოს ზოგადი მსჯელობა გაფრთხილების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოუდგენლობასთან მიმართებით, მაშინ, როცა მოპასუხეთა მიერ გაგზავნილი წერილები სხვა არაფერია თუ არა გაფრთხილება არაერთგზის დარღვევების შესახებ. წერილების ჩაბარებიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე გასული ერთთვიანი ვადის განმავლობაში, მოსარჩელეს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, გამოცხადებულიყო მოთხოვნილ შეხვედრაზე და პირველად სარჩელში არ უარეყო წარდგენილი პრეტენზიები უხარისხო მომსახურების შესახებ.

13.3. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 412-ე მუხლი. მოსარჩელისათვის გადასახდელი ანაზღაურება მიჩნეულია მიუღებელ შემოსავლად, ისე – თითქოს მოსარჩელეს არ გააჩნდა ეკონომიკურ საქმიანობაზე მიმართული დანახარჯები დაცვის თანამშრომელთა ხელფასისა და სხვა ხარჯების სახით. წმინდა მოგების ნაცვლად, მიუღებელი შემოსავლის დაკისრება საერთო მომსახურების საფასურის საფუძველზე, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს ვალდებულების დარღვევისაკენ უბიძგებს, რადგან მას მოგების მისაღებად არ მოუწევს ხარჯის გაღება.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. კასატორმა წამოაყენა დასაბუთებული პრეტენზია სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით, რამაც იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

16. სასარჩელო მოთხოვნა ისეა დაკმაყოფილებული, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ განსაზღვრულა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და, შესაბამისად, არც დასაბუთებას არ შეიცავს ნორმით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობების შესრულების თაობაზე.

17. უპირველესად, საკასაციო პალატა ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, მიუთითებს, რომ სადავო ხელშეკრულებებს ნარდობის შინაარსი აქვს (სსკ-ის 629.1 მუხლის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური). სადავო ხელშეკრულებებით, მოსარჩელემ იკისრა საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, სამუშაოს შესრულების – დაცვითი მომსახურების განევის ვალდებულება. შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილების 1-7 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 636-ე (შემკვეთს უფლება აქვს, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი) მუხლი.

18. სსკ-ის 636-ე მუხლით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წინაპირობებია: მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების დადება; მენარდის მიერ შეთანხმებული სამუშაოს ნაწილის შესრულება; სამუშაოს დასრულებამდე შემკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა. ნარდობის ხელშეკრულების მოშლა არ ათავისუფლებს შემკვეთს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოვალეობისგან. აღ-

ნიშნულის ანაზღაურებაზე არც მოსარჩელე არ დავობს. მისი პრეტენზია ისაა, რომ შემკვეთმა არამართლობიერად შეწყვიტა ხელშეკრულება, რის გამოც უნდა აუნაზღაუროს იმ მომსახურების ღირებულება, რომელსაც იგი განეცდა ხელშეკრულება რომ არ შეწყვეტილიყო.

19. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც უკვე შესრულდა და ის, რომელიც ხელშეკრულების გამო აღარ უნდა შესრულდეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ განეულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მონყობილობების შექმნას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მონვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის განეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა, გაიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები“ (მდრ. ას-697-663-2015, 15.12. 2015).

20. ამდენად, ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის მიმართ კანონი ადგენს შეთანხმებული საზღაურის ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო შეუსრულებული ნაწილის მიმართ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი კი, ის ხარჯებია, რომელიც მენარდემ უკვე შესრულებული თუ სამომავლოდ შესასრულებელი სამუშაოსთვის გაიღო. ამ ხარჯის განევის მტკიცების ტვირთი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრება, ანუ მან უნდა ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა ხელშეკრულების მოშლით.

21. მოსარჩელის მტკიცებით, მისთვის მიყენებული ზიანი ის თანხაა, რომელსაც მიიღებდა ხელშეკრულებები რომ არ შეწყვეტილი-

ყო, ანუ იგი მიუღებელი შემოსავლის სახით მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების – 96 120 ლარის ანაზღაურებას მოითხოვს. მართალია, სარჩელში მითითებულია თანამშრომელთათვის გადახდილ კომპენსაციაზეც, ანუ ფაქტობრივ ზიანზეც, თუმცა მოსარჩელეს მტკიცებულება არ წარუდგენია ამ ფაქტთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლოში მოსარჩელემ განმარტა, რომ თანამშრომელთა ნაწილი სხვა ობიექტზე დაასაქმა. საბოლოოდ, საკასაციო სასამართლოში მოსარჩელემ განმარტა, რომ დასაქმებულთა კომპენსაციაზე სარჩელში მიუთითა, რადგან ეს ერთ-ერთი ხარჯი იყო, რომელიც ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტით განიცადა, ისე კი, იგი მოითხოვდა მხოლოდ იმ თანხის ანაზღაურებას, რომელსაც მიიღებდა მოპასუხეთათვის, ხელშეკრულებათა შესაბამისად, მომსახურება რომ გაენია (იხ. 17.05.2018 წლის საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმი). ამდენად, მოსარჩელე მოითხოვს მიუღებელ ერთობლივ შემოსავალს, რომლის ანაზღაურებასაც სსკ-ის 636-ე მუხლი, ზემოაღნიშნული (პ.19) განმარტებიდან გამომდინარე, არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის მენარდეს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად რეალური ქონებრივი დანაკლისის არსებობა უნდა ემტკიცებინა, რომელიც მან შესრულებული თუ ჯერ კიდევ შესასრულებელი სამუშაოსთვის გაიღო.

22. რაც შეეხება სარჩელის ძირითად პრეტენზიას, რომ ხელშეკრულება ერთთვიანი ვადის დაუცველად შეწყდა, პალატა განმარტავს, რომ ეს მტკიცების საგანში არ შედიოდა. ამ ფაქტის მტკიცება სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით არაარსებითი იყო, რამდენადაც მოსარჩელის მოთხოვნილი ზიანი, მოპასუხეთა მიერ ხელშეკრულებათა შეწყვეტის შეთანხმებულ პროცედურას არ უკავშირდებოდა. საკასაციო სასამართლოში თავად მოსარჩელემაც დაადასტურა, რომ ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით, ამ ვალდებულების შეუსრულებლობას არ გამოუწვევია.

23. ასევე არ არის გასაზიარებელი სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხემ მოსარჩელის მიერ მომსახურების უხარისხოდ განევის ტვირთი ვერ ზიდა, რამდენადაც, სსკ-ის 636-ე მუხლის შესაბამისად, შემკვეთს ხელშეკრულებაზე უარის უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჰქონდა, მათ შორის, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიუხედავად. ამდენად, ეს გარემოება მტკიცების საგანში საერთოდ არ შედიოდა. მოცემული შემთხვევა განსხვავდება სსკ-ის 644-ე (ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები) მუხლით მონეს-

რიგებული შემთხვევისაგან, რა დროსაც შემკვეთი სწორედ ნაკლის გამო ამბობს უარს ხელშეკრულებაზე და ითხოვს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

24. გარდა ამისა, ასეც რომ არ იყოს და შემკვეთის მიერ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი იმდაგვარად განიმარტოს, რომ მასში მიუღებელი შემოსავალიც მოიაზრებოდეს, მოსარჩელის ეს მოთხოვნა მანაც უსაფუძვლოა, ვინაიდან მან ვერ დაამტკიცა, რა იყო მისი რეალური მოგება, რომელსაც მიიღებდა. სსკ-ის 411-ე (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო) მუხლით განმტკიცებულ მიუღებელ შემოსავალში რომ ანაცდური მოგება იგულისხმება და არა – ერთობლივი შემოსავალი ყოველგვარი გამოქვითვის გარეშე, საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა (იხ. სუსგ №ას-406-383-2014, 17.04.2015 წ., №ას-218-210-2013, 10.03.2014 წ.). ამ კუთხით, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, თუ რა იყო მისი მიუღებელი შემოსავალი – ანუ ის მოგება, რომელსაც იგი მიიღებდა ხელშეკრულება რომ არ შეწყვეტილიყო.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ხელშეკრულებათა შეწყვეტით მიყენებული ზიანი ვერ დაასაბუთა, რაც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით გათვალისწინებული შედეგისათვის აუცილებელი წინაპირობა იყო.

26. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნ-

დაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ეს წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

28. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველმა მოპასუხემ საკასაციო საჩივარზე 3276 ლარი გადაიხადა, მეორე მოპასუხემ – 360 ლარი, მესამე მოპასუხემ – 300 ლარი. სსსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, მოსარჩელეს დაეკისრება მოპასუხეთა მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი შესაბამისი სახელმწიფო ბაჟი: პირველი მოპასუხის სასარგებლოდ – 3276 ლარი, მეორე მოპასუხის სასარგებლოდ – 360 ლარი, მესამე მოპასუხის სასარგებლოდ – 300 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 53-ე, 264.3, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. სს „ს-ს“, შპს „სადისტრიბუციო კომპანია ს-ს“, შპს „რესტორან გ-ს“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ფ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ფ-ს“ დაეკისროს 300 ლარის გადახდა შპს „რესტორან გ-ს“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. შპს „ფ-ს“ დაეკისროს 360 ლარის გადახდა შპს „სადისტრიბუციო კომპანია ს-ს“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
6. შპს „ფ-ს“ დაეკისროს 3276 ლარის გადახდა სს „ს-ს“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. დავალეზა

### გასამრჯელო დავალეზისთვის

#### გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-497-477-2016

21 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: რწმუნებულისთვის გასამრჯელოს გადახდა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ო. ი-მა (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ფ. ჯ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) მიმართ და მოითხოვა დავალების ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელოს სახით 1 250 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

#### 2. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2.1. 2013 წლის 5 თებერვალს ნოტარიულად დამონმებული მინდობილობით (შემდგომში – „მინდობილობა“) მოპასუხემ მოსარჩელეს მიანიჭა უფლებამოსილება ეწარმოებინა მოლაპარაკებები მისი კუთვნილი საავადმყოფოსათვის (შპს „ლი“, შემდგომში – „საავადმყოფო“) კრედიტის მისაღებად, ხელი მოეწერა მისი სახელით ნებისმიერ დოკუმენტზე, გაეცა „სენედი“ (საგარანტიო წერილი – ჩეკი) და განეხორციელებინა მინდობილობის გამცემის სახელით ნებისმიერი ოპერაცია;

2.2. მინდობილობით გათვალისწინებული არ იყო გასამრჯელოს ოდენობა, თუმცა ხელშეკრულებაში მითითებული გარემოებებიდან ჩანს, რომ დავალების შესრულება მოსალოდნელი იყო მხოლოდ გასამრჯელოთი;

2.3. მინდობილობა პირდაპირ არ ითვალისწინებდა მესამე პირისათვის მასში მითითებული მოქმედებების შესრულების გადანდობის უფლებას, თუმცა მინდობილობაში მითითებული – „სენედი“ (საგარანტიო წერილი – ჩეკი) გულისხმობს, რომ აღნიშნული დავალების შესრულება, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მესამე პირის მეშვეობითაც;



2.4. დავალების შესრულების მიზნით, მოსარჩელემ მესამე პირზე – მ. ი-ზე გასცა „სენედი“ (საგარანტიო წერილი – ჩეკი) და მასთან ერთად სრულად შეასრულა დავალებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, სავადმყოფოს სახელზე გაიცა სესხი 12 500 000 აშშ დოლარის ოდენობით;

2.5. მხარეთა ზეპირი შეთანხმებით გასამრჯელო განისაზღვრა დამტკიცებული საკრედიტო რესურსის 10%-ის ოდენობით, მაგრამ მინდობილობის გამცემს აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება არ შეუსრულებია.

### **3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა:**

3.1. მხარეები არ შეთანხმებულან გასამრჯელოს თაობაზე;

3.2. მოსარჩელეს წარმოდგენილი აქვს მინდობილობის არასწორი თარგმანი, მას დავალება პირადად უნდა შეესრულებინა და მინდობილობის თანახმად, უფლებამოსილების სხვა პირზე გადაცემა დაუშვებელი იყო;

3.3. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მისი საქმიანობის შედეგად განხორციელდა სავადმყოფოსათვის კრედიტის დამტკიცება.

4. მ. ი-მა (შემდგომში – „მეორე მოსარჩელი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მინდობილობის ფარგლებში გაცემული „სენედი“ შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელოს სახით „სენედის“ ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის – 1 500 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

### **5. მეორე მოსარჩელემ სარჩელში აღნიშნა, რომ:**

5.1. მინდობილობის ფარგლებში გაცემული „სენედის“ საფუძველზე შეასრულა დავალება. სენედი გაცემულია მარწმუნებლის სახელითა და დავალებით. შესაბამისად, ეს უკანასკნელი აგებს პასუხს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

5.2. შესრულებული სამუშაოსათვის დავალების შედეგად გაცემული „სენედი“ და ხელშეკრულებით განსაზღვრული გასამრჯელო – 1 500 000 აშშ დოლარი მარწმუნებელს არ გადაუხდია.

6. მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც არ ცნო მეორე მოსარჩელის სარჩელი მოცემული განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული დასაბუთებით.

7. გამომდინარე იქედან, რომ მოპასუხის მიმართ წარდგენილ ორივე სარჩელში მოთხოვნის საფუძველი გამომდინარეობდა ერთი და იმავე დავალების ხელშეკრულებიდან, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 ნოემბრის განჩინებით სასამართლოს წარმოებაში არსებული ორი სამოქალაქო საქმე გაერთიანდა ერთ წარმოებად.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გა-

დანყვეტილებით მეორე მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 300 000 აშშ დოლარის გადახდა.

9. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხემ და მოსარჩელებმა.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 მარტის განჩინებით მოპასუხისა და მოსარჩელების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება.

**11. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები და მათ საფუძველზე დადგენილად მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

11.1. მოპასუხე შპს „ლ-ს“ (საავადმყოფო) ერთ-ერთი დამფუძნებელია;

11.2. 2013 წლის 5 თებერვალს აზერბაიჯანულ ენაზე შედგენილი, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის თანახმად, მოპასუხემ მოსარჩელეს მიაწვია შემდეგი უფლებამოსილება: შპს „ლის“ სასარგებლოდ საბანკო კრედიტის გასაცემად წარემართა შესაბამისი მოლაპარაკება ბანკებთან, შეეგროვებინა და ხელი მოეწერა ამ დავალების შესასრულებლად აუცილებელი ყველა დოკუმენტისათვის;

11.3. მინდობილობაში არ დაფიქსირებულა გასამრჯელოს ოდენობა;

11.4. მინდობილობა გაუქმდა 2013 წლის 12 დეკემბერს;

11.5. 2013 წლის 25 თებერვალს მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეზე მოპასუხის სახელით გასცა „სენედი“ (საგარანტიო წერილი – ჩეკი), რომლის თანახმად, თუ მეორე მოსარჩელე უზრუნველყოფდა შპს „ლ-ის“ სასარგებლოდ ბანკიდან კრედიტის მიღებას 12 500 000 აშშ დოლარის ოდენობით, მოპასუხე მეორე მოსარჩელეს გადაუხდოდა გასამრჯელოს 1 500 000 აშშ დოლარის ოდენობით;

11.6. 2014 წლის 24 მარტს სს „თ-ის“ ბათუმის ფილიალმა შპს „ლ-ზე“ გასცა საბანკო კრედიტი 12 500 000 აშშ დოლარის ოდენობით;

11.7. მოპასუხის მიერ მოსარჩელეზე გაცემული მინდობილობა არ ითვალისწინებდა დავალების შესამე პირზე გადანდობის უფლებას;

11.8. მოსარჩელემ შპს „ლ-ს“ სასარგებლოდ კრედიტის გასაცემად განახორციელა გარკვეული ქმედებები, კერძოდ: ა) დავალების შესრულებაში ჩააბა მეორე მოსარჩელე, რაც კრედიტის მიღე-

ბაზე ზრუნვის დადასტურებაა; ბ) რამდენჯერმე შეხვდა სს „თ-ის“ ბათუმის ფილიალის გენერალურ დირექტორს ბ. ს-ს, ასევე – მრავალჯერ ჰქონდა მასთან სატელეფონო კომუნიკაცია (ტელეფონის ნომერზე ...), რაც დადასტურდა მონმეების: ი. გ-ს (ბანკის ერთ-ერთი დირექტორი) და ი. გ-ის (ბანკის საკრედიტო ოფიცერი) ჩვენებებით, ასევე – სატელეფონო ზარების ამონაწერითა და ელექტრონული მიმონერით;

11.9. მეორე მოსარჩელეს არანაირი წვლილი მიუძღვის შპს „ლ-ის“ სასარგებლოდ საბანკო კრედიტის გაცემაში, რადგან საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება მეორე მოსარჩელის მიერ რაიმე ისეთი მოქმედების განხორციელების შესახებ, რამაც ხელი შეუწყო კრედიტის გაცემას.

12. სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ 2016 წლის 14 მარტის სხდომაზე აზერბაიჯანული/თურქული ენების სპეციალისტის (თარჯიმნის) – ა. ა-ს მიერ სასამართლოსათვის მიცემული განმარტებით, 2013 წლის 5 თებერვლის მინდობილობით გათვალისწინებული დავალების სხვა პირზე გადაცემას მინდობილობა კრძალავდა; ამასთან, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო მოპასუხის სახელით ეწარმოებინა ბანკებთან მოლაპარაკებები შპს „ლ-ს“ კრედიტით დაკავშირებით, რისთვისაც შეეძლო ხელი მოეწერა ყველა საჭირო საბუთზე. თარჯიმნის განმარტებით, აზერბაიჯანულად „სენედლერ“ ნიშნავს „საბუთებს“; სიტყვა „სენედი“ არის ზოგადი ტერმინი, აღნიშნავს სწორედ „საბუთს“ და არა – კონკრეტულად „ჩეკს“ ან „საგარანტიო წერილს“.

13. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უდავოა, რომ მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის 2013 წლის 5 თებერვალს შედგენილი მინდობილობის საფუძველზე დაიდო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით გათვალისწინებული დავალების ხელშეკრულება: რწმუნებულმა იკისრა ვალდებულება – შეესრულებინა მარწმუნებლის მიერ დავალეული მოქმედებები, მარწმუნებლის კუთვნილი საავადმყოფოს სასარგებლოდ საბანკო კრედიტის გასაცემად. ამასთან, რწმუნებულს, ამავე კოდექსის 711-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაევალა დავალების პირადად შესრულება, რადგან მარწმუნებელს არ დაურთავს ნება დავალება გადაენდო მესამე პირისათვის.

14. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მართალია, თავად მინდობილობაში მხარეებს არ დაუფიქსირებიათ შეთანხმება გასამრჯელოს გადახდისა და მისი ოდენობის თაობაზე, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დავალება უკავშირდებოდა დიდი მოცულობის საბანკო კრედიტის მიღებას და, ამასთან, მხარეთა შორის რაიმე განსაკუთრებული სიახლოვის (მაგ: ნათესაური, მეგობრული და

სხვა) გამომხატველი ურთიერთობის არსებობა არ დგინდებოდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი დავალების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი იყო მოსალოდნელი და გასამრჯელო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უნდა ჩათვლილიყო უსიტყვოდ შეთანხმებულიად.

15. სააპელაციო პალატამ მიუთითა იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ შეასრულა დავალების ხელშეკრულების შესაბამისი გარკვეული მოქმედებები, რასაც მოჰყვა მარნმუნებლისათვის სასურველი შედეგი და მიიჩნია, რომ მოპასუხეს წარმოემვა რწმუნებულისათვის გასამრჯელოს გადახდის ვალდებულება.

16. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ, ვინაიდან საქმის მასალებით ამგვარი დავალების შესრულებისათვის რაიმე სანიხრო გასამრჯელოს არსებობა არ მტკიცდებოდა, მოსარჩელეს უნდა მიეღო ჩვეულებრივი გასამრჯელო. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოტივაცია გასამრჯელოს ოდენობის დადგენის ნაწილში, რომელიც დაეფუძნა, ერთი მხრივ, მოსარჩელის აქტიურობის ხარისხს მოპასუხისათვის დამდგარ შედეგთან მიმართებით და, მეორე მხრივ, – მოსარჩელებს შორის 2013 წლის 25 თებერვლის გარიგებაში ასახული გასამრჯელოს ოდენობას.

17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან მოსარჩელეს არ ჰქონდა დავალების სხვა პირისათვის გადანდობის უფლება და, ასევე, ორივე მოსარჩელე პირდაპირ დაინტერესებული იყო საქმის შედეგით, 2013 წლის 25 თებერვლის შეთანხმებაში ასახული თანხის ოდენობა ავტომატურად ვერ იქნებოდა გაზიარებული ჩვეულებრივი გასამრჯელოს ოდენობის დასადგენად. სააპელაციო პალატის განმარტებით, აღნიშნული თანხის – 1 500 000 აშშ დოლარის მოთხოვნა მხოლოდ იმიტომაც იყო დაუსაბუთებელი, რომ მისი ოდენობა აღემატებოდა მოსარჩელის მიერ დაფიქსირებულ გასამრჯელოს – 1 250 000 აშშ დოლარს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ალოგიკურია, დავალების შესრულებაში დამხმარედ ჩართულ პირს ეკუთვნოდეს იმაზე უფრო დიდი გასამრჯელო მარნმუნებლისაგან, ვიდრე – თავად რწმუნებულს.

18. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კანონის ანალოგიის ძალით, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნო-

ბით, მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ჩვეულებრივ გასამრჯელოდ უნდა განსაზღვრულიყო თანხა, რომელიც არ აღემატებოდა შპს „ლ-ის“ მიერ მიღებული საბანკო კრედიტის (12 500 000 აშშ დოლარი) 4%-ს (რაც შეადგენს 500 000 აშშ დოლარს), რადგან სწორედ ამ ოდენობით ჰონორარს (გასამრჯელოს) მიიჩნევდა კანონმდებელი გონივრულად წარმომადგენლის (რწმუნებულის) მიერ განეული მომსახურებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ლ-ს“ ეს თანხა დროებით (კრედიტის მოქმედების ვადით) მიეკუთვნა და, ასევე, ვერ მტკიცდებოდა, რომ კრედიტის გაცემა მხოლოდ მოსარჩელის დამსახურება იყო, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ რწმუნებულისათვის მისაკუთვნებელი გასამრჯელო, სამართლიანი ანაზღაურების პრინციპით, შეადგენდა სწორედ 300 000 აშშ დოლარს.

19. მეორე მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან რწმუნებულს დავაღალა დავალების პირადად შესრულება, მას არ ჰქონდა უფლება – დავალება გადაენდო მესამე პირისათვის. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელეს შეეძლო დავალების შესრულებაში ჩაერთო დამხმარე პირი, თუმცა ამ უკანასკნელს რაიმე გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება გაუჩნდებოდა არა მარწმუნებლის, არამედ – რწმუნებულის მიმართ. გარდა იმისა, რომ მეორე მოსარჩელეს შპს „ლ-ტის“ სასარგებლოდ საბანკო კრედიტის გასაცემად არავითარი მოქმედებები შეუსრულებია, მას საერთოდ ვერც წარმოემოზოდა რაიმე მოთხოვნა მოპასუხის მიმართ.

20. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**21. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:**

21.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკითხული მოწმეების ჩვენებები. მოწმედ დაკითხულმა „ი-ის“ ბათუმის ფილიალის ერთ-ერთმა დირექტორმა, ი. გ-მ სასამართლოს განუმარტა, რომ მოსარჩელე ერთხელ ნახა ბანკში მოპასუხესთან ერთად. შემდგომში მოსარჩელე მას ტელეფონით უკავშირდებოდა კრედიტის გაცემის თაობაზე, თუმცა მას მოსარჩელისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია საკითხის კონფიდენციალურობის გამო. მოწმის განმარტებით, გადმოცემით იცის, რომ მო-

სარჩელე უნდა დანიშნულიყო შპს „ლ-ის“ მთავარ ექიმად. მისივე ჩვენებით, კრედიტი დამტკიცდა სათავო ოფისში, სტამბულში. „ი-ის“ ბათუმის ფილიალიდან შპს „ლ-ზე“ კრედიტის სახით გაცა 6 250 000 აშშ დოლარი, ხოლო 6 250 000 აშშ დოლარი გაცა მოსკოვის ფილიალიდან მათ გარეშე. მონმის განმარტებით, კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით ბანკი მოსარჩელესთან მოლაპარაკებას არ ანარმოებდა;

21.2. მონმედ დაკითხული ი. გ-ის ჩვენებით, მას, როგორც საკრედიტო ოფიცერს, ხშირი ურთიერთობა ჰქონდა კლინიკა „ლ-ის“ დირექტორთან, მ. გ-თან და კრედიტთან დაკავშირებულ საკითხებს ათანხმებდა მასთან და მოპასუხესთან. მონმის განმარტებით, მისთვის უცნობია, თუ რა სახის მონაწილეობა აქვს მიღებული მოსარჩელეს კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით;

21.3. დავალების შესრულების შემთხვევაშიც კი მოპასუხეს არ წარმოემობოდა გასამრჯელოს გადახდის ვალდებულება, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის საფუძველზე, ამის თაობაზე სპეციალურად უნდა იყოს მითითებული ხელშეკრულებაში, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა. კასატორის განმარტებით, ხელშეკრულებაში ასეთი ჩანაწერი არ არსებობს, ვინაიდან, მოსარჩელე დავალების შესრულების შემთხვევაში უნდა დანიშნულიყო მთავარ ექიმად. მან ვერც დავალება შეასრულა და, შესაბამისად, არც მთავარ ექიმად იქნა დანიშნული;

21.4. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ შპს „ლ-მა“ „ი-ის“ ბათუმის ფილიალიდან კრედიტის სახით მიიღო 6 250 000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი – 6 250 000 აშშ დოლარი მიიღო მოსკოვის ფილიალიდან, ამ უკანასკნელთან კი მოლაპარაკებებს ანარმოებდა საზოგადოების დირექტორი. 6 250 000-ის აშშ დოლარის 4% შეადგენს არა 500 000 აშშ დოლარს, არამედ – 250 000 აშშ დოლარს. ამდენად, 300 000 აშშ დოლარის დაკისრება სამართლიან ანაზღაურებად ვერ იქნება მიჩნეული. მით უფრო, რომ, როგორც სააპელაციო სასამართლომ თავად აღნიშნა, ვერ მტკიცდება, რომ კრედიტის გაცემა მხოლოდ მოსარჩელის დამსახურებაა.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 აპრილის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალა-

ქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

24. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მოსარჩელის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 მარტის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

26. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

27. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს დავალების ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელოს მიღება, დამტკიცებული კრედიტის 10%-ის ოდენობით.

28. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელისთვის სა-

სურველი სამართლებრივი შედეგის დადგომის მიზნით პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: ა) არსებობდა თუ არა მხარეთა შორის დავალების ხელშეკრულება; ბ) გათვალისწინებული იყო თუ არა გასამრჯელო დავალების შესრულებისათვის; გ) რწმუნებულმა შეასრულა თუ არა დავალებით გათვალისწინებული მოქმედება.

29. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და კასატორიც არ ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის არსებობდა დავალების ხელშეკრულება.

30. მეორე საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დავალების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად (მუხლი 709-ე-723-ე), დავალების ხელშეკრულებისათვის არ არის სავალდებულო წერილობითი ფორმა. შესაბამისად, იგი შესაძლებელია იყოს ზეპირიც. ამასთან, დავალების ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ან არ ითვალისწინებდეს დავალების შესრულებისათვის გასამრჯელოს. ზეპირი ხელშეკრულების არსებობისას, როდესაც ხელშეკრულების ერთი მხარე უთითებს, რომ დავალების შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო გასამრჯელო, ხოლო მეორე მხარე უარყოფს აღნიშნულ ფაქტს, სასამართლომ ერთობლიობაში უნდა შეაფასოს ის მტკიცებულებები, რომლებიც ხელშეკრულებაში გასამრჯელოზე შეთანხმებას ადასტურებს.

31. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ხელშეკრულებაში გასამრჯელოზე შეთანხმების არარსებობის ფაქტი, თუმცა არასწორად მიიჩნია, რომ მიუხედავად შეთანხმების არარსებობისა, მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი იყო მოსალოდნელი.

32. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მინდობილობაში არ დაფიქსირებულა გასამრჯელოს ოდენობა.

33. აღნიშნული მინდობილობა დათქმას გასამრჯელოს შესახებ არ შეიცავს. თუმცა ასეთი დათქმის არარსებობა არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ მინდობილობით გათვალისწინებული დავალების შესრულებისათვის მხარეთა შეთანხმებით გასამრჯელო გათვალისწინებული არ ყოფილა.

34. მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უფლებამოსილებით გამოხატულია უფლებამოსილების მიმცემის ნება, რაც ერთ პირს მეორის წინაშე აძლევს წარმომადგენლობით ძალაუფლებას. უფლებამოსილებით მყარდება უფლებამოსილების ურთიერთობა. ეს არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებას, წარმოადგინოს მარწმუნებელი. მინდობილობა მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად



წარმოდგენილსა და მესამე პირს შორის, ანუ მინდობილობის ადრესატია მესამე პირი და ემსახურება მის წინაშე წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურებას (იხ. სუსგ №ას-39-489-06, 2006 წლის 8 სექტემბერი). დავალების ხელშეკრულება კი ითვალისწინებს მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის ორმხრივი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას.

35. შესაბამისად, შესრულებული მოქმედებებისათვის გასამრჯელოს დაწესება დავალების ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობაა, რომელიც მინდობილობაში შესაძლებელია საერთოდ არ იყოს ასახული. მინდობილობაში არც არის აუცილებელი, რომ მოცემული იყოს დავალების ხელშეკრულების ყველა პირობა. მთავარია, აღნიშნული პირობები, განსაკუთრებით კი, გასამრჯელოზე შეთანხმება, სხვა მტკიცებულებებით დასტურდებოდეს.

36. მოცემულ საქმეში მოსარჩელემ ვერ შეძლო აღნიშნული გარემოების დადასტურება სხვა მტკიცებულებებით. თუმცა, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ ასეთ ვითარებაში არასწორად ჩათვალია გასამრჯელო უსიტყვოდ შეთანხმებულად. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ დავალების შესრულება საერთოდ გასამრჯელოს გარეშე იყო მოსალოდნელი, რადგან კასატორის მითითება, რომ მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება დავალების შესრულების შემთხვევაში მოპასუხის მთავარ ექიმად დანიშვნის თაობაზე, არ დასტურებს გასამრჯელოზე შეთანხმების არარსებობას. პირიქით, იგი საფუძველს ქმნის ვარაუდისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, გარემოებათა მიხედვით, მოქმედების შესრულება სწორედ გასამრჯელოთი იყო მოსალოდნელი.

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასამრჯელოზე შეთანხმებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა საქმის გარემოებები და მართებულად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების ნორმები.

38. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ გასამრჯელოს ოდენობის არასწორად გამოთვლის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ საკითხის შემომხამდე, მნიშვნელოვანია, შემომხმდეს კასატორის პრეტენზია მოსარჩელის მიერ დავალების შესრულების ფაქტის არასწორ დადგენასთან დაკავშირებით. კერძოდ, კასატორი მიუთითებს, რომ მოსარჩელეს არ შეუსრულებია რაიმე მოქმედება საავადმყოფოსათვის კრედიტის გამოყოფასთან დაკავშირებით და აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარ-

ჩელის შუამდგომლობის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები.

39. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე ზემოაღნიშნული საფუძვლით ასაჩივრებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებასაც, თუმცა სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების შეფასების საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ შეასრულა დავალებით გათვალისწინებული მოქმედებები, კერძოდ: ა) დავალების შესრულებაში ჩააბა მეორე მოსარჩელე, რაც კრედიტის მიღებაზე ზრუნვის დადასტურებაა; ბ) რამდენჯერმე შეხვდა სს „თის“ ბათუმის ფილიალის გენერალურ დირექტორს ბ. ს-ს, ასევე – მრავალჯერ ჰქონდა მასთან სატელეფონო კომუნიკაცია (ტელეფონის ნომერზე ...), რაც დადასტურდა მოწმეების: ი. გ-ის (ბანკის ერთ-ერთი დირექტორი) და ი. გ-ის (ბანკის საკრედიტო ოფიცერი) ჩვენებებით, ასევე – სატელეფონო ზარების ამონაწერითა და ელექტრონული მიმოწერით.

40. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო პალატის ძირითადი მსჯელობა მიმართულია გასამრჯელოს ოდენობის გაანგარიშების მართებულობაზე და არ არის გამოკვლული მოპასუხის მიერ სადავოდ გამხდარი და სასამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი – დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულების ფაქტი.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, მოწმის ჩვენება დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულების ფაქტის დასადასტურებლად დასაშვებ მტკიცებულებას წარმოადგენს, თუმცა, ამასთან, სასამართლომ მტკიცებულებების შეფასებისას უნდა დაიცვას ამავე კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესი, რომელიც გულისხმობს მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

42. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. სასამართლოს, როგორც ნეიტრალური არბიტრის როლი მტკიცების პროცესში შემოიფარგლება მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრით, მხარეთა შეჯიბრებითობის ხელმძღვანელობით, წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობა-განკუთვნადობის შემოწმებითა და შეკრებილ მტკიცებულებათა სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შესწავლა-ანალიზით, სწორედ მათ საფუძველზე ყალიბდება მოსამართლის შინაგანი რწმენა და იგი საფუძვლად დაედება მიღებულ გადაწყვეტილებას (იხ. სუსგ №ას-839-805-2016, 2017 წლის 6 მარტი).

43. საკასაციო სასამართლო მოწმეთა ჩვენებების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია მოპასუხის მიერ სადავოდ გამხდარი მოწმეთა ჩვენებები, რის შედეგადაც არასწორად მიიჩნია დადგენილად დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულების ფაქტი.

44. მოწმე ი. გ-ი – „ი-ის“ ბათუმის ფილიალის დირექტორის მოადგილე მიუთითებს, რომ მოსარჩელეს იცნობს ტელეფონით, გადმოცემით იცის, რომ მოპასუხის საავადმყოფოში უნდა ყოფილიყო მთავარი ექიმი, მოსარჩელეს პირადად არ იცნობს. მოწმემ დაადასტურა, რომ იცნობს მოპასუხეს და აღნიშნა, რომ მას სურდა კრედიტის აღება, რასთან დაკავშირებითაც ჰქონდათ საუბარი. რაც შეეხება მოსარჩელესთან სატელეფონო საუბრების შინაარსს, მოწმემ მიუთითა, რომ მოსარჩელე ტელეფონით ეკითხებოდა ხოლმე კრედიტის თაობაზე, თუმცა მას ტელეფონით არ მიუწოდებია ინფორმაცია, რადგან საკითხი იყო კონფიდენციალური. რაც შეეხება იმ საკითხს, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს ბანკთან მოლაპარაკებები, აღნიშნული საკითხი მისთვის უცნობია. მოწმე ი. გ-მ დაადასტურა, რომ პირველად რომ მოვიდნენ მოსარჩელე და მოპასუხე ბანკში, ასეთი შეხვედრა შედგა. მან ასევე მიუთითა, რომ მათ ობიექტზე გასცეს სესხი და მოსარჩელის გარეშეც გაიცემოდა იგი, ხოლო მისთვის უცნობია, თანხმდებოდა თუ არა მოსარჩელესთან პირობები (იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 თებერვლის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმი CD დისკი: 16:33:40-17:01:56).

45. მოწმე ი. გ-მ – „ი-ის“ საკრედიტო ოფიცერმა სასამართლოს მისცა ჩვენება, რომლის თანახმად, იგი მოპასუხეს იცნობს, მას პირადად შეხება ჰქონდა მ. გ-თან (დირექტორთან); ჰქონდათ ხშირი ურთიერთობა, შეხვედრები; ელექტრონულ წერილებსაც წერდნენ; პირობებს ათანხმებდა მოპასუხესთან და მ-თან. მოსარჩელე ერთხელ იყო ბანკში, მოპასუხეს ახლდა ჭალარა კაცი და, მისი ვარაუდით, ალბათ ის იყო მოსარჩელე. მოსარჩელესთან მას არანაირი შეხება არ ჰქონია, არც სესხის თანხაზე და არც ვადაზე (იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 თებერვლის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმი CD დისკი: 17:02:33-17:10:28).

46. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისხმობს მისი შინაარსის სრულ-

ყოფილ შესწავლა-ანალიზს (იხ. სუსგ №ას-151-147-2016, 2016 წლის 19 აპრილი). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ დავალების ხელშეკრულების შესრულების ფაქტი, კრედიტის ასაღებად მოსარჩელის მიერ განხორციელებული აქტიური მოქმედებები, პირიქით, მოცემული მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ ბანკის წარმომადგენლები კრედიტის გაცემის პროცესში თანამშრომლობდნენ უშუალოდ მოპასუხესთან და დირექტორთან.

47. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე საქმეში არსებულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ხელმოწერილია ერთ შემთხვევაში მოპასუხის, ხოლო მეორე შემთხვევაში – დირექტორის მიერ, რაც მოწმეთა ჩვენებებს აძლევს მეტ სარწმუნოებასა და დამაჯერებლობას. კერძოდ, საქმეში განთავსებულია სს „თ-ის“ დირექტორს – ბ. ს-სა და შპს „ლ-ს“ დირექტორს – მ. გ-ს შორის 2013 წლის 23 აგვისტოს დადებული სესხის ჩარჩო ხელშეკრულება №5, რომელსაც ხელს აწერს უშუალოდ დირექტორი და, რომლის თანახმად, ბანკი მსესხებელზე გასცემს საბანკო პროდუქტებს საკრედიტო ლიმიტის 12 500 000 აშშ დოლარის ფარგლებში. ასევე საქმის მასალებში წარმოდგენილია სს „თ-ის“ დირექტორს – ბ. ს-სა და მოპასუხეს შორის 2013 წლის 23 აგვისტოს დადებული გირავნობის ხელშეკრულება №5/6, რომელიც ხელმოწერილია უშუალოდ მოპასუხის მიერ და, რომლითაც ბანკის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაიტივრთა 50%-იანი წილი შპს „ლ-ში“. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე 2014 წლის 24 მარტს სს „თ-ის“ დირექტორს – ბ. ს-სა და შპს „ლ-ის“ დირექტორს – მ. გ-ს შორის დადებულ სესხის შემადგენელ ხელშეკრულებაზე №5/1, რომელიც ხელმოწერილია თავად დირექტორის მიერ და, რომლის თანახმად, ბანკმა მსესხებელზე გასცა სესხი, 6 250 000 აშშ დოლარის ოდენობით, მსესხებლის მიერ თბილისში მშენებარე საავადმყოფოსათვის საჭირო სამედიცინო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების შეძენისა და მშენებარე საავადმყოფოს ექსპლუატაციაში გაშვების მიზნით.

48. რაც შეეხება სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დავალების ხელშეკრულების შესრულების ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე სატელეფონო ზარების ამონაწერსა და ელექტრონულ მიმოწერაზე მითითებას, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არც აღნიშნული უნდა იქნეს გაზიარებული.

49. საკასაციო სასამართლო სატელეფონო ზარების ამონაწერის შესწავლის შედეგად აღნიშნავს, რომ მოცემული მტკიცებულება მიუთითებს მოსარჩელის სატელეფონო კომუნიკაციაზე სს „თ-ის“ დირექტორთან, თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ სასა-

მართლოსათვის სატელეფონო საუბრების შინაარსი უცნობია, აღნიშნულით ვერ დადასტურდება სადავო ფაქტობრივი გარემოება.

50. ელექტრონულ წერილებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მათი შინაარსის გაცნობის შედეგად, არ დგინდება მოსარჩელის მიერ დავალების შესრულების ფაქტი, ამასთან, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ ელექტრონული წერილები არ არის შეფასებული და საკასაციო სასამართლოსთვის უცნობია, თუ რა მოსაზრებით იქნა ისინი მიჩნეული სადავო ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებებად.

51. რაც შეეხება სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, რომ დავალების შესრულებაში მეორე მოსარჩელის ჩაბმა კრედიტის მიღებაზე ზრუნვის დადასტურებაა, საკასაციო სასამართლოს არ მიაჩნია ლოგიკურ და თანმიმდევრულ მსჯელობად.

52. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა მოსარჩელის მიერ დავალების შესრულების ფაქტი, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების არსებით წინაპირობას წარმოადგენდა.

53. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

54. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ფაქტის დადასტურება, რაც მან ვერ შეძლო სათანადო და სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენის გზით.

55. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპ-

როცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

56. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებების არასათანადო შეფასების შედეგად მივიდა საქმის არასწორ გადაწყვეტამდე, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

57. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

58. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მოსარჩელის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 მარტის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

59. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

60. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკის-

როს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 11000 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ფ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ო. ი-ს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 მარტის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ო. ი-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ფ. ჯ-ს (პ/ნ: ...) დაუბრუნდეს ვ. გ-ის (პ/ნ: ...) მიერ 2014 წლის 13 ივნისს №... საგადახდო დავალებით არასწორად გადახდილი 50 (ორმოცდაათი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
5. ო. ი-ს (პ/ნ: ...) ფ. ჯ-ს (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს ფ. ჯ-ის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. მიზარება

### მიზარების საზღაური

#### განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-965-930-2016

23 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „რ-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „მოსარჩელე კომპანია“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. გ-ის (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“), ო. ე-ის (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“), ზ. ო-ის (შემდგომში – „მესამე მოპასუხე“), ს. თ-ისა (შემდგომში – „მეოთხე მოპასუხე“) და ნ. ც-ის (შემდგომში – „მეხუთე მოპასუხე“) (შემდგომში – „მოპასუხეები“) მიმართ და მოითხოვა:

1.1. პირველი მოპასუხისთვის 5083 ლარისა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველდღიურად 2 ლარის გადახდის დაკისრება;

1.2. მეორე მოპასუხისთვის 6196 ლარისა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველდღიურად 7 ლარის გადახდის დაკისრება;

1.3. მესამე მოპასუხისთვის 5490 ლარისა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველდღიურად 2 ლარის გადახდის დაკისრება;

1.4. მეოთხე მოპასუხისთვის 3669 ლარისა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველდღიურად 7 ლარის გადახდის დაკისრება;

1.5. მეხუთე მოპასუხისთვის 3410 ლარისა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველდღიურად 7 ლარის გადახდის დაკისრება.

#### 2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მოსარჩელე კომპანია წარმოადგენს საბაჟო კონტროლის



ზონაში მომსახურე ორგანიზაციას, რომლის ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს არ გააჩნიათ საბაჟო დეკლარირების ვალდებულება;

2.2. საბაჟო კონტროლის ზონა არის ღია მოედანი, რომელიც მდებარეობს ავტომანქანების ბაზრობის ტერიტორიაზე და შემოსაზღვრულია სპეციალური ნიშნულებით, სადაც მითითებულია, რომ ეს ტერიტორია წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას. ავტომანქანების მფლობელებს განუბაჟებელი მანქანები შემოჰყავთ აღნიშნულ ტერიტორიაზე და იხდიან მანქანების ტერიტორიაზე დგომის საფასურს;

2.3. თითოეული ავტომანქანის მფლობელისათვის ცნობილია საბაჟო კონტროლის ზონაში დადგენილი წესების შესახებ, რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას და საზოგადოების ვებგვერდზე;

2.4. მოპასუხეებს არ აქვთ გადახდილი ავტომანქანების ტერიტორიაზე დგომის საფასური და მას ყოველდღიურად ემატება მომსახურებისათვის განეული გადასახდელი თანხა, რომელიც, საპარკინგე ადგილის მიხედვით, თითოეულ ავტომანქანაზე შეადგენს დღიურად 8, 7, 5 და 2 ლარს;

2.5. მოსარჩელემ მოპასუხეებს არაერთხელ მიმართა თხოვნით, დაეფარათ არსებული დავალიანება, თუმცა უშედეგოდ.

3. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

4. პირველი მოპასუხის განმარტებით, 2010 წლის 5 მაისს მან ავტომანქანა განსაბაჟებლად შეიყვანა საბაჟო კონტროლის ზონაში, ანგარიშსწორების საფასურის 1100 ლარის გადახდა ვერ შეძლო, რის გამოც მომსახურე პერსონალს განუცხადა ნივთის მიტოვების შესახებ. შესაბამისად, მას მოსარჩელის მიმართ ვალდებულება არ აკისრია.

5. მეორე მოპასუხემ განმარტა, რომ 2007 წლიდან დავა აქვს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან, რის გამოც 2010 წელს მის ანგარიშებზე დადებული იყო ინკასო. გამომდინარე აქედან, მან ვერ გადაიხადა მანქანის განსაბაჟებელი თანხა. მეორე მოპასუხის ანგარიშებს საინკასო დავალება მოეხსნა 2011 წლის 14 ნოემბერს, მაგრამ მან მოსარჩელის მიმართ დაგროვილი დავალიანება არ გადაიხადა, რადგან იგი გამოწვეული არ იყო მისი ბრალით.

6. მესამე მოპასუხის განმარტებით, 2010 წლის იანვრიდან საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის გამო ვერ უზრუნველყო ავტომანქანის ტერმინალის ტერიტორიიდან გაყვანა. მოპასუხის ოჯახის წევრები მის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე ცდილობდნენ მანქანის გაყვანას ტერმინალის ტერიტორიიდან, მაგრამ ვერ

იქნა მოძიებული ავტომანქანის ე.წ. „ბრიფი“. მოსარჩელემ აღნიშნული დოკუმენტის გარეშე მისცა მოპასუხეს შესაძლებლობა ავტომანქანა დაეყენებინა მის ტერიტორიაზე, მაგრამ გაყვანის დროს კატეგორიულად მოსთხოვა აღნიშნული დოკუმენტი. მესამე მოპასუხის მოსაზრებით, თუ არ შეიძლებოდა ავტომანქანის შეყვანა და გაყვანა ე.წ. „ბრიფის“ გარეშე, მოსარჩელეს მისთვის ავტომანქანის ტერმინალზე გაჩერების საშუალება არ უნდა მიეცა.

7. მეოთხე მოპასუხის განმარტებით, სადგომის საფასურის დავალიანების არსებობის დასადასტურებლად მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სარჩელთან ერთად წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებაში ავტოსატრანსპორტო საშუალების სადგომზე დგომის სტატუსად მითითებულია „უფასო“, რითიც დასტურდება, რომ მეოთხე მოპასუხეს ავტოსადგომზე ავტომანქანის დგომისათვის არ ჰქონდა თანხის გადახდის ვალდებულება.

8. მეხუთე მოპასუხემ განმარტა, რომ ის მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე უთითებს მოპასუხის დავალიანების არსებობის თაობაზე, არ გამოდგება უტყუარ მტკიცებულებად, რადგან მასში რამდენიმე შეუსაბამობაა. ამასთან, ეჭვს იწვევს დავალიანების ოდენობაც.

9. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება.

**12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

12.1. მოსარჩელე წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონაში, საბაჟო სანყოფიერებაში მომსახურე ორგანიზაციას, რომელიც მისი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებით შენახვას;

12.2. პირველი მოპასუხის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება LAND ROVER (VIN...) მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე განთავსდა 2010 წლის 5 მაისს, მას გამოეყო სტანდარტული სადგომი №... . მოსარჩელის განმარტებით, სადგომის საფასური განისაზღვრა დღეში 7 ლარით. ავტომანქანა სადგომზე დგას 876

დღე და დავალიანება შეადგენს 4469 ლარს;

12.3. მეორე მოპასუხის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება VOLKSVAGEN (ტრანზიტული ნომერი ...) მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე განთავსდა 2011 წლის 24 მაისს, მას გამოეყო სტანდარტული სადგომი №... . მოსარჩელის განმარტებით, სადგომის საფასური განისაზღვრა დღეში 7 ლარით. ავტომანქანა სადგომზე დგას 1148 დღე და დავალიანება შეადგენს 5125 ლარს;

12.4. მესამე მოპასუხის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება DAIMLER CHRYSLER (მერსედესი, ტრანზიტული ნომერი ...; სატრანსპორტო საშუალების ტიპი მსუბუქი) მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე განთავსდა 2010 წლის 6 იანვარს, მას გამოეყო სადგომი №... . მოსარჩელის განმარტებით, სადგომის საფასური განისაზღვრა დღეში 2 ლარით. ავტომანქანა სადგომზე დგას 1189 დღე და დავალიანება შეადგენს 4876 ლარს;

12.5. მეოთხე მოპასუხის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება VOLKSVAGEN (№..., სატრანზიტო ნომერი ...) მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე განთავსდა 2012 წლის 19 მაისს, მას გამოეყო სტანდარტული სადგომი №... . მოსარჩელის განმარტებით, სადგომის საფასური განისაზღვრა დღეში 7 ლარით. ავტომანქანა სადგომზე დგას 726 დღე და დავალიანება შეადგენს 2598 ლარს;

12.6. მეხუთე მოპასუხის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება RENAULT (№..., ტრანზიტული ნომერი ...) მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე განთავსდა 2012 წლის 14 იანვარს, მას გამოეყო სტანდარტული სადგომი №... . მოსარჩელის განმარტებით, სადგომის საფასური განისაზღვრა დღეში 5 ლარით. ავტომანქანა სადგომზე დგას 913 დღე და დავალიანება შეადგენს 4469 ლარს;

12.7. ზემოაღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ამჟამად მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე დგას. გამოჩვენებისა მეოთხე მოპასუხის კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც შსს საგამოძიებო ორგანოების მიერ 2013 წლის 9 ივლისს იქნა ამოღებული და დალუქული, ხოლო მოგვიანებით კი სხვა – სპეციალურ სადგომზე იქნა გადაყვანილი.

13. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეები უარყოფდნენ სადგომის საფასურის გადახდის შესახებ მხარეთა შორის შეთანხმების ფაქტს. ისინი განმარტავდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ მიღებული ინფორმაცია პარკირებისათვის არსებული ტარიფის შესახებ.

14. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების ფაქტი საქმეზე

წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდებოდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო.

15. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 319-ე და 327-ე მუხლებზე და განმარტა, რომ ხელშეკრულების დადების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს მხარეთა ნება, კერძოდ, მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას ხელშეკრულების დადების თაობაზე და თავად განსაზღვრავენ მის პირობებს. ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალს კანონი არ განსაზღვრავს, ამ პირობებს თვითონ მხარეები განსაზღვრავენ და ასეთად ხელშეკრულების მხოლოდ ის პირობები ჩაითვლება, რომლებზედაც მხარეები უნდა შეთანხმდნენ. ხელშეკრულების არსებით პირობებს მიეკუთვნება ხელშეკრულების საგანი, მხარეთა მიერ განსახორციელებელი შესრულება, ფასი და ა.შ.

16. სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 763-ე და 764-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ კანონმდებელი უშვებს მიზარების სასყიდლიანი ფორმის არსებობასაც. ამასთან, თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება. თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო ტარიფების არარსებობისას ჩვეულებრივი საზღაური.

17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადებაზე მიუთითებდა და განმარტავდა, რომ: მეხუთე მოპასუხის ავტომანქანა მხარეთა ზეპირი შეთანხმებით განთავსდა სადგომზე, რომლის ტარიფი დღეში 5 ლარს შეადგენდა; მესამე მოპასუხის ავტომანქანა, ასევე, მხარეთა შეთანხმებით განთავსდა, რომლის დღიური გადასახადი 2 ლარი იყო; პირველი, მეორე და მეოთხე მოპასუხეების ავტომანქანებისათვის სადგომის ღირებულება შეადგენდა 7 ლარს, თუმცა, მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს ვერ წარუდგინა სარჩელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ავტომანქანების მფლობელებისათვის ცნობილი იყო მოსარჩელის ტერიტორიაზე მანქანის განთავსებისათვის დადგენილი ტარიფების (დღეში 2, 5, 7, 8 და 9 ლარი) შესახებ და, რომ ისინი დაეთანხმნენ ამ ტარიფებს. მოსარჩელეს, ასევე, არ ჰქონდა წარდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ საბაჟო კონტროლის ზონაში დად-

გენილი წესები განთავსებული იყო თვალსაჩინო ადგილას, ასევე, საზოგადოების ვებ-გვერდზე და, შესაბამისად, ისინი ხელმისაწვდომი იყო მოპასუხეებისათვის.

18. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს კვლევის საგანი იყო სარჩელში მითითებული ფულადი ვალდებულების არსებობა-არარსებობის დადგენა. ამ ამოცანის შესრულება კი შეუძლებელი იყო, თუ მოსარჩელე სასამართლოს ვერ წარუდგენდა მტკიცებულებას მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ. მხოლოდ მოსარჩელე მხარის ზეპირი ახსნა-განმარტება, რომელიც შედავებული იყო მოპასუხეების მიერ, სხვა მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, სადავო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ გამოდგებოდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზება ვერ განახორციელა და მოპასუხის პოზიცია, რომ მხარეთა შორის არ ყოფილა შეთანხმება ავტომანქანის სადგომის საფასურთან დაკავშირებით, ვერ გააბათილა და ვერ დაუპირისპირა ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ხელშეკრულების არსებით პირობებზე (სადგომის ტარიფზე) შეთანხმების ფაქტს.

19. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხეთა მიმართ სარჩელის დაკმაყოფილება.

## **20. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:**

20.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რის შედეგადაც, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მიბარება უსასყიდლო იყო. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის მიხედვით, თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში (რაც უდავოდ დადგენილი ფაქტია სასამართლოსათვის), მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება. თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ურთიერთობა იყო მიბარების ხელშეკრულება და, თუ უდავოდ დადგენილი ფაქტია, რომ ავტომობილი იდგა მოსარჩელის ტერიტორიაზე, საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად უნდა ჩაეთვალოს;

20.2. ის ფაქტი, მოპასუხეებმა იცოდნენ თუ არა სასყიდლიანი მიბარების შესახებ, არის მათი მტკიცებების ტვირთი და მათ უნდა წარმოედგინათ შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც არ მო-

იპოვება საქმეში. სახეზეა ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომ არსებითი პირობები შეთანხმდა ზეპირი ფორმით და მხარეებს შორის გაფორმდა სასყიდლიანი მიბარების ხელშეკრულება, ხოლო სააპელაციო სასამართლომ იმის მტკიცების ტვირთი, სასყიდლიანი მიბარების ხელშეკრულება გაფორმდა თუ უსასყიდლო, დააკისრა მოსარჩელეს, რის შედეგად დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესაძომწმებლად.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

23. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონგმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

24. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონგმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმგვარებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

25. კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მხარეთა შორის არსებუ-

ლი მიბარების ურთიერთობა უსასყიდლო იყო. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა ემყარება კანონის არასწორ განმარტებას.

26. საკასაციო პალატა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის პრეტენზია საფუძვლიანია.

27. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და მხარეთა შორის არ არის სადავო, რომ მოპასუხეებმა თავიანთი ავტომანქანები სხვადასხვა დროს განათავსეს მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე (იხ. წინამდებარე განჩინების 12.2.-12.6. ქვეპუნქტები). შესაბამისად, მხარეთა შორის წარმოშობილია მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა.

28. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მიბარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მოცემული ნორმა ზოგადი ხასიათისაა და მიბარებას, როგორც წესი, განიხილავს უსასყიდლო ხელშეკრულებად. თუმცა, ზემოაღნიშნული წესიდან არსებობს ამავე ნაწილის მეორე წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისი, რომლის თანახმად, თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება. სხვაგვარად რომ ითქვას, კანონმდებელი მოცემულ შემთხვევაში უშვებს სასყიდლიანი მიბარების პრეზუმფციას, რომლის თანახმად, თუ შემნახველის მიერ ნივთის შენახვა მის კომერციულ საქმიანობას წარმოადგენს, მაშინ მიბარება ანაზღაურებადია და არ არის აუცილებელი ამის თაობაზე მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების არსებობა.

29. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელე წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონაში, საბაჟო საწყობში მომსახურე ორგანიზაციას, რომელიც მისი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დროებით შენახვას.

30. შესაბამისად, უდავოა, რომ მოსარჩელე კომპანია (შემნახველი) ახორციელებს შენახვას სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, რაც წარმოშობს პრეზუმფციას, რომ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ითვლება.

31. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეებმა (მიმბარებლებმა) თავიანთი ავტომანქანების მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე განთავსებით ანუ კონკლუდენტური მოქმედებებით დააღეს ზეპირი სას-

ყიღლიანი მიბარების ხელშეკრულებები.

32. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითება მხარეთა შორის კონკრეტულ ტარიფებზე (დღეში 2, 5, 7, 8 და 9 ლარი) შეთანხმების არარსებობის თაობაზე (იხ. წინამდებარე განჩინების მე-17 პუნქტი) არ გამოორიცხავს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მიბარების სასყიდლიან ხასიათს. სხვა საკითხია, რა ოდენობის იყო აღნიშნული საზღაური. გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მიმართულია სწორედ იქითკენ, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა მის ტერიტორიაზე მანქანების განთავსებისათვის დადგენილი ტარიფების (დღეში 2, 5, 7, 8 და 9 ლარი) თაობაზე მოპასუხეების ინფორმირებულობის ფაქტი.

33. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის არასწორი განაწილების თაობაზე და აღნიშნავს, რომ მანქანების განთავსებისათვის დადგენილი ტარიფების (დღეში 2, 5, 7, 8 და 9 ლარი) შესახებ მოპასუხეების ინფორმირებულობის ფაქტი შედის სწორედ მოსარჩელის მტკიცების საგანში. მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა – მას, ვინც უარყოფს. განსახილველ შემთხვევაში სწორედ კასატორს ეკისრება კონკრეტული ტარიფების თვალსაჩინო ადგილას განთავსებისა და მოპასუხეებისათვის ხელმისაწვდომობის მტკიცების მოვალეობა, რაც მან ვერ განახორციელა. მოსარჩელის მხოლოდ ზეპირი მითითება, რომ კონკრეტული სადგომისთვის გათვალისწინებული იყო შესაბამისი ტარიფი, არ არის საკმარისი მხარეთა შორის მოცემულ ტარიფებზე შეთანხმების ფაქტის დასადასტურებლად. ამ მხრივ, კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო შედავება. შესაბამისად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ არ დასტურდება მხარეთა შორის ავტომანქანის სადგომის საფასურზე (ტარიფზე) შეთანხმების ფაქტი.

34. რაც შეეხება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის არარსებობა წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს, დაუსაბუთებელია და ემყარება კანონის არასწორ განმარტებას.

35. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო ტარიფების არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური. ვინაი-



დან განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება მხარეთა შორის კონკრეტულ სატარიფო განაკვეთებზე შეთანხმების ფაქტი, აღნიშნული განხილული უნდა იქნეს ისეთ შემთხვევადად, როდესაც ტარიფები არ არის განსაზღვრული, რა დროსაც წარმოიშობა ჩვეულებრივი საზღაურის დადგენის ვალდებულება, რაც მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ არ განახორციელა. შესაბამისად, უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა სარჩელი.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

37. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტით აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს ქვემდგომ სასამართლოში, რომელმაც წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება – შენახვისთვის გათვალისწინებული ჩვეულებრივი საზღაურის ოდენობა და გადაწყვეტოს სარჩელის ბედი.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## **დაადგინა:**

1. შპს „რ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. საბანკო მომსახურება

### ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამონერა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-305-290-2016

31 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ც. ს-სა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მსესხებელი, პირველი მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) და სს „ს. ბ-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ბანკი, მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) შორის 2006 წლის 11 დეკემბერს გაფორმდა საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება (№...), რომლითაც ბანკმა მოსარჩელეს მიკროკრედიტის ხაზი გაუხსნა. ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხემ და დ. ს-მა (მესაკუთრე, მეორე მოსარჩელე) იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმეს, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული გარდაბნის რაიონის, სოფელ .... მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი ...).

2. საბანკო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, პირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო მიკროკრედიტის ხელშეკრულებები: 2007 წლის 20 სექტემბრის (№507048-...) ხელშეკრულება – 18 თვის ვადით, 2008 წლის 31 იანვრის (№507048-...) ხელშეკრულება – 12 თვის ვადით და 2008 წლის 13 მაისის (№507048-...) ხელშეკრულება – 18 თვის ვადით.

3. 2012 წლის 21 ნოემბერს, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საფასური – 8000 აშშ დოლარი მყიდველმა პირველი მოსარჩელის ანგარიშზე ჩარიცხა, რაც მოპასუხემ იმავე დღეს ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამონერა და მსესხებლის ვალის დასაფარად მიმართა.

5. 2014 წლის 4 მარტს მოსარჩელეებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს 8000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთ-

ხოვნით.

მათი მტკიცებით, მოპასუხემ ანგარიშზე ჩარიცხული თანხა თვითნებურად, მოსარჩელესთან შეთანხმებისა და მითითების გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ, ვალის დასაფარად განკარგა, რომელიც იმ დროისათვის უკვე ხანდაზმული იყო. ამით ბანკი უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

6. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული. იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება გაიყიდა და ანგარიშზე ჩარიცხული თანხა – ნასყიდობის საფასური მიემართა მოსარჩელის ვალის დასაფარავად. შეთანხმების შესაბამისად, ბანკმა ვალის გასტუმრების შემდეგ იპოთეკით დატვირთული ქონება გაათავისუფლა. მოთხოვნა ხანდაზმულიც რომ ყოფილიყო, მოსარჩელემ ვალდებულება შეასრულა, რის გამოც მას არა აქვს გადახდილის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ-ის) 144.2 მუხლიდან გამომდინარე.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს 8 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

**8. პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 128-ე, 129-ე, 130-ე, 144-ე, 145-ე, 316-ე, 317-ე, 477-ე, 976-ე, 979-ე, 991-ე მუხლები და დაასკვნა, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრას იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა.**

8.1. სასამართლომ მითითებით, მოპასუხეს ეკისრებოდა იმ ფაქტის დადასტურების ტვირთი, რომ მას სრული უფლება ჰქონდა გაყიდული უძრავი ქონების შედეგად პირველი მოსარჩელის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა, ვალის დასაფარავად მიემართა. მოპასუხემ ვერ შეძლო მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება და ვერ წარმოადგინა სარჩელზე უარის თქმის საფუძვლად მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მან ვერც ანგარიშის მფლობელის მხრიდან ანგარიშიდან თანხის ჩამოწმის თანხმობის ან მითითების მიცემის ფაქტი დაადასტურა. სასამართლომ დაასკვნა, რომ უძრავი ქონების გასხვისების შედეგად მსესხებლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა მიემართა ვალის დასაფარავად, მისი თანხმობისა და მითითების გარეშე.

8.2. სასამართლომ დაასკვნა, რომ ბანკის მოთხოვნა სესხის დაბრუნების თაობაზე ხანდაზმული იყო. 2007 წლის 20 სექტემბრის მიკროკრედიტის ხელშეკრულება გაფორმდა 18 თვის ვადით, მისი

დანართიდან დგინდება, რომ, გრაფიკის თანახმად, უკანასკნელად თანხა უნდა გადახდილიყო 2009 წლის 30 იანვარს. 2008 წლის 13 მაისის მიკროკრედიტის ხელშეკრულება გაფორმდა 18 თვის ვადით, მისი დანართიდან დგინდება, რომ სესხი, გრაფიკის თანახმად, 2009 წლის 13 ნოემბერს უნდა გადახდილიყო. 2008 წლის 31 იანვრის მიკროკრედიტის ხელშეკრულება გაფორმდა 12 თვის ვადით, გრაფიკის თანახმად, გადახდა 2009 წლის 20 მარტს უნდა დასრულებულიყო. ეს მტკიცებულებები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ მოთხოვნა წარმოემუვა, სულ მცირე, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების უკანასკნელ ვადაში და, სამივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნა ხანდაზმული იყო მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ჩამოწერის დროისათვის.

8.3. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომელიც, სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილზე მითითებით, ამტკიცებდა, რომ, რადგან ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არ ჰქონდა შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება. სასამართლოს განმარტებით, ნორმა გულისხმობს ვალდებული პირის მხრიდან მოვალეობის ნებაყოფლობით შესრულებას. კონკრეტულ შემთხვევაში კი, ვალდებულების ანგარიშში თანხა ჩაირიცხა მისი თანხმობის გარეშე, ე.ი, ნების სანინაალმდეგოდ.

8.4. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხემ ანგარიშიდან ფულადი სახსრები ჩამოწერა მისი მფლობელის ნებართვის გარეშე, ამასთან, თანხა მიმართა იმ ვალდებულების შესრულების ანგარიშში, რომელთან დაკავშირებითაც მას მოთხოვნის უფლება აღარ ჰქონდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე და ის უფლებამოსილ პირს უნდა დაჰბრუნებოდა.

**9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:**

9.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ბანკმა ანგარიშზე დარიცხული თანხა მსესხებლის თანხმობისა და მითითების გარეშე მიმართა ამ უკანასკნელის ვალის დასაფარად. ასეთი თანხმობა მოვალეს, 2006 წლის 11 დეკემბრის საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 4.1.9 პუნქტის შესაბამისად, წინასწარ ჰქონდა გაცხადებული.

9.2. სასამართლომ ისე მიიჩნია იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულება ხანდაზმულად, რომ არ გაითვალისწინა იმავე სა-

კითხზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავა, რომელზედაც საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ იყო.

9.3. სასამართლომ მიუთითა, რომ 13.05.2008 წლის მიკროკრედიტის ხელშეკრულება 18 თვით გაფორმდა, მაშინ, როდესაც მისი დანართიდან დგინდება, რომ გრაფიკის შესაბამისად სესხი 2009 წლის 13 ნოემბერს უნდა გადახდილიყო, სარჩელი კი შეტანილია 2012 წლის 13 ივლისს. ამდენად, ბანკის მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო.

9.4. იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკის მოთხოვნა ხანდაზმული იქნებოდა, აპელანტის მოსაზრებით, ეს არ ართმევდა ბანკს უფლებას, მსესხებლისაგან თანხა მიეღო და ვალდებულების დასაფარავად მიემართა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

– გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

– მოპასუხეს 7591.08 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

10.1. სააპელაციო პალატამ მიუთითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესულ 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მსესხებელსა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრეს სოლიდარულად დაეკისრათ 1908.92 აშშ დოლარის გადახდა ბანკის სასარგებლოდ. ამ გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო პალატის მსჯელობისა და შეფასების საგანი იყო 2007 წლის 20 სექტემბრის, 2008 წლის 31 იანვრისა და 2008 წლის 13 მაისის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობის საკითხიც, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხსენებული მოთხოვნები არ იყო ხანდაზმული. ამდენად, ის რომ სადავო საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები ხანდაზმული არ იყო, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე, სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პრეიუდიციულად დადგენილ გარემოებად მიიჩნია.

10.2. პალატის მითითებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დგინდებოდა, რომ 2007 წლის 20 სექტემბრის, 2008 წლის 31 იანვრისა და 2008 წლის 13 მაისის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მსესხებლის დავალიანება ბანკის წინაშე, შესრულებული ვალდებულების გათვალისწინებით, 408.92 აშშ დოლარი იყო. ამდენად, პრეიუდიციულად დადგენილი გარემოება ის იყო, რომ

სადავო საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მსესხებლის დავალიანება 2011 წლის 21 ნოემბრის მონაცემებით, 408.92 აშშ დოლარს შეადგენდა (აქედან, სესხის თანხა – 108.92 აშშ დოლარი; პირგასამტეხლო – 300 აშშ დოლარი).

10.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ბანკს 2012 წლის 21 ნოემბერს მსესხებლის ანგარიშიდან, ამ უკანასკნელის ვალდებულების დასაფარავად, უაქცეპტოდ, მხოლოდ 408.92 აშშ დოლარის ჩამონერის საფუძველი ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დარჩენილი 7591.08 აშშ დოლარი (8000 აშშ \$-408.92 აშშ \$) ბანკმა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჩამონერა, რაც სსკ-ის 991-ე მუხლით წესრიგდებოდა და მიღებული თანხა დაბრუნებას ექვემდებარებოდა.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიაზე მითითებით:

სასამართლომ არასწორად განმარტა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომ მსესხებლის დავალიანება, იპოთეკური სესხიდან გამომდინარე, 408.92 აშშ დოლარი იყო. ეს თანხა დარჩენილი 8 000 აშშ დოლარის დაფარვის შემდეგ და არა დავალიანების დაფარვამდე. შესაბამისად, ბანკს სრული უფლება ჰქონდა, მსესხებლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხიდან იპოთეკური სესხი დაეფარა.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-

დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

14. პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან (წინამდებარე გადაწყვეტილების 1-5 პუნქტები) გამომდინარე, მოთხოვნის, მოპასუხისათვის 8 000 აშშ დოლარის დაკისრების, სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 861-ე მუხლი (საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა აწარმოოს მისი მფლობელის ნებართვის ან მითითების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში).

15. მოთხოვნა დაკმაყოფილებადი იქნებოდა, თუ მოსარჩელე დაამტკიცებდა:

ა) მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საბანკო მომსახურების (ანგარიშის გახსნის) შესახებ შეთანხმების არსებობასა და ბანკის მიერ მოსარჩელისათვის ანგარიშის გახსნას;

ბ) მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი ანგარიშიდან 8000 აშშ დოლარის მოსარჩელის თანხმობის გარეშე ჩამოწერას;

16. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ პირველი მოსარჩელისათვის ანგარიშის გახსნა სადავო არაა. ამასთან, დადგენილია, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საფასური – 8000 აშშ დოლარი მყიდველმა პირველი მოსარჩელის ანგარიშზე ჩარიცხა, რაც მოპასუხემ იმავე დღეს ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწერა და მსესხებლის ვალის დასაფარად მიმართა. მოსარჩელის მოსაზრებით, ბანკს ამის უფლება არ ჰქონდა, ვინაიდან თანხის ჩამოწერის მომენტში სესხის დაბრუნების მოთხოვნა ხანდაზმული იყო. ამდენად, მოსარჩელის თავდაპირველი განმარტებით, მართალია, მსესხებელს ბანკის წინაშე დავალიანება ეკისრა, თუმცა ეს მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რის გამოც ბანკს არ ჰქონდა უფლება, თანხა ანგარიშის მფლობელის თანხმობის გარეშე ჩამოეწერა.

17. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობდნენ, დადგინდა, რომ სადავო საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნა მსესხებლის მიმართ ხანდაზმული არ იყო, რის გამოც, სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მითითებული გარე-



მოება დამტკიცებულად მიიჩნევა. ამასთან, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ბანკის მოთხოვნა ხანდაზმულიც რომ ყოფილიყო, ბანკს მაინც ექნებოდა თანხის მსესხებლის ანგარიშიდან ჩამონერის უფლება შემდეგ გარემოებათა გამო: მსესხებელმა, თავისი ვალდებულების შესასრულებლად, თანხის უაქცეპტოდ ჩამონერაზე თანხმობა თავიდანვე ხელშეკრულებაში განაცხადა. 11.12.2006 წლის საბანკო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, „კლიენტი თანახმაა, ხოლო ბანკი უფლებამოსილია, ანგარიშსწორების ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოანეროს კლიენტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი (პირგასამტეხლო, პროცენტი, ძირითადი თანხა) დათქმული ვადის მომდევნო დღეს“. ამდენად, ხელშეკრულების მიხედვით, ბანკი უფლებამოსილი იყო, მსესხებლის ვალდებულების დასაფარად დამატებითი ნებართვის გარეშე ჩამოენერა თანხა ამ უკანასკნელის ანგარიშიდან. ცხადია, კლიენტის ეს თანხმობა გულისხმობს, მათ შორის, ხანდაზმული მოთხოვნის შესასრულებლად საჭირო თანხის ჩამონერასაც. თუ მსესხებელს არ სურს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულება, იგი ბანკში გახსნილ ანგარიშზე თანხას არ შეიტანს, ხოლო, თუ შეიტანს, ივარაუდება, რომ ნებაყოფლობით ასრულებს იმ მომენტში ბანკის წინაშე არსებულ ყველა ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკის საგნის გაყიდვით მიღებული თანხის თავის საბანკო ანგარიშზე განთავსებით, მოსარჩელემ ნებაყოფლობით შეასრულა ბანკის წინაშე არსებული ვალდებულება. ეს მოთხოვნა ხანდაზმულიც რომ იყოს, მოსარჩელე შესრულებულს უკან ვედარ დაიბრუნებს, ვინაიდან საკითხის ასეთი მოწესრიგებაა მოცემული სსკ-ის 144.2 მუხლში (თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო).

18. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებაზე დაყრდნობით, მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას ბანკის წინაშე დავალიანება არ გააჩნდა, ამიტომ ბანკი არ იყო უფლებამოსილი, სადავო თანხა ანგარიშის მფლობელის თანხმობის გარეშე ჩამოენერა. საკასაციო პალატა მოსარჩელის ვერც ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, ზემოხსენებული გადანყვეტილების მიხედვით, სასამართლომ გაითვალისწინა მსესხებლის მიერ სადავო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესრულებული ვალდებულებები და სწორედ ამის გათვალისწინებით დაასკვნა, რომ მას მხოლოდ 108.92 აშშ დოლარიღა ჰქონდა გადასახდელი. გადანყვეტილების გამოტანის დროს, 2013 წლის 5 ნოემ-

ბერს, ბანკს უკვე ჩამონერილი ჰქონდა 8 000 აშშ დოლარი მსესხებლის დავალიანების დასაფარად, რაც, სხვა შესრულებებთან ერთად, სასამართლომ გამოაკლო მსესხებლის მთლიან ვალდებულებას (16 492.32 აშშ დოლარს) და დარჩენილი თანხა დააკისრა მოვალეს ბანკის სასარგებლოდ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიხედვით, „ბანკს უნდა აუნაზღაურდეს მსესხებლის მიერ 2007 წლის 20 სექტემბერს, 2008 წლის 31 იანვარსა და ამავე წლის 13 მაისს დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული დავალიანება, რაც, შესრულებული ვალდებულების მხედველობაში მიღებით (16 383.40 აშშ დოლარი), შეადგენს 108.92 აშშ დოლარს“. ამდენად, ამ გადაწყვეტილების თანახმად, სწორედ 8 000 აშშ დოლარის გამოკლების შემდეგ დარჩა მსესხებელს ვალი 108.92 აშშ დოლარი. ეს დასკვნა იქიდანაც გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის განხილვისას მოპასუხე (წინამდებარე საქმეში მოსარჩელე) თავის შესაგებელს იმაზე აფუძნებდა, რომ მან ბანკის წინაშე ვალდებულება შეასრულა, უფრო მეტიც, 8000 აშშ დოლარი ზედმეტად ჰქონდა გადახდილი. მითითებულ საქმეში სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის ზემოხსენებული არგუმენტი და ვალდებულების შესრულებული ნაწილის (მათ შორის 8000 აშშ დოლარის) გათვალისწინებით, ამ უკანასკნელს დარჩენილი თანხის გადახდა დააკისრა. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სწორედ 2013 წლის 21 ნოემბერს, 8000 აშშ დოლარის ჩამონერის შემდეგ, გასცა ბანკმა იპოთეკის შეწყვეტის შესახებ ცნობა, რაც, ცხადია, მოსარჩელის ინტერესში შედიოდა და მანვე მოითხოვა. ამდენად, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ 2012 წლის 21 ნოემბერს, როდესაც მის ანგარიშზე სადავო თანხა ჩაირიცხა, ბანკის წინაშე დავალიანება არ გააჩნდა. ამ გარემოების დამტკიცების ტვირთი, სსსკ-ის 102.1 და 103.1 მუხლების საფუძველზე, პირველ მოსარჩელეს ეკისრებოდა, რაც მან ვერ დაძლია.

19. რაც შეეხება მეორე მოსარჩელეს, ის ანგარიშის მფლობელი არ ყოფილა, შესაბამისად, ვერც ჩამონერილი თანხის დაბრუნებას ვერ მოითხოვს, რამდენადაც სსკ-ის 861-ე მუხლი ამგვარი მოთხოვნის უფლებას მხოლოდ ანგარიშის მფლობელს ანიჭებს. ამდენად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მეორე მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობისათვის ნორმით გათვალისწინებულ წინაპირობებს არ შეიცავს, რის გამოც მისი სარჩელი დაუსაბუთებელია.

20. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა გან-

სახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება და სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს;

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

22. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხეს სააპელაციო საჩივარზე 567.42 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 860.60 ლარი აქვს გადახდილი. სსსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრება ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1428 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

23. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 53-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ც. ს-ისა და დ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ც. ს-ს, სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 1428 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 7. საბანკო კრედიტი

### ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-287-287-2018

5 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული  
ურავი ქონების რეალიზაცია

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ლ. ბ-სა“ (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ძირითადი მოსარჩელე, კასატორი, ბანკი ან კრედიტორი) და ა. ჯ-ძეს (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ძირითადი მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი, აპელანტი ან მსესხებელი) შორის 2011 წლის 4 ოქტომბერს, დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (შემდგენში ასევე მოხსენიებული, როგორც პირველი საკრედიტო ხელშეკრულება), რომლის თანახმად, მსესხებელზე გაიცა კრედიტი – 4400 ლარი 48 თვით, 2015 წლის 2 ოქტომბრამდე, წლიური საპროცენტო სარგებლის 22%-ის დარიცხვით.

2. 2013 წლის 2 მაისის მდგომარეობით, პირველი საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში არსებული სესხის დავალიანება 3091.57 ლარს შეადგენდა.

3. 2013 წლის 28 მაისს ბანკმა მსესხებელს ანგარიშიდან ჩამოაჭრა 2055.69 ლარი, რომელიც პირველი საკრედიტო ხელშეკრულების დავალიანების დასაფარად მიმართა.

4. 2013 წლის 28 მაისიდან 2015 წლის 6 აგვისტომდე მოპასუხემ გადაიხადა მხოლოდ 225.61 ლარი, შესაბამისად, 2015 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობით, პირველი საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სესხის ძირითადი დავალიანება მთლიანობაში 810.27 ლარს შეადგენდა.

5. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2015 წლის 6 აგვისტოს დაიდო სესხის რეფინანსირების №... საკრედიტო ხელშეკრულება (შემდგენში ასევე მოხსენიებული, როგორც რეფინანსირების ხელშეკრულება ან მეორე საკრედიტო ხელშეკრულება) 4520 ლარზე, წლიური 20% სარგებლის დარიცხვით. კრედიტის მოქმედების ვა-

დად განისაზღვრა 60 თვე, ხოლო კრედიტის მიზანს წარმოადგენდა მსესხებლის სახელზე ბანკში არსებული სხვა სესხის გადაფარვა. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო – 0,5%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მეორე საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, მ. გ-ძესთან (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სოლიდარული თავდები) გაფორმდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, თავდებობის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა 10 000 ლარით განისაზღვრა. ამასთან, იპოთეკით დაიტვირთა ძირითადი მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქ. საჩხერეში, .... მდებარე უძრავი ქონება, ს/კ .... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც იპოთეკის საგანი ან უძრავი ქონება). ამ საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მსესხებელმა ბანკს მხოლოდ 153 ლარი გადაუხადა.

7. 2017 წლის 14 თებერვალს, ძირითადმა მოსარჩელემ (ბანკმა) სარჩელი აღძრა ძირითადი მოვალისა და სოლიდარული თავდების წინააღმდეგ, 4829.35 ლარის ანაზღაურებისა და ვალდებულების შესრულების მიზნით, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვნით. მოსარჩელის მტკიცებით, მსესხებელმა ვალდებულება დაარღვია, მან 2016 წლის 25 აპრილიდან შეწყვიტა სესხის გადახდა. 2016 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით, ამ უკანასკნელის დავალიანება 4829.35 ლარს შეადგენდა, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა 4102.17 ლარი, პროცენტი 468.43 ლარი, ჯარიმა კი, 258.75 ლარი იყო. ამდენად, მსესხებელსა და თავდებს სოლიდარულად უნდა დაჰკისრებოდათ არსებული დავალიანების ანაზღაურება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, სარეალიზაციოდ უნდა მიქცეულიყო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება.

8. მსესხებელმა სარჩელი არ ცნო. მან დაუსაბუთებელი (არაკვალიფიციური) შესაგებელი წარადგინა, ხოლო მოგვიანებით, შეგებებული სარჩელი აღძრა და ძირითადი მოსარჩელისათვის (ბანკისთვის) 4075 ლარის დაკისრება მოითხოვა, საიდანაც 2055 ლარი პირველ საკრედიტო ხელშეკრულებაზე ზედმეტად გადახდილი თანხა, ხოლო 2020 ლარი მსესხებლის მიერ ანაზღაურებული 2055 ლარის გადახდის ჩაუთვლელიდან წარმოშობილი ზიანის ოდენობა იყო. ის ამტკიცებდა, რომ კრედიტის დასაფარად განსაზღვრულ თანხას ყოველთვის ურად კეთილსინდისიერად იხდიდა. მან 2011 წლიდან – 2015 წლის 6 აგვისტომდე ეტაპობრივად გადაიხადა 4793 ლარი. ის ასევე ამტკიცებდა, რომ მეორე საკრედიტო ხელშეკრულება მასთან ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად დაიდო.

9. მოსარჩელემ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით შეგებებული სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ 2055.69 ლარი მიემართა არა პირველი საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებული დავალიანების, არამედ მსესხებლის მიერ 2013 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულების ფარგლებში ბანკისაგან მიღებული სესხის – 5200 ლარის დასაფარად, ხოლო დარჩენილი სესხი – 2724.88 ლარი, ანაზღაურდა მხარეებს შორის 2015 წლის 6 აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე აღებული სესხით.

10. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით, ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს კრედიტორის სასარგებლოდ, სოლიდარულად 4829.35 ლარის ანაზღაურება დაეკისრათ; ვალდებულების შესრულების მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა მსესხებლის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება; შეგებებული სარჩელი უარყოფილ იქნა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 50-ე, 316-ე, 317-ე, 867-ე, 868-ე, 623-ე, 463-ე, 464-ე, 891-ე, 895-ე, 427-ე, 400-ე, 873-ე, 417-ე, 418-ე, 420-ე, 286.1, 287-ე, 301-ე, 85-ე, 86-ე მუხლები, ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენა.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსესხებელმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღების, ძირითადი სარჩელის უარყოფისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება მსესხებლისა და სოლიდარული თავდებისათვის სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი თანხის დაკისრებისა და მხარეთა შორის საპროცესო ხარჯების განაწილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბანკის სასარჩელო მოთხოვნა სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მსესხებელსა და სოლიდარულ თავდებს ბანკის სასარგებლოდ, სესხის ძირითადი თანხის 657,27 ლარის, საპროცენტო სარგებლის – 87,63 ლარისა და პირგასამტეხლოს 100 ლარის ანაზღაურება სოლიდარულად დაეკისრათ; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

12.1. სააპელაციო პალატის დასკვნებით, განსახილველ შემთხვევაში, გარდა პირველი (2011 წლის 4 ოქტომბრის №... ხელშეკრულება) და მეორე (2015 წლის 6 აგვისტოს №... ხელშეკრულება)

ხელშეკრულებებისა, მხარეთა შორის არსებული სხვა ხელშეკრულების არსებობის ფაქტი არ დასტურდებოდა. ამდენად, მოსარჩელის ანგარიშიდან 2013 წლის 28 მაისს ჩამოჭრილი 2055.69 ლარი 2011 წლის 4 ოქტომბრის სესხის დავალიანების დაფარვას მოხმარდა;

12.2. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მეორე საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტით გადაიფარა მითითებული პერიოდისათვის პირველი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე არსებული დავალიანება. პალატამ მსესხებლის მიერ განხორციელებული გადახდების საფუძველზე, განსაზღვრა რომ 2015 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობით, სესხის დავალიანება 810.27 ლარს შეადგენდა, შესაბამისად, მიიჩნია, რომ რეფინანსირების ხელშეკრულება 810.27 ლარზე დაიდო. ამასთან, ვინაიდან 2015 წლის 6 აგვისტოს შემდგომ მოსარჩელემ მხოლოდ 153 ლარი გადაიხადა, სესხის ძირითადი თანხის დავალიანება 657.27 ლარით უნდა განსაზღვრულიყო და აღნიშნულ თანხას უნდა დარიცხვოდა 8 თვის საპროცენტო სარგებელი – 87.63 ლარი, ასევე, პირგასამტეხლო – 100 ლარის ოდენობით.

**13. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბანკმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და ძირითადი სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

13.1. ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ ბათილად არ ცნო მეორე საკრედიტო ხელშეკრულება, პალატა არ იყო უფლებამოსილი მიეჩნია, რომ სხენებული ხელშეკრულება დაიდო არა 4520 ლარზე, არამედ სხვა თანხაზე. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და თავად დაადგინა, თუ რა თანხაზე უნდა გაფორმებულიყო კრედიტის ხელშეკრულება. ამასთან, მან არასწორად დაადგინა, რომ მსესხებლის მიერ გადახდილი თანხებით მცირდებოდა მხოლოდ სესხის ძირითადი თანხა;

13.2. სააპელაციო სასამართლომ გასცა დავის საგანს და იმსჯელა 2015 წლამდე არსებულ ხელშეკრულებებზე, რაც არ იყო დაკავშირებული მეორე საკრედიტო ხელშეკრულების დარღვევასთან;

13.3. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 2055.69 ლარით დაიფარა 2013 წლის 15 თებერვლის საკრედიტო ხელშეკრულების დავალიანების ნაწილი;

13.4. გაურკვეველია თუ რა პრინციპით მიიჩნია სააპელაციო პალატამ დადგენილად, რომ 2013 წლის 23 მაისის მდგომარეობით, მოპასუხის დავალიანება ბანკის მიმართ 3091.57 ლარს შეადგენდა.



14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მაისის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81); *Boldea v. Romania*, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

17. განსახილველ შემთხვევაში, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, საკრედიტო დავალიანების, სარგებლის, პირგასამტეხლოსა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 623-ე (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი), 625.1 (მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში უნდა მიეთი-

თოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი), 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს ნერილობით ფორმას), 301.1 (თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) და 895-ე (თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა ამკარაა) მუხლები.

**18. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში, სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად მართებულად შეაფასა ისინი, სახელდობრ:**

18.1. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მხარეთა შორის პირველი და მეორე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების გარდა სხვა საკრედიტო ხელშეკრულებების დადების ფაქტი საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა.

შესაბამისად, იმ უდავო ფაქტის გათვალისწინებით, რომ მეორე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებს შორის მანამდე არსებული კრედიტის რეფინანსირების ხელშეკრულებას, საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ამ უკანასკნელით განხორციელდა პირველი ხელშეკრულების ფარგლებში არსებული დავალიანების რესტრუქტურისა.

18.2. საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხის სადებიტო ანგარიშიდან ჩამოჭრილი 2055,69 ლარით პირველი საკრედიტო ხელშეკრულების დავალიანება დაიფარა, შესაბამისად, მოპასუხის მიერ სხვა გადახდების გათვალისწინებით, რეფინანსირების ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მოპასუხის საკრედიტო დავალიანება მხოლოდ 810,27 ლარს შეადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან უდავოა, რომ მეორე საკრე-

დიტო ხელშეკრულებით განხორციელდა ბანკის მიმართ მოპასუხის მანამდე არსებული საკრედიტო დავალიანების რეფინანსირება და მსესხებელს ხელზე თანხა არ მიუღია, ხოლო დარჩენილი დავალიანება 810,27 ლარი იყო, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მართებულად შეაფასა მეორე საკრედიტო ხელშეკრულება მითითებულ თანხაზე დადებულად.

19. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ მეორე საკრედიტო ხელშეკრულება არ არის შედგენილი იმ წესების დაცვით, რომელსაც ავალდებულებს ბანკს არა მხოლოდ კანონი, არამედ კანონქვემდებარე აქტები. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ამავე კოდექსის, 325-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.

ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების პირობებს განსაზღვრავდა ბანკი, პალატის მოსაზრებით, მას აღნიშნული კეთილსინდისიერად და სამართლიანად უნდა განხორციელებინა.

„კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განწევნას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის №35/04 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ბანკმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საბანკო მომსახურების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადანყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება, რომელიც მომხმარებელს არ უზიძგებს ისეთი გადანყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.

მოცემულ შემთხვევაში, მეორე ხელშეკრულება არ შეიცავს საკრედიტო ხელშეკრულებისათვის აუცილებელ ყველა არსებით პირობას, მასში გარდა ზოგადი მითითებისა, რომ კრედიტის მიზნობრიობას სხვა სესხის რეფინანსირება წარმოადგენს, არ არის ასახული ის აუცილებელი ინფორმაცია, რის შეტანასაც ბანკს მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებში ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტი ავალდებულებს, კერძოდ, მასში ასახული არ არის კონკრეტულად თუ რომელი სესხის რესტრუქტურირაცია განხორციელდა და რა სახის კომპონენტებისგან შედგებოდა ის. კერძოდ, რა ოდენობით

იყო რეფინანსირებული სესხის ძირითადი დავალიანება, სარგებელი ან პირგასამტეხლო. საკასაციო პალატა თვლის, რომ ხსენებული ინფორმაციის რეფინანსირების ხელშეკრულების თავსართში ასახვა ბანკის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენდა, რომლის შეუსრულებლობითაც ამ უკანასკნელმა დაარღვია მსესხებლის ინფორმირებულობის ვალდებულება.

20. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 264.3, 284-ე, 285-ე, 404-ე, 408-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ლ. ბ-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 8. თავდებობა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-850-794-2017

2 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თავდებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა,  
თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. ზ. ს-ძემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან თავდები) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ძ-ისა და სს „ლ. ბ.“ (შემდგომში – პირველი და მეორე მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე, პირველი მოპასუხე აგრეთვე წოდებული, როგორც მსესხებელი, ხოლო, მეორე მოპასუხე – როგორც გამსესხებელი ან კრედიტორი) მიმართ და მოითხოვა მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის 2013 წლის 27 დეკემბერს დადებული თავდებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ბათილი თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელის მიერ გადახდილი 2 480 ლარის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე დასაქმებულია შსს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში ... თანამდებობაზე. 2013 წლის დეკემბერში მისმა თანამშრომელმა, პირველმა მოპასუხემ, რომელიც იღებდა ბანკიდან კრედიტს, სთხოვა თავდებობა, რაზეც მოსარჩელემ უარი განაცხადა იმ საფუძველზე, რომ ამავე ბანკთან 2013 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული ჰქონდა საკრედიტო ხელშეკრულება (კრედიტის მოცულობა 13 200 ლარი, ვადა 84 თვე, წლიური საპროცენტო განაკვეთი – 19%) და მისი ყოველთვიური ვალდებულება 2014 წლის 3 იანვრიდან შეადგენდა 283,61 ლარს, ამასთანავე, ცხოვრობს ... რაიონის სოფელ ზ. ხ., სამუშაო ადგილას საკუთრებაში არ აქვს საცხოვრებელი და მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ქ. თ., ნაქირავებ ბინაში, ამიტომ უკვე არსებული ყოველთვიური ვალდებულებების

გამო, ველარ იკისრებდა დამატებით ვალდებულებას და ვერ დაუდგებოდა თავდებად მსესხებელს. ბანკში მისვლისას პირველმა მოპასუხემ, ბანკის თანამშრომელმა ლ. ჯ-მა და პოლიციის იმავე სამმართველოს თანამშრომელმა ვ. მ-მა განუმარტეს, რომ მსესხებლის თავდებაობას ჰქონდა ფორმალური ხასიათი, 2014 წლის იანვარში მას თავდებად ჩაენაცვლებოდა მოპასუხის მეგობარი და თანამშრომელი ვ. მ-ი, ვინაიდან, საბუთების ნაკლებობის გამო იმ ეტაპზე ვერ ხერხდებოდა მისი თავდებაობა, ამასთან, რადგანაც მოსარჩელე დღემდე გამსესხებლის კლიენტია და ამავე ბანკში ერიცხება ხელფასი, ხოლო პირველი მოპასუხე და მომავალი თავდები მისი თანამშრომლები იყვნენ, იგი კეთილსინდისიერად და ნდობით მიუდგა ბანკისა და თანამშრომლების განმარტებას, რის გამოც მოსარჩელეს უარი აღარ განუცხადებია თავდებაობაზე. 2013 წლის 27 დეკემბერს მოპასუხეებს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელმა მიიღო 9 900 ლარი, წლიური 17,25%-ის დარიცხვით, 6 წლის ვადით. მოსარჩელის ნდობა მოპასუხეთა მხრიდან ბოროტად იქნა გამოყენებული და 2014 წლის იანვრის შემდეგ, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მოსარჩელე არ ჩანაცვლეს ახალი თავდებით. 2014 წლის აპრილიდან მსესხებელი გათავისუფლდა სამსახურიდან და იმავე წლის მაისიდან 2015 წლის აპრილის ჩათვლით მსესხებლის ვალდებულებას ასრულებს მოსარჩელე. მას ყოველთვიურად ხელფასიდან ეჭრება პირველი მოპასუხის გადასახდელი თანხა, რაც სარჩელის აღძვრის დროისათვის შეადგენს 2 480 ლარს. მიუხედავად არაერთი თხოვნისა, მოპასუხეებს თავდების ჩანაცვლების პირობა არ შეუსრულებიათ, ხოლო მოსარჩელე რჩება შემოსავლის გარეშე, რაც მისი ოჯახის ერთადერთი საარსებო წყაროა.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. პირველ მოპასუხეს სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი არ წარუდგენია. მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები;

2.2. მეორე მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის წინააღმდეგ არსებითი შედავება წარადგინა. შესაგებლის თანახმად, 2013 წლის 27 დეკემბერს მოპასუხეებს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება და მსესხებელმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა თავდებაობა, რომლის მიხედვითაც თავდება მსესხებელთან ერთად სოლიდარულად იკისრა პასუხისმგებლობა ვალდებულების შესრულებაზე, რომლის მაქსიმალური ლიმიტი განისაზღვრა 14 900,52 ლარით. მსესხებელმა დაარღვია თანხის დაბრუნების გრა-

ფიკი და თავდებობის ხელშეკრულების 3.5 პუნქტის შესაბამისად, გამსესხებელმა თავდებს დამატებითი აქციების გარეშე ჩამოაჭრა თანხა საბანკო ანგარიშიდან. უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება ბანკის ყოფილი თანამშრომლის დაპირებაზე, რადგანაც ამგვარ დაპირებას ადგილი არ ჰქონია, ამასთანავე, ბანკის თანამშრომელს არ აქვს უფლება, თავად გადაწყვიტოს თავდების ჩანაცვლების საკითხი, ისევე, როგორც დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება ე.წ ერთთვიან ხელშეკრულებასა და თავდებობის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიუწოდებლობის თაობაზე, რადგანაც მოსარჩელე 2013 წლის 27 დეკემბრის თავდებობის ხელშეკრულებას გაეცნო და დათანხმდა მასში არსებულ პირობებს, რაც დაადასტურა ხელმოწერით.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის მიზეზები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

#### **1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):**

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს თავდების მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა და ამ ნების ფარ-

გლებში განხორციელებული შესრულების დაბრუნების წინაპირობების არსებობა წარმოადგენს. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით თავდებობის შეთანხმება წარმოადგენდა თავდების ნამდვილი ნების გამოვლენის შედეგს, ხოლო, კრედიტორის მიერ თავდების კუთვნილი ფულადი სახსრებიდან მიღებული შესრულება არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. კასატორი არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოების შეფასებებსა და დასკვნებს და მიიჩნევს, რომ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (**საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა**), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ თავდების პრეტენზიის შესაბამისად შეამონმებს. საკასაციო საჩივრის ძირითადი არგუმენტები კი, შემდეგია:

- i სასამართლოებმა შეფასების მიღმა დატოვეს სარჩელში გადმოცემული ის გარემოებები, რომლებიც სესხის ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებულ პერიოდს შეეხება და ამ კონტექსტში არასწორად არ იხელმძღვანელებს სამოქალაქო კოდექსის 8.3, 54-ე, 55-ე, 115-ე, 316.2 და 364-ე მუხლებით, შესაბამისად, მიღებულ იქნა იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, ისევე, როგორც შეფასების მიღმა იქნა დატოვებული პირველი მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარუდგენლობა, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების აღიარება და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა;
- ii ზემოხსენებული გარემოებების, ასევე, კასატორის კრედიტუნარიანობის, მომავალი თავდების მიერ ბანკისათვის დოკუმენტების წარუდგენლობის, წინარე შეთანხმებიდან გამომდინარე, ბანკის უმოქმედობის (რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფილია, ხოლო, კასატორი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა) შეუფასებლობით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 105-ე, 244-ე, 249-ე მუხლების მოთხოვნები და საკუთარი მსჯელობა დაამყარა მხოლოდ იმას, რომ თავდებობა იყო ნამდვილი;
- iii საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სახეზეა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რამდენადაც კასატორი, თუკი არ იქნებოდა შეთანხმებული მისი ჩანაცვლება, არ დათანხმდებოდა თავდებობის პი-



რობას, რადგანაც იგი სრულიად კრედიტუნარო იყო, შესაბამისად, ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას მას ჰქონდა ჩანაცვლების ლეგიტიმური მოლოდინი, რომელიც მოპასუხეებმა შეუქმნეს. იმგვარი შეთანხმება, რასაც სხვისი ქონებისადმი გულისხმიერების დარღვევა მოჰყვება შედეგად, თავის მხრივ წარმოადგენს ზნეობის სანინალმდეგოს და ბათილია;

- iv შეფასების გარეშეა დატოვებული ის ფაქტიც, რომ მოსარჩელემ მხოლოდ ერთთვიან თავდებობაზე განაცხადა თანხმობა, ხოლო, ბანკმა ფაქტობრივად სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება გააფორმა მასთან.

**1.2. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:**

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2013 წლის 27 დეკემბერს მეორე მოპასუხესა და მსესხებელს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც პირველ მოპასუხეს მიეცა კრედიტი 9 900 ლარის ოდენობით. კრედიტის მოქმედების ვადა განისაზღვრა 60 თვით, წლიური საპროცენტო განაკვეთი – 17,25%; კრედიტი უნდა დაბრუნებულიყო ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის მიხედვით;

1.2.2. 2015 წლის 2 მარტიდან მსესხებელმა დაარღვია სესხის დაფარვის გრაფიკი, რის შემდეგაც მას ერიცხება დავალიანება, რომელიც 2015 წლის 2 ივნისის მდგომარეობით ჯამში 8 944.12 ლარს შეადგენს (სესხის ძირი თანხა – 8 444,38 ლარი; დარიცხული პროცენტი – 387,11 ლარი; სესხზე ვადაგადაცილების ჯარიმა – 112.63 ლარი);

1.2.3. 2013 წლის 27 დეკემბერს მეორე მოპასუხესა და მოსარ-

ჩელეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელე სოლიდარულ თავდებად დაუდგა მსესხებელს, რომ იგი ჯეროვნად შეასრულებდა ბანკის წინაშე ნაკისრ საკრედიტო ვალდებულებას. თავდებობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 14 900,52 ლარით, ხოლო, თავდებობის ხელშეკრულების ვადა – 6 წლით, 2019 წლის 3 იანვრამდე;

1.2.4. თავდებას ბანკის თანამშრომლისაგან სიტყვიერად განემარტა, რომ ზოგადად შესაძლებელი იყო მისი ჩანაცვლება სხვა თავდებით. ის გარემოება, რომ ბანკმა იკისრა ვალდებულება, მოსარჩელესთან მხოლოდ ერთი თვით გაეფორმებინა ხელშეკრულება პირველი მოპასუხის ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ხოლო, ამ დროის გასვლის შემდგომ შეცვლიდა მას სხვა თავდებით, საქმის მასალებით არ დგინდება.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნის წარმატებულობა ორი მიმართულებით შემონიშნა: ა) საქმის განხილვისას დაშვებულ იქნა თუ არა საპროცესო დარღვევები, რომლებმაც გადაწყვეტილების კანონიერებაზე იქონიეს გავლენა (სსსკ-ის 393.3 მუხლი); ბ) დადგენილი ფაქტები სწორად იქნა თუ არა სუბსუმირებული სამართლის ნორმებთან (სსსკ-ის 393.2 მუხლი). გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ზემდგომი სასამართლო ყოველთვისაა ვალდებული, მიუხედავად მხარის შედავებისა, შეაფასოს სახეზე ხომ არ არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, შესაბამისად, სახეზეა ზემოხსენებული ნორმის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

1.3.2. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის, სასამართლოს მხრიდან უპირველესად უნდა შეფასდეს თუ რა სამართლებრივი შედეგის მიღწევა სურს მოსარჩელეს და რას ეფუძნება სარჩელი, ამის შესაბამისად, მოსამართლემ უნდა მოიძიოს მატერიალური სამართლის ნორმა, განსაზღვროს ნორმის აბსტრაქტული ელემენტები და შეაფასოს ფორმალური თვალსაზრისით პასუხობს თუ არა სარჩელში მითითებული ფაქტები დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას. სარჩელის ფორმალური გამართულობის დადგენის შემთხვევაში, მოსამართლე აფასებს შესაგებლის არსებითობას, კერძოდ, რომელ ფაქტობრივ გარემოებებს ედავება მოპასუხე მხარე და რამდენად არსებითია მისი შეპასუხება. პალატა აქვე განმარ-

ტავს, რომ შესაგებლის წარდგენა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201.4 და 219.1 მუხლებიდან გამომდინარე, სწორედ საქმის მომზადების ეტაპის დასრულებამდე დგინდება შესაგებლის მიხედვით სადავო ფაქტობრივ გარემოებათა წრე, განისაზღვრება მტკიცების საგანი და საქმის არსებითი განხილვისას, მტკიცების ტვირთის სწორად განანიღბების გზით მოსამართლე აფასებს მტკიცებულებებს და გამოაქვს მოტივირებული დასკვნები მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენის თვალსაზრისით (სსსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლები). შესაგებლის საპროცესო ინსტიტუტზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალებაა, ამასთან, იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც არ განკარგავს ხსენებულ საშუალებას, ნეგატიური შედეგები დგება, – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, შესაგებლის წარუდგენლობა სარჩელში მითითებული ფაქტების დადგენილად მიჩნევას განაპირობებს და თუკი ეს ფაქტები აკმაყოფილებს დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას (დადასტურებულად მიჩნეული ფაქტები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას), სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და დააკმაყოფილებს სარჩელს.

1.3.3. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ თავდები სადავოდ ხდის მის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნების კანონიერებას და მოითხოვს ბათილი ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული შესრულების მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დააკისრებას (სოლიდარული პასუხისმგებლობის გადაწყვეტისათვის თეორიულად შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მოსარჩელის ის განმარტება, სადაც ეს უკანასკნელი საუბრობს მოვალისა და კრედიტორის ერთობლივ დაპირებაზე მოსარჩელის სხვა თავდებით ჩანაცვლების თაობაზე, რომელსაც მოსარჩელე ენდო, ხოლო მოპასუხეთა მხრიდან ეს ნდობა ბოროტად იქნა გამოყენებული). უდავოა ისიც, რომ პირველმა მოპასუხემ – მსესხებელმა სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი არ წარადგინა, ხოლო, გამსესხებელმა უარყო სარჩელში გადმოცემული ფაქტები, მისი განმარტებით როგორც თავდებობის ხელშეკრულება, ისე – თავდებისაგან მიღებული შესრულება კანონიერია და მას არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, მეორე მოპასუხის პოზიციის გაზიარებისა და თავდებობის ნამდვილად მიჩნევის შემთხვევაში, შესამონმებელი რჩება პირველ მოპასუხესთან მიმართებით შეუდავებელი ფაქტები არის თუ არა საკმარისი ამ უკანასკნელისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად და რა საფუძველით.

1.3.4. საკასაციო პალატა მეორე მოპასუხის შედავების გათვა-

ლისწინებით მიიჩნევს, რომ მტკიცების საგანში შემავალ გარემო-  
ებას წარმოადგენს სწორედ თავდებობის ხელშეკრულების დადე-  
ბისას თავდების მიერ გამოვლენილი ნების ნაკლი, რომლის მტკი-  
ცებაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესა-  
ბამისად, ეკისრება თავდებს. ამ მხრივ მხარის ძირითადი არგუ-  
მენტი მიმართულია ზნეობის საწინააღმდეგო გარიგების დადე-  
ბისკენ, კერძოდ, კასატორი განმარტავს, რომ არ წარმოადგენდა  
კრედიტუნარიანს, ვინაიდან მას გააჩნდა ვალდებულებები, რო-  
გორც ბანკის, ისე – მესამე პირთა მიმართ, ამ ფაქტის თაობაზე  
ცნობილი იყო მოპასუხეებისათვის, რომლებიც მას დაპირდნენ  
სხვა თავდებით ჩანაცვლებას. კასატორი ამ მხრივ ყურადღებას  
ამახვილებს წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებსა და ხელ-  
შეკრულების დადების შემდგომ პერიოდზე. საკასაციო პალატა  
არ იზიარებს კასატორის პრეტენზიებს და განმარტავს, რომ სა-  
მოქალაქო კოდექსის 8.3, 115-ე და 316.2 მუხლები სამოქალაქო  
ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ფუნდამენტურ პრინცი-  
პებს ადგენენ, როგორცაა კეთილსინდისიერება, უფლებათა მარ-  
თლზომიერად განხორციელება და მეორე მხარის უფლებებისა და  
ქონებისადმი გულისხმიერება. ხსენებული პრინციპების დარღვე-  
ვა დიდწილად გარიგების ნამდვილობაზე ახდენს გავლენას, რამ-  
დენადაც სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, სამარ-  
თლებრივი ძალის არმქონედ მიიჩნევა გარიგება, რომელიც ეწინა-  
აღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, საჯარო  
წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. ზოგადად სამოქალაქო ბრუნვაში,  
მით უფრო, როდესაც მასში მონაწილეობს მენარმე სუბიექტი, ამ  
პრინციპების დაცვა უმნიშვნელოვანესია. იმგვარი გარიგების და-  
დება, რომელიც წინასწარ განწირულია შეუსრულებლობისათვის  
და ეს იმთავითვე იცის კრედიტორმა, რომელიც ბოროტად სარ-  
გებლობს ამ ვითარებით, უნდა შეფასდეს როგორც ამორალური/  
ზნეობის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება, თუმცა, ამ გა-  
რემოებათა მტკიცებისას მხედველობაშია მისაღები ასევე სამო-  
ქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად დაშვებუ-  
ლი პრეზუმფცია გარიგების ნამდვილობის შესახებ, ვიდრე საწი-  
ნააღმდეგო არ დამტკიცდება. როდესაც პირი სადავოდ ხდის გა-  
რიგების ნამდვილობას, სწორედ მას ეკისრება ამ პრეზუმფციის  
გაქარწყლების ტვირთი, რომლის დაძლევისას მოპასუხემ სარწმუ-  
ნო მტკიცებულებებით უნდა დაადასტუროს გარიგების ნამდვი-  
ლობა. განსახილველ შემთხვევას თუ დავუბრუნდებით, მითითე-  
ბის დონეზე მოსარჩელე აპელირებს საკუთარ ქონებრივ მდგომა-  
რეობაზე (შემოსავლები, ბინის ქირა, არსებული საბანკო ვალდე-  
ბულება) და განმარტავს, რომ თავდებობა მას მძიმე, გამოუსწო-

რებელ ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს, თუმცა, ბანკის შე-  
დავების გათვალისწინებით, მასვე ეკისრებოდა იმის დადასტუ-  
რების ტვირთი, რომ ხელფასი მისი შემოსავლის ერთადერთი წყა-  
როა, ხოლო ბანკმა პიროვნული უზრუნველყოფის საშუალება მი-  
იღო გადახდისუუნარო პირისაგან, ამ მხრივ კი, საკასაციო საჩი-  
ვარი არ შეიცავს მითითებას საქმეში არსებულ კონკრეტულ მტკი-  
ცებულებაზე და სასამართლოს მხრიდან ამ მტკიცებულების შე-  
უფასებლობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხ-  
ლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე კი, საკასაციო სასამარ-  
თლო ამონშებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებ-  
ში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით  
შეამონშოს საპროცესო დარღვევები.

1.3.5. გარდა ზემოხსენებულისა, უდავოა, რომ თავდებობა გა-  
ფორმებულია სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის პირველი ნა-  
წილით განსაზღვრული წერილობითი ფორმის დაცვით, რაც მის  
უცილოდ ბათილობის სხვა საფუძველს გამორიცხავს (სკ-ის 59-ე  
მუხლი), ამასთანავე, სარჩელში გადმოცემული ფაქტების გათვა-  
ლისწინებით, სახეზე არ არის გარიგების ბათილობის სხვა წინაპი-  
რობების შემონშების აუცილებლობა. დასაბუთებული საკასაციო  
პრეტენზიის არარსებობის პირობებში საკასაციო პალატა იზიარებს  
ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელემ ვერ დაამ-  
ტკიცა ბანკის მხრიდან თავდების წინაშე ვალდებულების აღება,  
რომ მას მოგვიანებით სხვა თავდებით ჩაანაცვლებდა ან თავდე-  
ბობის რაიმე პირობით დადებდა (სკ-ის 90-ე მუხლი), ამ მხრივ საკა-  
საციო საჩივარი არ არის საკმარისად დასაბუთებული, შესაბამი-  
სად, არ დგინდება არც სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლით და  
არც საცილო გარიგებით (სკ-ის 72-ე და შემდგომი მუხლები) დად-  
გენილი ნების იურიდიული ძალმოსილების ეჭვქვეშ დაყენების სხვა  
საფუძველი. პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდ-  
გენილ თავდებობის ხელშეკრულებასა და სააპელაციო პალატის  
მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ თავდები გაეც-  
ნო მის შინაარსს და ხელმოწერით დაადასტურა იგი (სკ-ის 69.3 მუხ-  
ლი), ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქმის მასალებით დგინდე-  
ბა მოსარჩელის მიერ სოლიდარულ თავდებობაზე თანხმობის გაც-  
ნობიერებულად გაცხადება და ეს გარიგება სრული იურიდიული ძა-  
ლის მატარებელია. საბოლოოდ პალატა ასკვნის, რომ თავდებობის  
ხელშეკრულება ნამდვილია.

1.3.6. საკასაციო პალატა მოიხმობს სამოქალაქო კოდექსის 891.1  
და 895-ე მუხლებს, რომელთა თანახმადაც, თავდებობის ხელშეკ-  
რულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად და-  
უდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალ-

დებულების შესასრულებლად. თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მსესხებელმა 2015 წლის 2 მარტიდან დაარღვია პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.2.), შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულების პირობებისა და ზემოხსენებული ნორმების დისპოზიციიდან გამომდინარე, გამართლებულია გამსესხებლის ქმედება, შესრულება მიიღოს თავდებისაგან. ამ თვალსაზრისით დასაბუთებული შედავება არც სარჩელში და არც საკასაციო საჩივარში არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ გამსესხებლის მიმართ სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

1.3.7. რაც შეეხება მსესხებლის მიმართ წარდგენილ მოთხოვნას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უკვე განხორციელებული შესრულების უშუალოდ მოვალისათვის დაკისრების თაობაზე სარჩელი გამართლებულია. ამ ნაწილში ქვემდგომი სასამართლოების დასკვნები იურიდიულად დაუსაბუთებელია. ვიდრე მოთხოვნის საფუძვლიანობის კვლევას შეუდგებოდეს, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს კიდევ ერთ საკითხზე: მართალია, მოსარჩელე თვლის, რომ თავდებობის ხელშეკრულება ბათილია, რაც თეორიულად მხოლოდ კრედიტორისაგან კონდიქციური ნორმების საფუძველზე (სკ-ის 976-ე მუხლი) მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა იქნებოდა, თუმცა ეს გარემოება მოთხოვნის წარმატებას არ აფერხებს პირველ მოპასუხესთან მიმართებით სხვა საფუძველით. სამართალში მოქმედი პრინციპი – „**jura novit curia**“ (სასამართლომ იცის კანონი; სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით მრავალთა შორის იხ. სუსგ-ებები: №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017 წელი; №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი, [დიდი პალატა] №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი) არ ზღუდავს სასამართლოს თავად განსაზღვროს მოთხოვნის საფუძველი, მიუხედავად საპროცესო კოდექსის 178.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის დანაწესისა, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ უნდა მიუთითოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ამგვარი მიდგომა განპირობებულია თავად სასამართლოს, როგორც ინსტიტუციური ფუნქციით, დაიცვას პირის სადავოდ ქცეული ან დარღვეული უფლება.

1.3.8. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელის

ინტერესს გადახდილი თანხის დაბრუნება და შემდგომი გადახდისაგან მისი გათავისუფლება წარმოადგენს. ვინაიდან დავის განხილვის შედეგად დადგინდა თავდებობის ნამდვილობა, მსესხებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, თავდებს არ ერთმევა უფლება მოთხოვნა მოვალეს წაუყენოს სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლის საფუძველზე (თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ). სარჩელის თანახმად, თავდების მიერ ბანკისათვის გადახდილი თანხის ოდენობა შეადგენს 2 490 ლარს (მოვალის მხრიდან შეუდავებელი ფაქტი). ამ თანხის ფარგლებში შეწყდა მსესხებლის ვალდებულება კრედიტორის წინაშე (სკ-ის 427-ე მუხლი), შესაბამისად, ამ ოდენობით მოთხოვნა თავდებს გააჩნია მხოლოდ მსესხებლის მიმართ.

#### **1.4. ახალი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:**

წინა პუნქტებში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. ამასთან, რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, საკასაციო სასამართლო, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (**საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები**), უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება: ვინაიდან საქმის არსებითად განხილვის შედეგად დადგინდა თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობა, ასევე, ბანკის მხრიდან თავდებისაგან შესრულების მიღების კანონიერება, ამ ნაწილში არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. რაც შეეხება უკვე განხორციელებული შესრულების ძირითადი მოვალისათვის დაკისრებას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს. მხარეთა შორის დავას არ იწვევს თავდების მიერ ძირითადი მოვალის ნაცვლად 2 490 ლარის კრედიტორისათვის ანაზღაურება, შესაბამისად, ამ ოდენობით თანხის მოთხოვნის უფლება ძირითადი მოვალის მიმართ გააჩნია თავდებს და მისი ეს მოთხოვნა საფუძველიანია.

#### **2. პროცესის ხარჯები:**

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხა-

რეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით პირველი მოპასუხის მიმართ სრულად დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა, მასვე უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი თანხის – 754,4 ლარის ანაზღაურება. გარდა ამისა, პალატა მხედველობაში იღებს კასატორის შუამდგომლობას (რომელიც, როგორც სარჩელში, ისე – სააპელაციო და საკასაციო საჩივრებშია დაყენებული) იურიდიული ხარჯის სახით 600 ლარის ანაზღაურების თაობაზე. უპირველესად პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მინდობილობით, ასევე, სასამართლო სხდომებზე განეული წარმომადგენლობითა თუ საპროცესო დოკუმენტებზე ხელის მოწერით უდავოდ დგინდება მოსარჩელის მიერ მის წარმომადგენელთან დავალების ხელშეკრულების არსებობა (სკის 709-ე-710-ე მუხლები). ხსენებული გარემოების, საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით (იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა) განსაზღვრული ცენზის გათვალისწინებით, პალატა შუამდგომლობას ნაწილობრივ აკმაყოფილებს და პირველ მოპასუხეს კასატორის სასარგებლოდ აკისრებს (მოგებული თანხის 4-4%-ს თითოეული ინსტანციის სასამართლოში განეული წარმომადგენლობისთვის) 298,8 ლარს (დამატებით იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანდიე საქართველოს წინააღმდეგ“, „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“).



### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა :**

- ზ. ს-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის განჩინება და მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.
- ზ. ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს:
  - 3.1. გ. ძ-ს (პ/№...) ზ. ს-ძის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს 2 490 ლარის გადახდა;
  - 3.2. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
  - 3.3. გ. ძ-ს (პ/№...) ზ. ს-ძის (პ/№...) სასარგებლოდ პროცესის ხარჯების ანგარიშში დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 754,4 ლარისა და იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 298,8 ლარის ანაზღაურება.
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)